

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე**

2013, №7

**სამოქალაქო
კრიტიკი**

საძიებელი

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

საქმის წარმოება სასამართლოში
წარმომადგენლის მეშვეობით

მტკიცების ტფირთი

მტკიცებულებათა შეფასება

მხარის მიერ არასაპატიო მიზეზით

მტკიცებულების წარუდგენლობა

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

უარი უზრუნველყოფის დამატებითი
ღონისძიებების გამოყენებაზე

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
შესახებ განჩინების გასაჩივრება

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან
დაკავშირებული საკითხის განხილვა მხარეთა
გამოუცხადებლობისას

საქმის წარმოების შეწყვეტა

საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი

გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება

სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქმის ხელახლა განსახილველად
დაბრუნების საფუძვლები

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

№ას-1725-1707-2011

13 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდირია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: უფლებამონაცვლედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ტ. ქ-ის სარჩელი პ. ბ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, 1996 წლის 29 მარტს ტ. ქ-ესა და ბ. ბ-ეს შორის დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულება მიესადაგა შეცვლილ გარემოებებს და ქ. თბილისში, ... ქუჩა №3ა-ში მდებარე სახლის ლირებულება ნაცვლად მხარეებს შორის განსაზღვრული 30000 აშშ დოლარისა, ობიექტურ შეცვლილ გარემოებათა გათვალისწინებით, შემცირდა 20%-ით და განისაზღვრა 24000 აშშ დოლარით. შესაბამისად, გადახდილი თანხის გათვალისწინებით, ტ. ქ-ეს ბ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10100 აშშ დოლარის გადახდა. სხვა ნაწილში ტ. ქ-ის სარჩელი და ასევე ბ. ბ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

თბილისის საოქლო სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის განჩინებით, დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება, გაუქმდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება და აღნიშნულ საქმეზე შეწყდა საქმის წარმოება.

აღნიშნული განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში და 2006 წლის 28 აპრილს გაიცა საალსრულებო ფურცელი.

2011 წლის 4 აგვისტოს ა. ქ-ემ განცხადებით მომართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა მისი ცნობა ტ. ქ-ის უფლებამონაცვლედ. 2011 წლის 8 აგვისტოს განცხადებით კი, მოითხოვა ცვლილების შეტანა 2006 წლის 28 აპრილს (საქმე №28/1776-04) გაცემულ საალსრულებო ფურცელში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ა. ქ-ის განცხადება დაკამაყოფილდა, ტ. ქ-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნეს ა. ქ-ე, თბილისის საოქლო სასამართლოს სამოქალაქო სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის განჩინებაზე (საქმე №28/1776-04) გაიცა საალსრულებო ფურცელი კრეფიტორ ტ. ქ-ის უფლებამონაცვლე ა. ქ-ის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლო საქმეში არსებული მასალების (ქორწინების მოწმობის, გარდაცვალების მოწმობისა და სამკვიდრო მოწმობის) საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის, ასევე, „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, მიიჩნია, რომ ა. ქ-ის განცხადება საფუძვლიანი იყო და დაკამაყოფილებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ბ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ ა. ქ-ის მიერ წარდგენილი სამკვიდრო მოწმობა ვერ იქნება ნამდვილი, ვინაიდან იგი ტ. ქ-ესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ბ. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლ ნაწილის თანახმად, სადაც ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დამობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლება შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

უფლებამონაცვლება იყოს კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრე. გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით.

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „საალსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის სანიჩალმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლება ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და საალსრულებო ფურცელის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს“.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 31 მარტის განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში, რაზეც 2006 წლის 28 აპრილს კრედიტორ ტ. ქ-ის სასარგებლოდ გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კრედიტორი ტ. ქ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 6 მარტს.

საქმის მასალებით ირკვევა ასევე, რომ ა. ქ-ე და ტ. ქ-ე იყვნენ მეულლები, რომლებიც რესიტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდნენ 1969 წლიდან. საქმიში წარმოდგენილი 2011 წლის 25 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობით კი, ასევე უტყუარადა დადგენილი, რომ ტ. ქ-ის სამკვიდრო მიიღო მისი პირველი რიგის მემკვიდრე ა. ქ-ემ, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება მასზე, რომ ა. ქ-ის მიერ წარდგენილი სამკვიდრო მოწმობა ვერ იქნება ნამდვილი, ვინაიდან იგი ტ. ქ-ესთან რეგისტრირებულ ქორნინებაში არ იმყოფებოდა, საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება.

რამდენადაც ა. ქ-ემ სასამართლოს წარუდგინა სამკვიდრო მოწმობა, საიდანც ირკვევა, რომ 2008 წლის 10 მარტს გარდაცვლილი ტ. ქ-ის სამკვიდრო მიიღო ა. ქ-ემ, როგორც მისმა მეულებ და, შესაბამისად, პირველი რიგის მემკვიდრემ, საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულება საკარისის საფუძველი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92.1 მუხლისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ა. ქ-ის ტ. ქ-ის უფლებამონაცვლედ ცნობისათვის და მის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად მიიჩნია ტ. ქ-ის უფლებამონაცვლედ ა. ქ-ე და სწორად გასცა მის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცელი და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის თარიღება სასამართლოში თარიღმაღალების მეშვეობით

განხილვა

№ას-514-486-2012

14 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემდგენელობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

სს „... ბანკმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-ის მიმართ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: სს „... ბანკს“ და გ. დ-ს შორის გაფორმდა საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და მსესხებლის სახელზე გაიცა საბანკო კრედიტი 6 000 აშშ დოლარი. მსესხებელს სესხი უნდა დაეფარა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის გზით. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში სესხის თანხა არ იქნა დაბრუნებული და გადაცილებულ იქნა მისი დაფარვის ვადები. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის ძირითადი თანხის დავალიანების – 5 273,63 დოლარის, პროცენტის – 5 120,04 და პირგასამტებლოს – 49 231,34 აშშ დოლარის დაკისრება.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო გ.დ-მა შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მოთხოვნა სანდაზმულია, ვინაიდან მოპასუხის მიერ აღნიშნული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ბოლო შესრულებიდან გასულია სამ წელზე მეტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „... ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, გ. დ-ს სს „... ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრა 2005 წლის 6 სექტემ-

ბრის №29084 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ძირითადი თანხის დავალიანების – 5 273,63 ლოდარის, საპროცენტო სარგებლის დავალიანების – 652,58 აშშ ლოდარისა და პირგასამტებლოს – 49 231,34 აშშ ლოდარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საპელაციო საჩივრით გასასაჩივრას „... ბანკმა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მარტის განჩინებით სს „... ბანკის“ სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით: საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით სს „... ბანკის“ წარმომადგენელ დ. ა-ს ჩაპბარდა პირადად 2012 წლის 21 თებერვალს. მითითებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათველა დაინიშნული 2012 წლის 22 თებერვლიდან და გასაჩივრების ვადა ამოინური 2012 წლის 6 მარტს. დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივრის სს „... ბანკის“ მიერ წარდგენილია 2012 წლის 7 მარტს კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლად დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთს საათამდე, თუ საჩივრი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაპბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთს საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქანცყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივრი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „... ბანკმა“ შემდეგი დასაბუთებით: 2011 წლის 15 სექტემბერს კერძო საჩივრის ავტორმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე გ. დ-ის მიმართ. სარჩელს თან ერთვოდა სს „... ბანკის“ გენერალური დირექტორი ი. გ-ის მიერ შ. დ-ის სახელზე 2010 წლის 1 ნოემბერს ერთი წლის ვადით გადანდობის უფლებით გაცემული მინდობილობა. შ. დ-ებ 2011 წლის 15 სექტემბერს მინდობილობა გასცა დ. ა-ის სახელზე განუსაზღვრული ვადით. 2011 წლის 1 ნოემბერს შ. დ-ის მიდობილობას გაუვიდა ვადა, შესაბამისად, ვადა გაუვიდა დ. ა-ის მინდობილობასაც. 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება და ა-ს ჩაპბარდა 2012 წლის 21 თებერვალს, მაშინ, როდესაც ის აღარ იყო მოსარჩელის წარმომადგენელი, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ უნდა აითვალის 2011 წლის 21 თებერვლიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ჩაპბარებოდა ორგანიზაციის კანცელარიას ან ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რაც არ განხორციელებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „... ბანკის“ კერძო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმე ანარმონო სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შესასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს.

წარმომადგენლობა პირს ანიჭებს უფლებას, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოდგენილის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული საპროცესო მოქმედები შესასრულოს. სასამართლო წარმომადგენელი პროცესის მონაბილეა და მას როგორც პროცესის სუბიექტს, აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები. მარწმუნებლის მიერ წარმუნებულისათვის გადაცემულ უფლებათა ჩამონათვალს, ანუ წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს და ვადას საათანადო წესით შედგენილი დავალების შესახებ გარიგება (სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლი) – მინდობილობა განსაზღვრავს. წარმომადგენლის უფლებამოსილება მხოლოდ მინდობილობით განსაზღვრულ ფარგლებში და ვადაში გააჩნია, ხოლო ამ ფარგლებს მიღმა განხორციელებული საპროცესო მოქმედება იურიდიული ძალის შემცველაში არ შეიძლება იყოს.

მოცემული საქმის მასალებით დასტურდება, რომ სს „... ბანკის“ გამოავლინა წება შ. დ-ის სახელზე რწმუნებულების ერთი წლის ვადით – 2010 წლის 1 ნოემბერიდან 2011 წლის 1 ნოემბრამდე გაცემაზე, ე.ი შ. დ-ეს ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა უფლება, შესასრულებინა ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც რწმუნებულებაში იყო მითითებული, მათ შორის ამავე ვადის ფარგლებში, გადაენდო ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება სხვა პირისათვის, იმ ვადით, რა ვადითაც მას ეს უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული. აღნიშნულის სანინაალმდეგოდ, შ. დ-ემ დ. ა-ის სახელზე მინდობილობა განსაზღვრელი ვადით გასცა, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა. უფლებამოსილების გადანდობის დამადასტურებელი მინდობილობის მოქმედების ვადა არ შეიძლება ალემატებოდეს იმ მინდობილობის მოქმედების ვადას, რომლის საფუძველზეც ის გაიცა, რადგან ძირითად რწმუნებულებაში მითითებული ვადის გასვლასთან ერთად, ძა-

ლას კარგავს გადანდობაც, რადგან პირი სხვას ვერ გადასცემს იმ უფლებას, რაც მას არ გააჩნია. შესაბა-
მისად, დ. ა-ი სასამართლო შეტყობინების ჩატარებაზე უფლებამოსილ პირად ვერ მიიჩნევა. აღნიშნული
ადასტურებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება ჩატარ-
და არაუფლებამოსილ პირს – დ. ა-ს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შე-
ტყინის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუ-
თებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგე-
ნილი ვადის ათვლა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც დასაბუთებული გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჩატარდება ან მხარეს, ან მის უფლებამოსილ
წარმომადგენელს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სააპელაციო წესით გადაწყვეტილების
გასაჩივრების ვადა მისი არაუფლებამოსილ პირისათვის ჩატარების დღიდან აითვალა, რაც შეესაბამე-
ბა კანონს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „... ბანკის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 16 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად-
დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სს „... ბანკის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის
განჩინება და და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსახლეობის ფინანსი

გადაწყვეტილება საკართველოს სახელი

№ას-1134-1065-2012 28 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ფარული ნაკლის აღმოფხვრა

აღნიშნული ავტომობილი ნაკლი:

გ. ფ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ი. ა-ოს“ წინააღმდეგ სარჩელი აღირა და მოითხოვა
შეძენილი ავტომობილის ფარული ნაკლის აღმოფხვრა.

მოსარჩელის განმარტებით, 200-300 კმ გარბენის შემდგომ, ავტომობილ „Wolkswagen Passat CC-ს“ რომე-
ლიც მან შეიძინა შპს „ი. ა-ან“ აღმოაჩნდა ფარული ნაკლი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ავტომობილის
სიჩქარეთა გადამცემი კოლოფი გამოსცემს ხმას, რაც არ არის დამახასიათებელი მოცემული ტიპის ავტო-
მობილებისათვის. აღნიშნული გარემოება დასტურდება ჩატარებული შემოწმების შედეგად; ამასთან, შპს
„ი. ა-ან“ გაფორმებული ნასყიდობის №VW-04-02/11 ხელშეკრულების 2.1.4 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვე-
ვაში, თუ საქონელს აღმოაჩნდება დაფარული ნაკლი, გამყიდველი მოვალეა გამოასწოროს ეს ნაკლი მყიდ-
ველის მიერ პრეტენზიის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

მოპასუხეს სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მყიდველმა ჩაიბარა უფლებრივად და ნივთობრივად
უნაკლო ნასყიდობის საგანი, რაც დადასტურდა მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩატარების აქტით.
მოსარჩელის ნერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ავტომობილს ჩაუტარდა სრული ტექნიკური დათვა-
ლიერება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაზიანება ან ტექნიკური გაუმართაობა ავტომობილის გა-
დამცემთა კოლოფს არ აღენიშნებოდა. გ. ფ-ს არ ნარუდებინა წერილობითი დასკვნა, რომლითაც დადას-
ტურდებოდა ავტომობილის გაუმართაობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 მარტის გადაწყვე-
ტილებით გ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივლისის გადაწყვე-
ტილებით გ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა კოლეგიის 27.03.2012 წლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილე-

ბა; გ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „ი. ა-ოს“ დაეკისრა გ. ფ-ის მიერ შეძენილი ავტომანქანისთვის „Wolkswagen PassaT CC“, შასის ნომრით ..., გადამცემი კოლოფის გამოცვლის გზით ფარული ნაკლის აღმოფხვრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 05.04.2011 წელს ერთი მხრივ, გ. ფ-ს და, მეორე მხრივ, შპს „ი. ა-ოს“ შორის გაფორმდა ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ი. ა-ომ“ გაყიდა, ხოლო გ. ფ-მა 32 500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ იყიდა ავტომანქანა „Wolkswagen PassaT CC“ შასის ნომრით 05.04.2011 წელს გ. ფ-ს და შპს „ი. ა-ოს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს – ავტომანქანა „Wolkswagen PassaT CC-ს“ შასის ნომრით ... გააჩნია ნივთობრივი ნაკლი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს „ი. ა-ო“ სადაცოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ავტომანქანა „Wolkswagen PassaT CC-ს“ სიჩქარეთა კოლოფი მართლაც გამოსცემს ხმაურს, თუმცა მოპასუხე მხარის განმარტებით, აღნიშნული ხმა ნარმოადგენს ასეთი ტიპის გადამცემი კოლოფების სპეციფიურ ხმას, რაც გამოწვეულია მაკომპლექტებელი დეტალების ურთიერთმოქმედებით. ის გარემოება, რომ ავტომობილის სიჩქარეთა კოლოფს აქვს ხმა, დასტურდება ასევე თავად მოპასუხე კომპანიის მიერ 2011 წლის 15 აგვისტოს გაცემული ... სარეგისტრაციო ბარათით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ავტომანქანა „Wolkswagen PassaT CC“ შასის ნომრით ... და სახელმწიფო ნომრით ...-ის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ავტომანქანა არის სრულად გამართული, არ აქვს გადაადგილების პრობლემა, სიჩქარეთა კოლოფი მუშაობს იღეალურად. სიჩქარეთა კოლოფს აქვს ხმაური მუშა მდგომარეობაში, რომელიც მართალია კლიენტის აზრით არაბუნებრივია, მაგრამ შემმოწმებლის აზრით, ნარმოადგენს სპეციფიურ ხმას და საფრთხეს არ შეიცავს. გადამცემ კოლოფში არსებულ ხმაურზე უთითებს ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელმწიფის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 1 თებერვლის ავტოტექნიკური ექსპერტიზის №003246-2012/02/03 დასკვნა, თუმცა აღნიშნული დასკვნით ვერ დგინდება აღნიშნული ხმაურის გამომწვევი მიზეზი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ, ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა შპს „ი. ა-ოს“ და სწორედ ამ უკანასკნელს უნდა დაემტკიცებინა, რომ მსგავსი ტიპის ხმაური დამახასიათებელია ამ მოდელის ავტომანქანებისათვის. მოპასუხები, ამგვარი მტკიცებულება ვერ წარადგინა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ი. ა-ომ“ საკასაციო წესით გასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. კასატორის მითითებით, გაუგებარის, სააპელაციო სასამართლომ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ სადაცო ავტომანქანას ფარულ ნაკლი აქვს. საქმეში არსებულ მასალები ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და არასწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა ავტომანქანის გამართულობა. შეუძლებელია იმ გარემოების გაქარცყლება, რომ ავტომანქანა მუშაობისას ხმას გამოსცემს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ შპს „ი. ა-ოს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლო-სათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 05.04.2011 წელს ერთი მხრივ, გ. ფ-ს და მეორეს მხრივ, შპს „ი. ა-ოს“ შორის გაფორმდა ავტომობილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს „ი. ა-ომ“ გაყიდა, ხოლო გ. ფ-მა 32 500 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ იყიდა ავტომანქანა „Wolkswagen PassaT CC“ შასის ნომრით 05.04.2011 წ. გ. ფ-ს და შპს „ი. ა-ოს“ შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს – ავტომანქანა „Wolkswagen PassaT CC-ს“ შასის ნომრით ... გააჩნია ნივთობრივი ნაკლი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიზნებისათვის „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზი“ გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც მტკიცებულებათა არასწორი შეფასება და ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა გამოიწვია. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა 407-ე მუხლით გარანტირებულ შედავების უფლებით და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია ნარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ, განიხილა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადაცო ავტომანქანის სიჩქარეთა კოლოფს აქვს ხმა და აღნიშნა, რომ მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა ამგვარი ხმა იყო თუ არა ნივთობრივი ნაკლი.

საკასაციო სასამართლო ამ მოსაზრებას არ იზიარებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახ-

სნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მტკიცების ტერი- თი მხარეებზე თანაბრად ნაწილდება. თითოეულმა მხარემ საკუთარი პოზიციის სასარგებლოდ უნდა წარ- მოადგინოს მტკიცებულებები და არ იგულისხმება ერთი მხარის სიტყვიერი განმარტების გაბათილება მე- ორე მხარის მიერ მტკიცებულებების წარდგენის გზით.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევის მიერ წარდგენილი არ ც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სიჩქარეთა კოლოფის ხმა ავტომანქანის გაუმართაობაზე მიუთითებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხმა, თავისთავად, არ შეიძლება ნაკლი იყოს. ნაკლი არსებობს იმ შემთხვევაში, თუ ხმა რომელიმე დეტალის გაუმართაობით ან არასწორი ფუნქციონირებითაა განპირობებული, ამასთან, ნაკლის არსებობა სუბიექტური შეფასების საგანი არაა. ნაკლი, ობიექტურად, არსებობს ან არ არსებობს და ამ გარემოებების დადგენა სასამართლოს შეხედულებაზე არ არის დამოკიდებული.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით და აქვე განმარტავს, რომ იმ საკითხის გადაწყვეტა, არის თუ არა ავტომანქანა გამართული, სიჩქარეთა კოლოფში ხმის არსებობა მიუთითებს თუ არა რაიმე დეფექტზე, სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, რომელიც, ჩვეულებრივ პირობებში, მოსამართლეს არ გააჩინია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, იმგვარი გარემოებები, რომელთა დადგენაც სპეციალურ ცოდნას საჭიროებს, ექსპერტიზის დასკვნით უნდა დადასტურდეს, შესაბამისად, ავტომანქანის ფარული ნაკლის არსებობა სხვა სახის მტკიცებულებით ვერ დადასტურდება, ამდენად, საკუთარი სასამარჩევლო მოთხოვნის დასასაბუთებლად გ. ფ-ს სასამართლოსათვის სპეციალისტის დასკვნა უნდა ნარედვინა.

საქმეში წარმოდგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელმძღვანელოს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, რომელიც სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა, კერძოდ, აღნიშნული დასკვნის თანახმად, არსებული ტექნიკური პაზის პირობებში ვერ დგინდება გამოსაკვლევი ავტომანქანის გადამცემი კოლოფი მცირე ხმაურს დაზიანების გამო გამოსცემს, თუ გადამცემი კოლოფის სპეციფიკური ხმაურია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების სანინაალმდევოდ, ამ დასკვნიდან არ გამომდინარებს, რომ ხმაური, თავისთვალი, ნაკლია. პირიქით, ექსპერტი ნაკლის არსებობას ვერ ადგენს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს იმ გარემოების გაბათილების ვალდებულება დააკისრა, რომლის არსებობის დადგენაც კი შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ფარული ნაკლი“ გულისხმობს იმგვარ გაუმართაობას, რომელიც თვალსაჩინო არ არის ჩვეულებრივ პირობებში, მაგრამ მისი აღმოჩენა სათანადო ტექნიკური შემოწმებისას შესაძლებელია. მოცემულ შემთხვევაში კი, შეუძლებელია, დადგინდეს, ხმა დამახასიათებელია ამ მოდელის ავტომანქანისათვის, თუ გადამცემთა კოლოფის დაზიანებითაა გამოწვეული.

ავტომანქანის გაუმართაობა არ დასტურდება, აგრეთვე, შპს „ი. ა-ოს“ 2011 წლის 15 აგვისტოს სარეგისტრაციო ბარათით, რომლის თანახმადაც, „ავტომანქანის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სიჩქარეთა კოლოფი მუშაობს იდეალურად. სიჩქარეთა კოლოფს აქვს ხმაური მუშა მდგომარებაში, რომელიც მართალია, კლიენტის აზრით არაბუნებრივი, მაგრამ შემმოწმებლის აზით, არის სპეციფიკური ხმა და საფრთხეს არ წარმოადგენს“.

საკასაციო სასამართლო, ასევე, ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ავტომობილის შემოწმების აქტზე, რომლის თანახმადაც, „ფოლკსვაგენის“ სერვისცენტრში მოსარჩევებ და მოპასუხებ ერთმანეთს შეადარეს სადაც ავტომანქანისა და იმავე მოდელის ორი ახალი ავტომანქანის გადამცემთა კოლოფის მუშაობა. შემოწმების შედეგად დაფინდა, რომ ყველა ავტომანქანას ერთნაირა ხმა აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებიდან არ გამომდინარეობს, რომ გადამცემთა კოლოფის ხმა ფარული ნაკლის არსებობაზე მიუთითობს, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ხმა, თავისთავად, ნაკლია, საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ ემყარება და უსაფუძვლოა.

საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე, მისი გაუქმების საფუძველია.

ლეპს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გა-
დაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნე-
ბის საფუძვლები.

საკასაციონ სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით შეფასების აუცილებლობა და საჭმის საპატილაციო ინსტანციაში დაპრუნების საჭიროება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ფ-მა ვერ დაადასტურა ავტომანქანის ფარული ნაკლის არსებობა, შესაბამისად, მისი სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკრძალოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ფ-მა შპს „ი. ა-ოს“ უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

ପ୍ରକାଶକ ନାମ:

- შპს „ი. ა-ოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 - გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 ივნის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
 - გ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
 - გ. ფ-ს შპს „ი. ა-ოს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მთიკიცხულებათა შეფასება

გადაცევასილება
საქართველოს სახალით

№ას-1249-1178-2012 25 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ვ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

ალწერილობითი ნაწილი:

მოსარჩევის განმარტებით, 2003 წელს ი.დ.-ემ შესთავაზა ქ. ბათუმში, ნ-ის გამზირ №44/48-ში მდებარე მისი ოჯახის კუთვნილი ბინის ყიდვა. მოლაპარაკების პროცესში ჩაერთო ი. დ-ის მეუღლე ბ. დ-ე. 2003 წლის 31 დეკემბერს გამყიდველთან გაფორმდა ხელწერილი, რომლის თანახმადაც მყიდველმა გადაიხადა 12 100 აშშ დოლარი. დარჩენილი 3400 აშშ დოლარი რ. დ-ემ გადაიხადა 2004 წლის აგვისტომდე. 2006 წელს რ. დ-ემ ბინა დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში. 2008 წელს ამ ბინასთან დაკავშირებით სასამართლოში დავა დაიწყო ნ. ქ-ემ. ამჟამად ბინის მესაკუთრეა ნ. ქ-ე. რ. დ-ეს მიაღდგა 15500 აშშ დოლარის ზიანი. გარდა ამისა, მოსარჩევე 2006 წელს ბინას კაპიტალური რემონტი ჩაუტარა. ექსპერტიზის დასკვნით, სარემონტო სამუშაოების ლირებულებამ 48640, 19 ლარი შეადგინა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით რ. დ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბ. დ-სა და ი.დ-ეს რ. დ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ რ. დ-ის მიერ ბინის ნასყიდობისათვის გადახდილ 16 200 აშშ დოლარისა და ბინის რემონტისათვის განეული ხარჯის – 48 640 ლარის გადახდა.

ალნიშნული გადაწყვეტილება ი. ლ-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ი. დ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება ი. დ-ის რ. დ-ის სასარგებლოდ რემონტისათვის განეული ხარჯების დაკმაყოფილების ნაწილში და ასევე 729 ლარის სახელმწიფო ბაჟის რ.დ-ის სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში. ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რ. დ-ის სარჩელი რემონტისათვის განეული ხარჯების ი. დ-ის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საკმარისე დადგენილად შემთხვევაში ქატობრივი გარემონტები მიიჩნია:

1. ქ.პათარეშვილი, ა. ნ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინის მესაკუთრედ 1995 წლის 9 ივნისიდან 2006 წლის 21 აგვისტომდე რეგისტრირებული იყო ნ.ქ-ე;

2. 2003 წლის 25 დეკემბერს რ. დაქმ განცხადებით მიმართა ხულოს ნოტარიუსს და ნ. ქ-ის სამკვიდრო ქრისტენ სამკვიდრო მოწმობის გაყენება მოითხოვა;

3. სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, 6. ქ-ის გარდაცვალება ქ.ბათუმის მმაჩის ბიუროში რეგისტრირებული იყო 2001 წლის 9 მარტს;

4. სამკუიდრო მონმობის საფუძველზე, ქ. ბათუმში, ა.ნ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინის მესაკუთრედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა რ. ლ-ვ;

ქ. 6. ქ-ე არ იყო გარდაცვლილი და მან 2008 წელს დავა დაიწყო აღნიშნულ ბინაზე;

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, 6. ქ-ის სასამართლო მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 6. ქ-ის დანაშთ ქონებაზე რ. დ-ის სახელზე 2003 წლის 25 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობა და 2011 წლის 26 აგვისტოს ქ.ბათუმში, ა. წ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინის მესაკუთრედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში კვლავ 6. ქ-ე დარეგისტრირდა;

7. 2011 წლის სექტემბერში პოლიციის მიერ გაფრთხილების შემდეგ რ. დ-ემ ბინა ნებაყოფლობით დაცალა;

8. საქმეზე ნარმოდებული 2003 წლის 31 დეკემბრით დათარილებული ხელნერილით დადგენილია, რომ ბ. დ-მ რ. დ-ეს მიჰყიდა ქ.ბათუმი, ა. წ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინა 15 500 აშშ დოლარად;

9. აღნიშნული თანხიდან ხელნერილის შედგენის დროს რ. დ-მ გადაიხადა 12 100 აშშ დოლარი, ხოლო 3400 აშშ დოლარი ვალად დაიტოვა 2004 წლის 1 სექტემბრამდე. ზემოაღნიშნული ხელნერილს ხელს აწერს როგორც ბ. დ-ე, ისე მყიდველი რ. დ-ე. ხელნერილს ასევე ადასტურებენ ბ. დ-ის ოჯახის წევრები;

10. ხელნერილზე არ არის ი. დ-ის ხელმოწერა;

11. რ. დ-ის მიერ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობისათვის გადახდილია სულ 15 500 აშშ დოლარი და საბუთების გასაფორმებლად 700 აშშ დოლარი, სულ 16 200 აშშ დოლარი;

12. სადავო უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით რ. დ-ე მოლაპარაკებას აწარმოებდა ბ. დ-ის მეუღლე ი. დ-ან და მის დედამილთან, შესაბამისად, თანხაც მ. დ-ეს გადაეცა. აღნიშნული გარემოება და დასტურებულია მოწმე მ. ს-ის ჩვენებითაც, რომელიც დაეხმარა მყიდველსა და გამყიდველს ბინის ნასყიდობაში. მოწმემ აჩვენა, რომ მან შეახვედრა ისინი ერთმანეთს და ორგანიზებას უწევდა ნასყიდობის პროცესს. მოწმე თანხის გადაცემას ესწრებოდა და თანხა სწრომები და მ. დ-მ აიღო;

13. ი. დ-ე და ბ. დ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ი. დ-ის რემონტის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება და აღნიშნა, რომ უძრავი ქონება ამჟამად აღრიცხულია ნ. ქ-ის სახელზე და ის ფლობს აღნიშნულ ნივთს, შესაბამისად, ი. დ-ე უსაფუძვლოდ ვერ გამდიდრდებოდა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ი. დ-ეს რ. დ-ის ზიანი არ მიუყენებია. დადგენილია, რომ რ. დ-ეს ბათილი გარიგების დადგების დროისათვის უნდა სცოდნოდა სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრის ვინაობა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადგება და შემძებნე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 2003 წლის 31 დეკემბერს, ქ. ბათუმში, ა. წ-ის ქ. №44/48-ში მდებარე ბინა №93-ის ნასყიდობის შესახებ ბ. დ-სა და რ. დ-ეს შორის ხელნერილის დადგებისას ბ. დ-ე არ ნარმოადგენდა აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს და ქონება ირიცხებოდა ნ. ქ-ის საკუთრებად. ხელნერილი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უძრავი ქონების შეძენის შესახებ დადგებულ ნასყიდობის ხელშეკრულებად, ვინაიდან იგი დადგებულია ფორმის დაუცველად. აღნიშნული უძრავი ქონების რ. დ-ის საკუთრებად აღრიცხვა საჯარო რეესტრში განხორციელდა 2006 წელს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, რაც ქუთაისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი. 2003 წლის 31 დეკემბრის გარიგება საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის შესახებ დადგებულია ფორმის დაუცველად, არ ნარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის, რის გამოც იგი ნარმოადგენს უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. დ-ემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ არასწორად და მიკერძოებულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები. მოსარჩევე ვერ მიუთითებს, რომ ი. დ-ე მონანილეობას იღებდა სადავო ბინის ყიდვა-გაყიდვაში. მოსარჩევე ი. დ-ე განსახილველ დავაში ჩართო მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ ბ. დ-ეს თავის სახელზე რაიმე სახის ქონება არ გააჩნია. 2003 წლის 31 დეკემბრით დათარილებულ ხელნერილში ი. დ-ის ქმრის ყელა ოჯახის წევრი არის მითითებული, გარდა თავადი ი. დ-სა და ეს ბუნებრივია, ვინაიდან მას, როგორც აჭარული ოჯახის რძალს, არავინ ეკითხებოდა არც ბინის გაყიდვას და არც ფულის აღებას. რაც შეეხება დარჩენილი 3400 აშშ დოლარის გადახდას, მოსარჩელე ვერ ადასტურებს, რომ ეს თანხა ი. დ-ეს გადასცა. სასამართლომ, მოსარჩელის მოთხოვნის გარეშე არარად ცნო 2003 წლის 31 დეკემბრის გარიგება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ი. დ-ის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ქ.ბათუმში, ა. წ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინის მესაკუთრედ 1995 წლის 9 ივნისიდან 2006 წლის 21 აგვისტომდე რეგისტრირებული იყო ნ. ქ-ე;

2. 2003 წლის 25 დეკემბერს რ. დ-ემ განცხადებით მიმართა ხულოს ნოტარიუსს და ნ. ქ-ის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა მოითხოვა;
3. სამკვიდრო მოწმობის შესაბამისად, ნ. ქ-ის გარდაცვალება ქათუმის მმარის ბიუროში რეგისტრირებული იყო 2001 წლის 9 მარტს;
4. სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, ქ. ბათუმში, ა.ნ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინის მესაკუთრედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში დარეგისტრირდა რ. დ-ე;
5. 6. ქ-ე არ იყო გარდაცვლილი და მან 2008 წელს დავა დაიწყო აღნიშნულ პინაზე;
6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, ნ. ქ-ის სასაჩრელო მოთხოვნა სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ქ-ის დანაში ქონებაზე რ. დ-ის სახელზე 2003 წლის 25 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობა და 2011 წლის 26 აგვისტოს ქ.ბათუმში, ა. ნ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 ბინის მესაკუთრედ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში კვლავ ნ. ქ-ე დარეგისტრირდა;
7. 2011 წლის სექტემბერში პოლიციის მიერ გაფრთხილების შემდეგ რ. დ-ემ პინა ნებაყოფლობით დაცალა;
8. საქმეზე წარმოდგენილი 2003 წლის 31 დეკემბრით დათარილებული ხელნერილით დადგენილია, რომ ბ. დ-ემ რ. დ-ეს მიჰყიდა ქ.ბათუმი, ა.ნ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 პინა 15 500 აშშ დოლარად;
9. აღნიშნული თანხიდან ხელნერილის შედეგის დროს რ. დ-ემ გადაიხადა 12 100 აშშ დოლარი, ხოლო 3400 აშშ დოლარი ვალად დაიტოვა 2004 წლის 1 სექტემბრამდე. ზემოაღნიშნული ხელნერილს ხელს აწერს როგორც ბ. დ-ე, ისე მყიდველი რ.დ-ე. ხელნერილს ასევე ადასტურებენ ბ. დ-ის ოჯახის წევრები;
10. ხელნერილზე არ არის ი. დ-ის ხელმოწერა;
11. რ. დ-ემ უძრავი ქონების ნასყიდობისათვის გადაიხადა 15 500 აშშ დოლარი და საბუთების გასაფორმებლად 700 აშშ დოლარი, სულ 16 200 აშშ დოლარი;
12. სადაც უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით რ. დ-ე მოლაპარაკებას აწარმოებდა ბ. დ-ის მეუღლე ი. დ-ან და მის დედამთილთან, შესაბამისად, თანხაც ი. დ-ეს გადაეცა. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია მოწმე ა. ს-ის ჩვენებითაც, რომელიც დაეხმარა მყიდველსა და გამყიდველს ბინის ნასყიდობაში. მოწმე აჩვენა, რომ მან შეახვედრა ისინი ერთმანეთს და ორგანიზებას უნდა ნასყიდობის პროცესს. მოწმე თანხის გადაცემას ესწრებოდა და თანხა სწორედ ი. დ-ემ აილო;
13. ი. დ-ე და ბ. დ-ე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიზნებისათვის „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც მტკიცებულებათა არასწორი შეფასება და ფაქტობრივი გარემოების არასწორად დადგენა გამოიწვია. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და მე-12 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.
- საკასაციო სასამართლომ, განიხილა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ ი. დ-ის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.
- საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას ბინის ნასყიდობის თანხის დაკისრების ნაწილში ი. დ-ის მიმართ რ. დ-ის სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე.
- სააპელაციო სასამართლომ მოწმის ჩვენების საფუძვლებზე მიიჩნია, რომ უძრავი ქონების ნასყიდობასთან დაკავშირებით რ. დ-ე მოლაპარაკებას აწარმოებდა ბ. დ-ის მეუღლე ი. დ-ან და მის დედამთილთან, შესაბამისად, თანხაც ი. დ-ეს გადაეცა.
- აღნიშნულის საპირისპიროდ საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია 2003 წლის 31 დეკემბრის ხელნერილი, რომლის თანახმადაც, რ. დ-ემ თითქოსდა შეიძინა ქ.ბათუმში, ა.ნ-ის ქ. №44/48-ში მდებარე №93 პინა 15 500 აშშ დოლარად და ნასყიდობის ფასის სახით ბ. დ-ეს გადაუხადა 12 100 აშშ დოლარი, ხოლო 3400 აშშ დოლარი ვალად დაიტოვა 2004 წლის 1 სექტემბრამდე. ხელნერილს ხელს აწერენ ბ. დ-ე და რ. დ-ე, ასევე მოწმედ დამსწრე პირები. ი. დ-ე არ არის გარიგების მხარე და არც მოწმეთა შორისაა დასახელებული.
- საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მითითებული ხელნერილის ბათილობასთან დაკავშირებით, ამასთან აღნიშნავს, რომ მოცემული დავის გადაჭრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ ვის გადაეცა თანხა შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საქმეში არსებულ რომელიმე მტკიცებულებას უპირატესობა არ ენიჭება და სასამართლომ ყველა მათგანი უნდა შეაფასოს, მაგრამ თითოეული მტკიცებულება უნდა შემომზდეს უტყუარობის თვალსაზრისით.
- მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, არსებობს წერილობითი მტკიცებულება, რომლის ნამდვილობა სადაც არ გამსდარა და მეორე მხრივ, მოწმის ჩვენება, რომლის თანახმადაც თანხა მიიღო არა ხელნერილში მითითებულმა პირმა, არამედ მისმა მეუღლემ, რომელიც, ხელნერილის თანახმად, თანხის გადაცემას არც ესწრებოდა.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს, რომ, ჩვეულებრივ პირობებში, სასამართლო გაიზიარებს წერილობით მტკიცებულებაში ასახულ გარემოებებს, რომელსაც ორივე მოდავე მხარე აწერს ხელს, თუ დოკუმენტის ნამდვილობა სადაც არ არის, ამასთან, წერილობით მტკიცებულებაში ასახულისაგან განსხვავებული გარემოებების დადგენა ან დაზუსტება-შევსება მონმეთა ჩვენების საფუძველზე შესაძლებელია, თუ თავად დოკუმენტის შინაარსი პუნდოვანია ან ისეთი საკითხის დადასტურებაა საჭირო, რაც დოკუმენტში არ ასახულა. საკასაციონ სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ამგვარი დაზუსტების საჭიროება ობიექტურად უნდა არსებოდეს, ხოლო მოწმეთა ჩვენება სარწმუნო უნდა იყოს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე მოწმედ დაიკითხა ო. ს-ე, რომელიც ხელნერილის დადებას ესწრებოდა და ხელიც აქვს მასზე მოწერილი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმე გადაჭრით მხოლოდ ერთ გარემოებას მიუთითებს: რომ თანხა მიიღო ი. დ-ე-მ. მოწმის განმარტებით, სწორედ მან დააკავშირა ი. დ-ე და რ. დ-ე. აღნიშნულის მიუხედავად, იგი ვერ იხსენებს გარიგებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებებს, მათ შორის ნასყიდობის ზუსტ ფასს და ეჭვი ეპარება, ესწრებოდა თუ არა ხელწერილის დადებას თავად ბ. დ-ე, რომელიც როგორც ბინის გამყიდველი აწერს ხელს.

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იმ გარემოებასაც იღებს, რომ სადავო ბინა ეკუთვნის 6. ქ-ეს და არა ი. დ-ეს ან ბ. დ-ეს. რ. დ-ე ე. 6 ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე ყალბი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დაეუფლა 6. ქ-ის ქონებას და მოცემულ განჩინებაში მითითებული ბინა საჯარო რეესტრში თავის სახელზე აღრიცხა, ამდენად, გაუგებარია, რატომ უნდა ენარმოებინა მოლაპარაკება ან დაედო იმავე ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულება ი. დ-ან, ან ბ. დ-ან, რომლებიც ბინის მესაკუთრეები არასოდეს ყოფილან და რ. დ-ე ამ გარემოების თაობაზე კარგად იყო ინფორმირებული. ისიც ბუნებრივია, რომ არსებულ ვითარებაში, რ. დ-ეს ი. დ-ან ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად მოლაპარაკების ნარმოება და ამ მიზნით ო. ს-ის დახმარება არ დასჭირდებოდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის ახ-სნა-განმარტება და მოწმის ჩვენება არასარწმუნოა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს საქმეში არ-სებული წერილობითი მტკიცებულებით უნდა ეხელმდღვანელა საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას. იმის დამდასტურებელი სხვა მტკიცებულება, რომ ი. დ-ეს რაიმე თანხა გადასცა, რ. დ-ეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, რაც სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით შეფასების აუცილებლობა და საქმის სააპელაციო ინსტანციაში დაბრუნების საჭიროება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩინოვრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმეს ი. დ-ის რ. დ-ის სასარგებლოდ ბინის ნასყიდობისათვის გადახდილი 16 200 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და რ. დ-ის სარჩელი ი. დ-ის მიმართ არ უნდა და კმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკამაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკამაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მისარჩელეს უარი ეთქვა. ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან, საერთო ჯამში, რ. დ-ის სარჩელი ი. დ-ის მიმართ მთლიანად არ დაკმაყოფილდა, რ. დ-ე მ-ი ი. დ-ეს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილი (რაც არ გაუნაწილებია სააპელაციო სასამართლოს) – 522,2 ლარი და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 670,56 ლარი, სულ 1192,76 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკამაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 ივლის გადაწყვეტილება ი. დ-ის რ. დ-ის სასარგებლოდ ბინის ნასყიდობისათვის გადახდილი 16 200 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. რ. დ-ის სარჩელი ი. დ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდეს;

4. რ. დ-ეს ი. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო სასამართლოში გა-დახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 522,2 ლარისა და საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელ-მწიფო ბაჟის – 670,56 ლარის, სულ 1192,76 ლარის ანაზღაურება;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მთკიცებულებათა შეფასება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ძას-1510-1425-2012 18 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: კ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
კ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

კ. ბ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შპს „ა. ჯ-ის“ წინაააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა ზიანის საკომპენსაციო 11490 ლარის, ასევე ადვოკატის მომსახურების სა-ფასურის – 1500 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება. მოსარჩელემ საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შპს „ს. კ-ის“ ჩაბმის თაობაზე იშუამდგომლა. თბილისის საქალაქო სასა-მართლოს 2012 წლის 30 აპრილის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2011 წლის 8 ნოემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ს. კ-სა“ და კ. ბ-ეს შორის დაიღი №30-0112 გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა მოსარჩე-ლის კუთვნილი ავტომანქანა „დოლჯ ნიტრო“ სახელმწიფო ნომრით აღნიშნული ხელშეკრულების შესა-ბამისად, დაგირავებული ნივთი დააზღვია კომპანია „ა. ჯ-მა“. დაზღვეული ავტომანქანა 2011 წლის 11 დე-კემბერს მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანდა. ზიანის ოდენობის დადგენის მიზნით, მანქანა შეამოწმა მზღვეველის მიერ მითითებულმა პირმა – ინდენარმე გ. ქ-ემ, რაზეც შედგა №126 დეფექტური აქტი და ზარალის ოდენობად განისაზღვრა 11 490 ლარი. 2011 წლის 22 დეკემბერს მიკ-როსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ს. კ-მა“ წერილობით მიმართა მოპასუხეს სადაზღვევო პოლისის საფუძ-ველზე არსებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, თუმცა, 2012 წლის 10 თებერვლის წერილის შესა-ბამისად, მოპასუხეს უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე. არგუმენტად მიუთითა, რომ შემთხვევა გა-მოწვეული იყო მძლოლის ბრალითა და ავტომანქანის გაუმართაობით. მოსარჩელის განმარტებით, მას მი-ადგა მნიშვნელოვანი ზიანი ვინაიდან ასანაზღაურებელი თანხა იკავებდა გირავნობის საგნის ადგილს და, მხარეთა შორის არსებული შეთნხმებით, აღნიშნული თანხით სრულად დაიფარებოდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ს. კ-ის“ მიერ გაცემული კ-ი. მოსარჩელე მხარისათვის 2012 წლის 8 თებერვალს გახდა ცნობილი, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ს. კ-ის“ მოთხოვნაა არსებული დავალიზების – 6 664.75 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირითად თანხა – 5 995.89 აშშ დოლარი, პროცენტი – 610.86 აშშ დოლარი და პირგასამტებლო – 58.00 აშშ დოლარი, შესაბამისად, სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მიღებული ზიანი გამოიხატა დარიცხული პროცენტის – 610.86 აშშ დოლარის და პირგასამტებლო – 58 აშშ დოლარის დაკისრებაში. ზიანი მიღებულია უშუალოდ მოპა-სუხე მხარის ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 მაისის გადაწყვეტი-ლებით კ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწ-ყვეტილებით, კ. ბ-ის სააპელაციო საჩივრაში დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით კ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, „ა. ჯ-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 11 490 ლარის, ასევე ადვოკატის მომსახურების საფასურის – 459,6 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 8 ნოემბერს ერთი მხრივ, შპს „ს. კ-სა“ და მეორეს მხრივ, კ. ბ-ეს შორის გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა კ. ბ-ის კუთვნილი ავტომანქანა „დოლჯ ნიტრო“, საიდენტიფიკაციო №..., სახელმწიფო ნომრით ამავე თარიღით კ. ბ-ესა და სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ს“ შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება. 2011 წლის 8 ნოემბერს სადაზღვევო კომ-პანიამ გასცა ავტომანქანის დაზღვევის პოლისი – „კასკო სტანდარტი“;

2. სააპელაციო დაზღვევის პირობების მესამე მუხლით განისაზღვრა ის სადაზღვევო რისკები (სტან-დარტული გამონაკლისები), რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მზღვეველი თავისუფლდებოდა სადაზ-

ღვევო ანაზღაურების გადახდისაგან. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენდა, „თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგებოდა მძლოლის პრალიტ (თუ დამზღვევის მიერ შეძენილი იყო სადაზღვევო პაკეტი „სტანდარტი“), კერძოდ, მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა (3.2.9. „დ“ პუნქტი) ან/და მკეთრი დამუხრუჭება (გარდა ავარიის თავიდან აცილების მიზნით) თუ შეჯახება მოხდებოდა დაზღვეული ა/მანქანით“ (3.2.9. „ე“ პუნქტი);

3. სადაზღვევო შემთხვევის დროს, კერძოდ, 2011 წლის 11 დეკემბერს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, დაზიანდა კ. ბ-ის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შედგა აღმინისტრაციული სამართალდარღვევის №ბდ ... ოქმი. სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, „ავტომანქანა მოძრაობდა წყნეთში რ-ის ქუჩაზე ბაგების მიმართულებით, მძლოლმა ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რაც გამოიხატა მანევრის დაზღვეული ა/მანქანაში და შეჯახების მიზნით“;

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი სამართალდარღვევის №ბდ ... ოქმით ავტოსატრანსპორტო შემთხვევა დადგა მძლოლის – კ. ბ-ის ბრალეული ქმედებით. თუმცა, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს მძლოლის ბრალეულობის განზრას ან უხეშ გაუფრთხილებლობად დაკვალიფიცირება განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას, რაც უნდა დადგინდეს საგზაო მოძრაობის უშუალო მონაცილის, მძლოლის კონკრეტული მოქმედების შესწავლით და ამგვარი მოქმედების შედეგის მიმართ მისი სუბიექტური დამოკიდებულებით. შსს საპატრულო პოლიციისათვის მიცემული კ. ბ-ის ახსნა-განმარტების მიხედვით, „საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამდე კ. ბ-ე მოძრაობდა წყნეთში რ-ის ქუჩაზე. საწინააღმდეგო მხრიდან მოძრავმა ა/მანქანამ, რომელსაც ანთებული ჰქონდა შორი შუქები, მოქრა თვალი, მანქანის უსაფრთხო გაჩერების მიზნით მოსარჩელემ დამუხრუჭა, მაგრამ ვერ შეძლო ავტომანქანის უსაფრთხო გაჩერება, გადავიდა მოძრაობის საწინააღმდეგო მხარეს, რა დროსაც შეჯახა ხეს“. მძლოლის მიერ დაშვებული სიჩქარის გადაჭარბების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი საჯარიმო იქმით არ დგინდება, არამედ ირკვევა, რომ „ავტომანქანა მოძრაობდა წყნეთში რ-ის ქუჩაზე ბაგების მიმართულებით, მძლოლმა ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რაც გამოიხატა მანევრირების წესების დარღვევაში და შეჯახება მოახდინა ხეზე“. კ. ბ-ის ქმედება არ უნდა შეფასდეს, როგორც მძლოლის უხეში გაუფრთხილებლობაში, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს იმ სადაზღვევო რისკების (სტანდარტულ გამონაკლისების) არსებობას, რომლის დროსაც, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, სასამართლომ გაიზიარა კ. ბ-ის ახსნა-განმარტება, მაგრამ მის მიერ მითითებული გარემოებების არსებობა არ დასტურდება საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის აქტითა და ნახაზით. გზაზე ყინულის არსებობა არ დასტურდება აღნიშნული დოკუმენტებით, გარდა ამისა, სქემა-ნახაზზე არ არის აღნიშნული მუხრუჭების კვალი. მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია სამართალდარღვევის აქტი. სასამართლომ ისეთი გარემოებები მიიჩნია ნამდვილად, რაც გამორიცხა საპატრულო პოლიციის ინსპექტორმა, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვტილების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ შპს „ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 8 ნოემბერს ერთი მხრივ, შპს „ს. კ-სა“ და მეორე მხრივ, კ. ბ-ეს შორის გაფორმდა სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება. გირავნობის უფლებით დაიტვირთა კ. ბ-ის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება „დოდჯ ნიტრო“, საიდენტიფიკაციო №..., სახელმწიფო ნომრით ამავე თარიღით კ. ბ-ესა და სადაზღვევო კომპანია „ა. ჯ-ს“ შორის გაფორმდა დაზღვევის ხელშეკრულება. 2011 წლის 8 ნოემბერს სადაზღვევო კომპანიამ გასცა ავტომანქანის დაზღვევის პოლისი – „კასკო სტანდარტი“;

2. სააპელობილო დაზღვევის პირობების მესამე მუხლით განისაზღვრა ის სადაზღვევო რისკები (სტანდარტული გამონაკლისები), რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მზღვეველი თავისუფლდებოდა სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას წარმოადგენდა „თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგებოდა მძლოლის ბრალით (თუ დამზღვევის მიერ შეძენილი იყო სადაზღვევო პაკეტი „სტანდარტი“), კერძოდ, მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა (3.2.9. „დ“ პუნქტი) ან/და მკეთრი დამუხრუჭება (გარდა ავარიის თავიდან აცილების მიზნით) თუ შეჯახება მოხდებოდა დაზღვეული ავტომანქანით“ (3.2.9. „ე“ პუნქტი);

3. სადაზღვევო შემთხვევის დროს, კერძოდ, 2011 წლის 11 დეკემბერს ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, დაზიანდა კ. ბ-ის კუთვნილი ავტომანქანა. აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით შედგა ადგინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №ბდ სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, „ავტომანქანის მოძრაობდა წყნეთში, რ-ის ქუჩაზე ბაგების მიმართულებით, მძლოლმა ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, რაც გამოიხატა მანევრირების წესების დარღვევაში და შეჯახება მოახდინა ხეზე“;

4. შეჯახება არ იყო გამოწვეული მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიზნებისათვის „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზი“ გულისხმობს მხარის მითითებას პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც მტკიცებულებათა არასწორი შეფასება და ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა გამოიწვია. განსახილველ შემთხვევაში, კასატორმა ისარგებლა 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ, განიხილა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ომიერტულ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ბრალი შეფასებითი კატეგორია და თითოეულ კონკრეტულ საქმეზე მოსამართლემ უნდა დაადგინოს მისი არსებობა ან ხარისხი, მაგრამ ამასთან მიუთითებს, რომ ამგვარი შეფასება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლომ იმგვარი გარემოებები გაიზიარა, რომელთა ნამდვილობაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო შემთხვევად არ მიიჩნევა და, შესაბამისად, არ ანაზღაურდება მძღოლის განზრავის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად მიღებული ზიანი. უხეში გაუფრთხილებლობის ერთ-ერთ შემთხვევად, ხელშეკრულების თანახმად, მიიჩნევა მკვეთრი დამუხრუჭება, გარდა ავარიის თავიდან აცილებისა, თუ შეჯახება დაზღვეული ავტომანქანით მოხდა.

სადაც ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა კ. ბ-ის ახსნა-განმარტება და მიიჩნია, რომ კ. ბ-ე მოძრაობდა წყნეთში რ-ის ქუჩაზე. სანინააღმდეგო მხრიდან მოძრავმა ავტომანქანამ, რომელსაც ჩართული ჰქონდა შორი შექები, მოჭრა თვალი, მანქანის უსაფრთხო გაჩერების მიზნით მოსარჩევემ დამამუხრუჭა, მაგრამ ვერ შესძლო ავტომანქანის უსაფრთხო გაჩერება, გადავიდა მოძრაობის სანინააღმდეგო მხარეს, რა დროსაც შეეჯახა ხეს. აღნიშნული გარემოებები ასახულია ავარიასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული გარემოებების ნამდვილობა დადასტურებული არ არის. მართალია, საპატრულო პოლიციის თანამშრომელს კ. ბ-ემ ამგვარად განუშარტა ავტოვარიის გამომწვევი მიზეზები, მაგრამ ეს, თავისთვის, არ ნიშნავს, რომ განმარტება სინამდვილეს შეესაბამება და გაზიარებულ იქნა პოლიციის მიერ. აღნიშნულის საპირისპიროდ, იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით გამოწერილ საჯარიმო ქვითარში აღნიშნულია, რომ კ. ბ-ემ ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობა, დაარღვია მანევრირების წესები, რის შედეგადაც შეეჯახა ხეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ბ-ის განმარტება ბრალს საერთოდ გამორიცხავდა, რომლის გაზიარების შემთხვევაში, მოსარჩევე არ დაჯარიმდებოდა. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მითითებას, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დათვალიერების სქემაზე არ არის აღნიშნული მუხრუჭების გამოყენების კვალი. საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ სამართალდარღვევის ოქმი კ. ბ-ეს არ გაუსაჩივრებია, არამედ ჯარიმა დადგენილ ვადაში გადაიხადა, რითაც იგი დაეთანხმა საკუთარი ქმედების კვალიფიკაცია-სა და სანეტიას. სამართალდარღვევის ოქმი კი, ადგენს, რომ შეფასება მძღოლის მიერ მანევრირების წესების დარღვევითაა გამოწვეული, რაც ადასტურებს კ. ბ-ის უხეშ გაუფრთხილებლობას; ამდენად, სადაც შემთხვევა ექცევა სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამონაკლისთა სიაში და ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას არ ნარმოშობს. საპელაციო სასამართლომ კი, აღნიშნული გარემოებები არასწორად შეაფასა და კ. ბ-ის ქმედება გაუფრთხილებლობად არასწორად დააკვალიფიცირა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე, მისი გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს მტკიცებულებათა დამატებით შეფასების აუცილებლობა და საქმის სააპელაციო ინსტანციაში დაპრუნების საჭიროება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა კ. ბ-ის ბრალითაა გამოწვეული, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისავან.

განსახილველ შემთხვევაში, კ. ბ-ემ „ა. ჯ-ს“ უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელწიფო ბაჟი – 613 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ჟ ვ ი ტ ა:

- შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
- კ. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
- კ. პ-ეს დაეკისროს შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 613 ლარის ანაზღაურება; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარის მიერ არასაპატიო მიზანით მთკიცებულების ნარულებობა

განჩინება

№ას-1235-1164-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

თ. ძ-მა სარჩელი ალძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „კ. 96-ის“ მიმართ მოპასუხისათვის, მის სასარგებლოდ, 2008 წლის 2 ნოემბრიდან 2011 წლის 2 ნოემბრამდე მიუღებელი სარჩელს – 7200 ლარისა და 2011 წლის 2 ნოემბრიდან მოსარჩელის სიცოცხლის ბოლომდე, ყოველთვიურად სარჩელს – 200 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სარჩელის თანახმად, მოსარჩელე თ. ძ-ი 1963 წლის 7 მაისიდან 1976 წლის 19 ივნისამდე მუშაობდა კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორაში მდებარებად. 1975 წლის 7 ოქტომბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მან მიიღო საწარმოო ტრავმა, რომლის შედეგად, გახდა 100%-ით შრომისუუნარო. 2004 წელს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მიხედვით, დაუდგინდა ინვალიდობის პირველი ჯგუფი უვადოდ. მოსარჩელის განმარტებით, კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორის უფლებამონაცვლე შპს „კ. 96“ შრომითი დასახირებით მიყენებული ტრავმის გამო, ყოველთვიურად უხდიდა მას ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობას 208 მანეტი. 2008 წლის შემდეგ კი, სარჩელს მიცემა შეუწყვიტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თ. ძ-მა მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო ფაბრიკაში მუშაობდა არა 1963 წლიდან 1976 წლამდე, არამედ, ორი თვით – 1975 წლის 10 აგვისტოდან 1975 წლის 10 ოქტომბრამდე. ამასთან, მოსაპუხის განმარტებით, მოსარჩელის მიერ ნაწილობრივ მტკიცებულებებით ვერ დასტურდება, რომ მან შრომის უნარი საწარმოში მიღებული ტრავმის გამო დაკარგა, ამასთან, საწარმო, ფაქტურივად, აღარ ფუნქციონირებს და, შესაბამისად, სარჩელს გადახდის ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ძ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ძ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით თ. ძ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თ. ძ-ის სარჩელი მოპასუხე შპს „კ. 96-ის“ 2008 წლის 2 ნოემბრიდან 2011 წლის 2 ნოემბრამდე მიუღებელი სარჩელს სახით 7200 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „კ. 96-ს“, თ. ძ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 2008 წლის 2 ნოემბრიდან 2011 წლის 2 ნოემბრამდე მიუღებელის სარჩელს – 1218 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტურივი გარემოებები:

თ. ძ-ი 1963 წლის 7 მაისიდან 1976 წლის 19 ივნისამდე მუშაობდა კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორაში მე-5 განრიგის მღებავად;

კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორაში მღებავად მუშაობის დროს, 1975 წლის 7 ოქტომბერს, მოსარჩევემ მიიღო ტრავმა, პროფესიული შრომის უნარის 100%-ით დაკარგვით. სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადების სოციალური ცენტრის მიერ გაცემული ცნობით დადგენილია, რომ თ. ძ-ი პირველი ჯგუფის ინვალიდია და იღებს პენსიას 80 ლარს;

კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორის სამართალმემკიდრე არის შპს „კ. 96“.

საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო უწყისების საფუძველზე პალატამ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2006 წლამდე შპს „კ. 96“ მოსარჩევეს სარჩის უხდიდა. 2006 წლის შემდეგ კი, თ. ძ-ს შპს „კ. 96-ის“ სარჩის გადახდის მოთხოვნით აღარ მიუმართავს.

2008 წლის 2 ნოემბრიდან 2011 წლის ნოემბრამდე მიუღებელი სარჩის ოდენობა შეადგენს 1218 ლარს.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ 2008 წლის ნოემბრიდან 2011 წლის ნოემბრამდე მიუღებელი სარჩის ოდენობა შეადგენდა ყოველთვიურად 200 ლარს.

პალატამ მიუთითა, რომ აპელანტმა ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებდა სადავო გარემოებებს.

პალატა დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ საგადასახადო უწყისებს, საიდანაც ირკვევა, რომ 2006 წლის მდგრამარეობით წლიური სარჩის ოდენობა შეადგენდა 406 ლარს, ანუ სარჩის ოვიური ოდენობა იყო – 33,8 ლარი, რაც იმას ნ?შნავს, რომ სამ წელზე 2008 წლის 2 ნოემბრიდან 2011 წლის 2 ნოემბრამდე მიუღებელი სარჩის ოდენობა შეადგენს 1218 ლარს, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ საპელაციო საჩივარი, მოთხოვნის ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილებულიყო.

მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით კი, პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩევემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც, შეიძლებოდა დროის ამ მონაკვეთში გაუცემელი სარჩის დაანგარიშება და სარჩის დანიშვნა. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოპასუხის იმ განმარტებზე, სადაც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ 2006 წლამდე საქმეში წარმოდგენილ საგადასახადო უწყისებში დაფიქსირებული ოდენობით შპს „კ. 96“ თ. ძ-ს უხდიდა სარჩის, ხოლო 2006 წლის შემდეგ მოსარჩევეს შპს „კ. 96-ის“ სარჩის მიღებასთან დაკავშირებით აღარ მიუმართავს. მოპასუხის განმარტებით კი, აღნიშნული ცხადყოფდა, რომ თ. ძ-ს შეეძლო, მიემართა შპს „კ. 96-ის“ 2011 წლის 2 ნოემბრიდან მოყოლებული სარჩის ყოველთვიურად მიღების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩიროა თ. ძ-მა, მოითხოვა გასაჩირებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო პალატის მითითება მასზე, რომ აპელანტმა ვერ წარადგინა ზიანის დამადასტურებელი მტკიცებულებები, არასწორი და დაუსაბუთებელია, ვინაიდან, ძ-მა წარადგინა ყველა მის ხელთ არსებული მტკიცებულება, ხელფასის ოდენობის შესახებ მტკიცებულების წარდგენა კი, მისი შუამდგომლობის საფუძველზე, მონინააღმდეგ მხარეს დაევალა, თუმცა მან, დაუსაბუთებელი მიზეზის გამო, აღნიშნული მტკიცებულება არ წარადგინა. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის საფუძველზე, კასატორი უნდა გათავისუფლებულიყო მტკიცების ტვირთისაგან და აღნიშნული გარემოება დამტკიცებულად მიჩნეულიყო. ამასთან, კასატორის მითითებით, თუ სასამართლო ხელფასის ოდენობას, 200 ლარს, დამტკიცებულად არ მიიჩნევდა, საქმეში წარმოდგენილ საგადასახადო უწყისებით მაინც უნდა ეხელმძღვანელა. კასატორი მიუთითებს, აგრეთვე, იმაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სანარმო ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ სანარმოს გაკოტრების ლიკვიდაციის ან დაზარალებული პირის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის შემცირებისას. ამ შემთხვევაში კი არცერთ ამ შემთხვევას ადგილი არ აქვა. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩის გადახდის გალდებულებისაგან გათავისუფლების რაიმე საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩიროის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩირებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ძ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის (მოსარჩელის) მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სანარმო ტრავმის (100%-იანი შრომისუნარიანობის დაკარგვის) შედეგად მოპასუხის მიერ წარმოშობილი ვალდებულების შესრულება, რაც მხარეთა შორის დავას არ იწვევს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ კიროვის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორაში მღებავად მუშაობის დროს 07.10.1975 წელს მოსარჩევემ მიიღო ტრავმა, პროფესიული შრომის უნარის 100%-ით დაკარგვით.

კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორის სამართალმემკიდრე გახდა შპს „კ. 96“.

ტრავმის შედეგად წარმოშობილ ვალდებულებას მოპასუხე ახორციელებდა 2007 წლის ბოლომდე.

კონკრეტულ შემთხვევაში, დავას იწვევს საკითხი იმის თაობაზე, უნდა დაეკისროს თუ არა მოპასუხეს (შპს „კ. 96“) გადაუხდელი თანხის მოსარჩევლისათვის (თ. ძ-ის) გადახდა და შემდეგ ყოველთვიურად ვალდებულების შესრულება რამდენით უნდა განისაზღვროს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ ურთიერთობაზე ვრცელდება იმ დროს მოქმედი 2007 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშავის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ (ძლადაკარგულია საქართველოს მთავრობის 03/01/2013 №45 დადგენილებით). ამ წესის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სანარმოში, დანესხებულებასა და ორგანიზაციაში (შემდგომში – დამსაქმებელი), ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის მიუხედავად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ამ წესით, საქართველოს შრომის კოდექსით და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში.

აღნიშნული დადგენილებით ახლებურად მოწესრიგდა შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესი, რომელის თანახმად, სხეულის დაზიანებითა და ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურდება არასახელშეკრულებო (დელიქტური) პასუხისმგებლობის ფორმით. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს განზრას ან გაუფრთხილებული მოქმედებით მიყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ნაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩის გადახდით.

იმის გათვალისწინებით, რომ სადაცოს არ წარმოადგენს ტრავმის შედეგად მოსარჩელის 100%-ით შრომისუნარიანობის დაკარგვა და შპს „კ. 96“-ის მიერ 2007 წლის ბოლომდე ვალდებულების შესრულების ფაქტი (რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოს მიერ, რომლის სანინაალმდეგო საკასაციო პრეტენზია არ არის წარმოდგენილი), საკასაციო პალატის აზრით, შპს „კ. 96-ს“ უნდა დაეკისროს ვალდებულების შესრულება, როგორც 2008 წლის ნოემბრიდან 2011 წლის ნოებრამდე მიულებელი სარჩის გადახდით, ასევე – 2011 წლის 2 ნოებრიდან თ. ძ-ის სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიური სარჩის სახით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათემულ დროსა და ადგილას. მაგრამ, როგორც აღინიშნა, დავას ასევე იწვევს მოპასუხისითვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, პირველი გადახდის შემდეგ კითხვებს: რამდენს უხდიდა მოპასუხე სანარმო კასატორს 2007 წლამდე? რამდენ ხელფასს უხდის სანარმო კასატორის პროფესიის მუშა-მოსამსახურეს 2008 წლის ნოემბრის პერიოდიდან არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით? ამ კითხვებით გათვალისწინებული ფაქტების დასადგენად პასუხი უნდა გაცეს პროცესუალური შინაარსის კითხვას: შეიძლება თუ არა თ. ძ-ი განთავისუფლდეს მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან სსსკ-ის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად.

პირველ კითხვასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში წარმოდგენილ №18 საგადასახადო უწყისის თანახმად, 2006 წლის მდგომარეობით ნლიური პენსიის (სარჩის) ოდენობა განისაზღვრებოდა 406 ლარით, რაც თვეში შეაღვენდა 33.8 ლარს.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების სანინაალმდებოდ კასატორმა არ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს ფაქტობრივი გარემოება სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

ზემომითითებული დანარჩენ კითხვებთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს კასატორის იმ პრეტენზიებზე, რომლებიც ეხება პროცესუალურ დარღვევებს, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასანორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი და არ გაათავისუფლა იგი მტკიცების ტვირთისაგან. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ მის მიერ აღმოჩენილი შეამდგომლობა თ. ძ-ის სამუშაოს მსგავს თანამდებობაზე არსებული სახელფასო განაკვეთის თაობაზე დააკმაყოფილა სასამართლომ, თუმცა მოპასუხება არ წარმოადგინა სათანადო მტკიცებულებები და არც საპატიო გარემოებებზე მიუთითა.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციონ პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანა-დოდ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ აღძრული შუამდგომლობა და შუამდგომლობაში მითითებული ფაქტების დასადასტურებლად მოპასუხის მიერ ნარმოსადგენი მტკიცებულებების ვალდებულება, კერძოდ, მტკიცების საგნის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმ გარემოებების დადასტურებას, რომლებიც ეხებოდა 2008 წლის ნოემბრის პერიოდი-დან აღნიშნულ თანამდებობაზე ხელფასის ოდენობის თაობაზე მტკიცებულების გამოთხოვას.

სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მოპასუხის ახსნა-განმარტებას, რომლის თანახმად, შეუძლებელი იყო მოსარჩელის ნარმომადგენლის მიერ შუამდგომლობაში მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაციის (რომელიც შეეხებოდა 1975 წლისათვის და შემდგომ ნლებში მოსარჩელის მიერ დაკავებულ თანამდებობას და ხელფასის ოდენობას) ნარდგენა, იმ მიზეზით, რომ ასეთი სახის დოკუმენტაცია სანარმოს არქივში არ ინახებოდა საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ შენიშნავს, რომ განსახილველ შუამდგომლობაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნია 2008 წლის ნოემბრის პერიოდიდან აღნიშნულ თანამდებობაზე ხელფასის ოდენობის თაობაზე მტკიცებულების ნარმოდგენას ან მისი ნარუდგენლობის მიზეზებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ წერილობითი მტკიცებულების ნარდგენაზე არასაპტიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია, მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმდვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადაკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების ნარდგენაზე.

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესუალურ საშუალებას, რომლის თანახმად მტკიცების ტვირთი შეიძლება, დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც არ ევალება სადაც ფაქტის დადასტურება. მითითებული ნორმის განმარტებისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნორმით განსაზღვრულ მიზანს, რაც გამოიხატება მტკიცებულებების ნარდგენის უზრუნველყოფაში იმ მხარისაგან, რომელთანაც ინახება, კონკრეტულ შემთხვევაში, წერილობითი მტკიცებულება, მაგრამ მის-თვის არ არის ხელსაყრელი მათი სასამართლოში ნარდგენა, რადგან ამ მტკიცებულებით შეიძლება დადასტურდეს მისთვის არასასურველი ფაქტი.

საკასაციო პალატის აზრით, მოპასუხის წერილობითი თუ სხვაგვარი განმარტება (სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის ჩანაწერი 13.38.04 – 13.38.59) არ შეიძლება მივიჩნიოთ ამ მტკიცებულებების ნარუდგენლობის საპატიო მიზეზად. საქმეში არსებულ წერილში მითითებულია მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის შესრულების შეუძლებლობაზე, რაზეც ხელი თვითონ მოპასუხე მხარემ მოანერა, კერძოდ, შპს „კ. 96-ის“ დირექტორმა ი. ჩ-მა. ა. ამდენად, პროცესში მონაწილე მხარის მიერ შედგენილი წერილი (შუამდგომლობის პასუხად შექმნილი დოკუმენტი), რომელშიც აღნიშნულია, რომ მას არ მოეპოვება ნარმოსადგენი მტკიცებულებები, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებების ნარუდგენლობის საპატიო მიზეზის დასადასტურებლად.

საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ, სასამართლოების მიერ არაერთხელ მიმართვის მიუხედავად, მოპასუხე უთითებდა მხოლოდ მის მიერ ამ მტკიცებულებების ნარდგენის შეუძლებლობაზე, მაგრამ ეს ფაქტი არ დასტურდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად იმისათვის, რომ სასამართლომ გადააკისროს მტკიცების ტვირთი მხარეს, რომელსაც არ ევალება სადაც ფაქტის დადასტურება, აუცილებელია, არსებობდეს ორი წინაპირობა:

პირველი, მხარე არ უნდა უარყოფდეს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა და, მეორე, იგი წერილობითი მტკიცებულების ნარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს უნდა ამბობდეს. მხოლოდ ამ პირობების არსებობისას შეუძლია სასამართლოს მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმდვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების ნარდგენაზე.

ამდენად, მითითებული ნორმა არეგულირებს ისეთ სიტუაციას, რომლის თანახმად, მტკიცებულება, რომლითაც მხარეს ევალება მის მიერ მითითებული ფაქტის დადასტურება, ამავე მხარის შუამდგომლობის მიხედვით, გააჩნია მეორე მხარეს. მხოლოდ შუამდგომლობის აღმდვრელი პირის მითითება ქმნის ვარაუდს, რომ პროცესუალურ მონინაალმდეგეს გააჩნია მისთვის საჭირო მტკიცებულება. ამ ვარაუდის გაეკრძილების საფუძველი პროცესუალური მონინაალმდეგეს უარყოფა ამ მტკიცებულების მასთან არსებობის თაობაზე. მაგრამ კონკრეტული დავის გადაწყვეტისას მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პროცესუალურ მონინაალმდეგეს ნარმოსადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც დაევალა სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, ასევე 2008 წლის ნოემბრიდან პერიოდში (შუმადგომლობაში მოთხოვნილია 1975 წლის 7 დეკემბრიდან სარჩელის შეტანის დრომდე პერიოდი, თუმცა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს 2008 წლის 2 ნოემბრიდან პერიოდს) მოსარჩელის თანამდებობაზე ხელფასის ოდენობის თაობაზე მტკიცებულების ნარმოდგენა ან, თუ ასეთი თანამდებობა აღარ არსებობს, შესაბამისი მტკიცებულება (საშტატო განრიგი და ა.შ.). ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული დავის თავისებურებიდან გამომდინარე, მოპასუხე სანარმოში (შპს „კ. 96“) დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა თანამდებობებისა და მათი ხელფასების თაობაზე ინფორმაციის არსებობის ვარაუდს ქმნის არა მოსარჩელის მითითებები, არამედ ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის საქმიანობის სპეციფიკა, შესაბამისად, ივარაუდ-

ბა, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული დოკუმენტაცია გააჩნია შპს „კ. 96-ს“, რომლის საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი აკისრია ამ უკანასკნელს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოპასუხე სამენარმეო იურიდიული პირია, რომლის საქმიანობის განხორციელება დამოკიდებულია შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე. ამდენად, თავისი საქმიანობის განხორციელებისას დიდი ალბათობით მას უნდა გააჩნდეს დასაქმებულ მუშათა საშტატო ერთეულებისა და სახელფასო განაკვეთების შესახებ ცნობები. შესაძლებელია, მას არ გააჩნდეს 1975 წლიდან არსებული მონაცემები, მაგრამ 2008 წლის ნომერის პერიოდიდან, რაც მნიშვნელოვანია დავის გადაწყვეტისათვის, დიდი ალბათობით მას უნდა გააჩნდეს. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ორგანიზაცია არ ფუნქციონირებს, ან მას არ ჰყავს მოსარჩელის პროფესიის მუშა-მოსამსახურე, უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით (მაგალითად, საშტატო განრიგი და სხვა) და არა მისი წერილით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ ჰყიძლება მოპასუხე გათავისუფლდეს ვალდებულების შესრულებისაგან თუნდაც მას საქმიანობა პერიოდს შეჩერებული.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა განუსაზღვროს მოპასუხეს ზემოთ მითითებული განმარტებების მიხედვით საქართველოს სამოქალაქო საპროცესოს კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები და შედეგები, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადგენისათვის წარმოსადგენი მტკიცებულებების თაობაზე, ხოლო მათი ნარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებები. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე მხარე ვერ დაადასტურებს ამ მტკიცებულებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზს, მოსარჩელე უნდა გათავისუფლდეს ამ მტკიცებულებებით დასადასტურებელი ფაქტების მტკიცებისაგან.

საკასაციო პალატა, ასევე ყურადღებას ამახვილებს თ. ძ-ის მეორე მოთხოვნაზე, რომელიც ეხება 2011 წლის 2 ნოემბრიდან თ. ძ-ის სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიურად სარჩის სახით 200 ლარის დაკისრებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის ორივე მოთხოვნა ეხება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამდენად, წარსულში არსებული გადასახდელი თანხის ოდენობასთან ერთად, ვალდებულ პირს უნდა დაეკისროს მომავალში პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების შესრულება ზემოაღნიშნული სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების გათვალისწინებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- თ. ძ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ წარილში და აღნიშნულ წარილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გაცცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

განჩინება

№ას-236-228-2012

21 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობაზე ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
პ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გაუქმება

აღნერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „პ. ფ-ამ“ შპს „.... №1 საავადმყოფოს“ მიმართ და მოითხოვა შპს „.... №1 საავადმყოფოს“ მის სასარგებლოდ დავალიანების, მედიკამენტების ღირებულების 35 473.41 ლარისა და მათ მიერ წინასწარ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1064.20 ლარის დაკისრება.

მოპასუხე შპს „.... №1 საავადმყოფომ“ მთლიანად ცნო წარმოდგენილი სარჩელი, იგი დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას, რომ მას ნამდვილად გააჩნდა დავალიანება მოსარჩელის მიერ მიწოდებული მედიკამენტების ღირებულება 35 473,41 ლარი, მაგრამ საავადმყოფოში არებული ფინანსური მდგომარეობს გამო

არ შეეძლო დავალიანების ერთდროულად დაფარვა და მოსარჩელისგან მოითხოვა გარკვეული ვადის ნა-
ნილ-ნაზილ გადასახდელად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შპს „პ. ფ-ას“ სარჩელი
დაკმაყოფილდა: შპს „... №1 საავადმყოფოს“ შპს „პ. ფ-ას“ სასარგებლოდ დაეკისრა მედიკამენტების ლირე-
ბულების სახით არსებული დავალიანების 35473.41 ლარის გადახდა, მოპასუხე შპს „... №1 საავადმყოფოს“
მოსარჩელის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა 532.50 ლარის გადახდა, შპს „პ. ფ-ას“ მიერ წინასწარ გადახ-
დილი სახელმწიფო ბაჟის თანხის ნაწილის სანაცვლოდ, მოსარჩელე შპს „პ. ფ-ას“ დაუბრუნდა მის მიერ
2011 წლის 15 აგვისტოს სს „თბილისი ბანკში“ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილი –
532.50 ლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაა-
საჩივრა შპს „... №1 ს-მ“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრი
წარმოებაში იქნა მიღებული და ამავე სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მისი განხილვა
დაიმიშნა მთავარ სხდომაზე 2012 წლის 24 იანვარს, 15.00 საათზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბერს სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით
განცხადებით მიმართა შპს „პ. ფ-ამ“ და მოითხოვა უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება სს „კორ
სტანდარტ ბანკში“ გახსნილი შპს „პ. ს-ს“ საპანკო ანგარიშებზე (ბანკის კოდი 2201010945 ანგარიშის ნო-
მერი: GE47GR0000000001004501).

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 დეკემბრის განჩინებით შპს „პ. ფ-ას“ განცხადება,
სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც საჩივრით გაასაჩივრა შპს „პ. ფ-ამ“ და მო-
ითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011
წლის 18 მაისის №01-10/1770 მომართვის საფუძველზე 2011 წლის 20 მაისს შპს „... №1 ს-ს“ კაპიტალიდან
ამოღებულ იქნა და აჭარის არ საკუთრებაში გადაეცა შპს „... №1 საავადმყოფოს“ კუთვნილი შენობა და მი-
ნის ნაკვეთი. შპს „... №1 საავადმყოფო“ დროებით განთავსებულია შპს „... რესპუბლიკურ კლინიკურ საა-
ვადმყოფოს“ შენობაში. საავადმყოფო არ ფუნქციონირებს და მისი შემოსავლები მთლიანად დამოკიდებუ-
ლია პაციენტის მხრიდან დარჩენილი დავალიანების ამოღებაზე, შესაბამისად, ამ გარემოებებზე დაყ-
რდნობით საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებლობის შემთხვევაში
მომავალში ან შეუძლებელი გახდება ან ძალიან დაბრკოლდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრუ-
ლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 იანვრის განჩინებით შპს „პ. ფ-ას“ საჩივრი არ
დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: სარჩელის უზრუნველყოფა, ესაა სასამართლო გადაწყვეტილების
აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება მოპასუხისათვის გარკვეული უფლე-
ბების შეზღუდვის გზით. სწორედ ამიტომა განსაზღვრული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილით, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა შეიცავდეს მითითებას იმ
გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლე-
ბელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. პალატამ მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, ესაა
სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. სა-
ჩივრის ავტორმა კი ვერ დასაბუთა ასეთი აუცილებლობა, ხოლო მითითებული გარემოება, რომ არ გაჭია-
ნურდეს პროცესი არ წარმოადგენდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს
შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მტკიცებას მოცემულ შემთხვევაში სარ-
ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, კერძოდ: სამოქალაქო საპ-
როცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების
თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრ-
უნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილე-
ბის აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გა-
ტარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ
უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვე-
ტილების აღსრულებას, გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ზემოაღნიშული წორმის ანალიზიდან ირკვევა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატა-
რების თაობაზე განცხადება, უნდა შეიცავდეს სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გან-
ხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, ისე, რომ განცხადებაში მითითებულმა გარემოებებმა
სასამართლოს უნდა შეუქმნას მყარაუდი შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან
აღსრულების შეუძლებლობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას, რომ მხარის მიერ პირველი ინ-
სტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება პროცესის აჭიანურებს, ხოლო პროცესის გაჭი-
ანურება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე მეტყველებს. საკა-
საციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს სარჩელის უზრ-
უნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ვინაიდან კანონით ზუსტადა რეგლამენტირებული,

რომ სარჩელის უზურნველყოფა მაშინ ხორციელდება თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემობაც, რომ როგორც საქმის მასალებით ირკვევა, შპს „... №1 საავადმყოფოს“ სააპელაციო საჩივარი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის გაჭიანურების საფუძველი, რაშიც საჩივრის ავტორი გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საფრთხეს ხედავს – აღარ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიმდინევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონის მოთხოვნათა დაცვითა გამოტანილი და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „პ. ფ-ას“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გაცცელება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

განხილება

№ას-744-700-2012

28 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრიგა

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. მ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „...-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ფართის 2008 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 15 იანვრამდე უკანონოდ სარგებლობით მიყენებული ზიანის – 80650,68 აშშ დოლარის, 2006 წლის 10 ივლისიდან 2011 წლის 15 იანვრამდე მინის ნაკვეთის უკანონოდ სარგებლობისათვის 40095 აშშ დოლარისა და შპს „...-ის“ მიერ ჯ. მ-ის კუთვნილი ფართის უკანონოდ ქვექირავნობით მიღებული შემოსავლის – 20 000 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხებ სარჩელი მხოლოდ იჯარის ქირის დაკალიბის – 16500 ლარის ნაწილში ცნო დღგ-ს გადასახდის გამოკლებით, დანარჩენ ნაწილში კი მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „...-ს“ ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 22740 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – მოსარჩელებ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ნაცვლად გადაწყვეტილებით დაკისრებული 22740 ლარისა, ჯ. მ-ის სასარგებლოდ შპს „...-სათვის“ 15905 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით, მოპასუხებ გასაჩივრეს სააპელაციო ნესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ჯ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „...-ს“ ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 100 900,68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება შპს „...-მა“ გაასაჩივრა საკასაციო ნესით, მოითხოვა ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლო-სათვის ხელახლა განსახილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით ჯ. მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით შპს „...-ს“ აეკრძალა გ. პ-ის მიერ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულებლივ ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს ანგარიშზე შპს „...-სათვის“ გადასაცემად ჩარიცხულ 38361 ლარის გატანა და განკარგვა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ მიუთითა, რომ განცხადებაზე დართული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, გ. პ-ს დაეკისრა შპს „...-ის“ სასამართლოდ 37361 ლარისა და საპროცესო ხარჯების გადახდა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლით, 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დასაბუთებულად ჩათვალა ჯ. მ-ის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და ალსრულების მომენტისათვის შესაძლებელია, შპს „...-ს“ არ აღმოაჩნდეს საჭირო ლირებულების ქონება, რაც გაართულებს ან შეუძლებელს გახდის მის ალსრულებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს „...-მა“ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

ჯ. მ-ს არ წარმოუდგენის სასამართლოსათვის შპს „...-ის“ ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულება. დაუშვებელია კერძო საჩივარის ავტორისათვის სადავო თანხის მიღების აკრძალვა, რადგან შპს „...“ ანარმოებს უანგბადს და აწვდის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს.

იმ შემთხვევაში, თუ გართულდებოდა სადავო გადაწყვეტილების ალსრულება, მხარეს უნდა მიემართა სასამართლოსათვის და მოთხოვა შპს-ს ქონების გასხვისების აკრძალვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 აპრილის განჩინებით საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და განსახილველად გაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...-ის“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებები კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების ალსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების ალსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების ალსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ ალსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მოითხოვოს ჯერ კიდევ აღუსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რჩმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენდაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდვას კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილებისა და ერთ-ერთი მხარის უფლებების დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველყოფისას სასამართლო თივალის წინებს ამ გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული მოთხოვნის სამართლებრივ პერსპექტიულობას, თუმცა თავისთვავად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს სადავო მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას არ აწესებს.

მოცემულ შემთხვევაში განცხადებელმა ჯ. მ-მ მოთხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველყოფა, რომლითაც შპს „...-ს“ ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 100 900,68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 19 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. პ-ს დაეკისრა შპს „...-ის“ სასარგებლოდ 37361 ლარისა და საპროცესო ხარჯების გადახდა. სწორედ აღნიშნული თანხის ფარგლებში მოხდა სადავო გადაწყვეტილების ალსრულების უზრუნველყოფა.

გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას საჩივრის ავტორმა საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ჯ. მ-ს სასამართლოსათვის არ წარუდგენია შპს „...-ის“ ქონებრივი მდგომარეობის ამსახ-

ველი მტკიცებულება და, ამასთან, გადაწყვეტილების უზრუნველყოფა უნდა მომხდარიყო ქონების გას-ხვისების აკრძალვის გზით.

აღნიშნულის სანინალმდეგოდ საკასაციო სასამართლო უურადღებას ამახვილებს, რომ შპს „...-ის“, რო-გორც საჩივრის ავტორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოუდგე-ნია სასამართლოსათვის მტკიცებულება მის სახელზე რამე სახის ქონების აღრიცხვასთან დაკავშირე-ბით.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება შპს „...-ის“ ვერც ის არგუმენტი, რომ იგი აწარმოებს უანგბადს და ამარაგებს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, რადგან აღნიშნული ფაქტი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე ვერანაირ სამარ-თლებრივ გავლენას ვერ მოახდენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ჯ. მ-ის სარჩელის ნაწილობ-რივ - 100 900,68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების ფარგლებში დაკმაყოფილების გათვა-ლისწინებით სავსებით სწორად გამოიყენა 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნ-ველყოფის ღონისძიება და გასაჩივრებული განჩინები უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971-ე მუხლის მე-4 ნა-ცილით, 419-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „...-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტისა და 25 აპ-რილის განჩინებები დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

განჩინება

№ას-97-92-2013

2 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოფრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

მ. კ-მა და გ. პ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „ა-სა“ და შპს „ვ-ას“ წინააღმდეგ და მოითხოვეს მოპასუხებისათვის, მათ სასარგებლოდ “სოლიდარულად პირგასამტებლოს - 70000 აშშ დოლარის დაკის-რება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აგვისტოს მ. კ-სა და გ. პ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხებებს: შ. ბ-დ-სა და შპს „ა-ს“ მოსარჩელეთა სასარ-გებლოდ სოლიდარულად დაკისრათ 3000 აშშ დოლარის გადახდა. სარჩელი, შპს „ვ-ის“ შ. ბ-დ-ან და შპს „ა-ან“ ერთად სოლიდარულად 70000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრეს მ. კ-მა და გ. პ-ემ, მოითხოვეს მისი ნაწი-ლობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

2012 წლის 1 ნოემბრს აპელანტების წარმომადგენელმა მომართა სასამართლოს სარჩელის უზრუნ-ველყოფის თაობაზე და მოითხოვა მოპასუხე შპს „ა-ის“ უძრავ ქონებაზე, კერძოდ, ქ თბილისი თ-ის ქუჩა №13 ში მდებარე 144.32 კვ.მ. საცხოვრებელ ფართზე (საკადასტრო კოდი ...) და ქ თბილისი ა. ყ-ის №24გ მდებარე 1376.82 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე (საკადასტრო კოდი ...) ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩი-ნებით მ. კ-სა და გ. პ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ა-ს“ აეკრძალა, მისი კუთხილი ქონების, ქ თბილისში, თ-ის ქუჩა №13-ში მდებარე 144.32 კვ.მ. საცხოვრებელ ფართისა (საკადასტრო კოდი ...) და ქ თბილისში, ა. ყ-ის №24გ მდე-ბარე 1376.82 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართის (საკადასტრო კოდი ...) გასხვისება და შემდგომი უფლებრივი დატვირთვა შემდეგი დასაბუთებით:

საჯარო რეესტრიდან ამონაწერით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი ...) წარმოადგენდა არასაცხოვრებელ ფართს, რომლის სხვადასხვა ნაწილებზე დადებულია რამდენი-მე იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულება, შესაბამისად, ივარაუდება, რომ მოპასუხე აღნიშნულ ქონე-ბას იყენებს კომერციული მიზნით და ლებულობს შემოსავალს. ამასთან, როგორც აღნიშნული ქონება, ასე-ვე საცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი ...), წარმოადგენს არაერთი იპოთეკის ხელშეკრულების სა-

განს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ ღირებულებას. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვის მოცულობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის სახით საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების და უფლებრივი დატვირთვის შემდგომი აკრძალვა უზრუნველყოფს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულებას. რაც შეეხება ყადალას, მისი გამოყენება მოპასუხისათვის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსავლის შეწყვეტის საფუძველია, რითაც დაუშვებლად შეილახება მისი უფლება, ამასთან, იგი სცილდება მოსარჩელის უფლებების დაცვის საჭიროების ფარგლებს.

2012 წლის 3 დეკემბერს შპს „ა-ის“ წარმომადგენელმა საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: განმცხადებლის განმარტებით, მართალია სასამართლოს მიერ გასხვისებისა და შემდგომში უფლებივი დატვირთვის აკრძალვა ეხება ფართის ნაწილს, კონკრეტულად 1376,82 კვ.მ-ს მაგრამ გადაწყვეტილების შინარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად ფართის რომელი ნაწილია შეზღუდვის ქვეშ. ამის გამო რეალურად შეზღუდვა ვრცელდება მთლიან ფართზე, ვინაიდან შეზღუდვისაგან თავისუფალი ფართის ნაწილზეც ვერ ხორციელდება უფლებრივი რეგისტრაცია თუ სხვა მოქმედება. შესაბამისად, არასაცხოვრებელი ფართის, კერძოდ, 1376,82 კვ.მ-ის გასხვისების აკრძალვის გამო ვერ ხერხდება მთლიანი ფართის (8074 კვ.მ) გამოყენება-გასხვისება ანდა უფლებრივად სხვაგვარად დატვირთვა. რაც შეეხება ქ. თბილისში, თ-ის ქ. №13-ში მდებარე საცხოვრებელ ფართზე მიღებულ გადაწყვეტილებას გასხვისებისა ან შემდგომში უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის შესახებ, როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, მითითებული ფართი წარმოადგენს არაერთი იპოთეკის ხელშეკრულების საგანს, რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრე ვერ შეასრულებს იმ იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკითა დატვირთული აღნიშნული ბინა, იპოთეკარებმა ფართის გაყიდვით უნდა განახორციელონ უფლებების რეალიზაცია, სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მირებით კი, არ არის გათვალისწინებული შპს „ა-ა“ და მესამე პირების – იპოთეკარებისა და მეიჯარების ინტერესები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 იანვრის განჩინებით შპს „ა-ის“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა შპს „ა-ის“ კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებაზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიების მიზანი მოსარჩელის ინტერესებს ემსახურება და ადგენს მყარ გარანტიას იმისა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილების აღსრულება. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ლონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ლონისძიება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილელ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გაჩინებით უზრუნველყოფის ლონისძიება გამოყენებულ იქნა უძრავ ქონებაზე. ქონება (საკადასტრო კოდი ...) წარმოადგენს 1376,82 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართს, განლაგებულს 8074 კვ.მ. მინის ნაკვეთზე მდებარე შენობის პირველ სართულზე, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს რამდენიმე იპოთეკის საგანს, ასევე მის სხვადასხვა ნაწილზე დადგებულია იჯარისა და ქირვნობის ხელშეკრულებები; როგორც ზემოაღნიშული ქონება, ასევე საცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი ...), წარმოადგენს არაერთი იპოთეკის ხელშეკრულების საგანს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მათ ღირებულებას. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას საჩივრის არგუმენტის – მთლიანი ფართის 8074 კვ.მ მინის ნაკვეთის გამოყენების თაობაზე და იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ კონკრეტულად ფართის რომელი ნაწილია შეზღუდვის ქვეშ.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ქ. თბილისში, თ-ის ქ. №13-ში მდებარე საცხოვრებელ ფართი, რომელზეც იქნა გამოყენებული უზრუნველყოფის ლონისძიება – აღნიშნული ფართის გასხვისებისა ან შემდგომში უფლებრივი დატვირთვის აკრძალვის თაობაზე, საჯარო რესტრის ამონაწერის თანახმად, წარმოადგენს არაერთი იპოთეკის ხელშეკრულების საგანს, რაც გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში თუ მესაკუთრე ვერ შეასრულებს იმ იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკითა დატვირთული აღნიშნული ბინა, იპოთეკარებმა ფართის გაყიდვით უნდა გა-

ნახორციელონ უფლებების რეალიზაცია, სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებით კი, არ არის გათვალისწინებული შპს „ა-სა“ და მესამე პირების – იპოთეკარებისა და მეიჯარების ინტერესები. აღნიშნულ არგუმენტს საკასაციო სასამართლო ასევე ვერ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად და სრულადი იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მასზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება გარანტირებულია იმ პირთათვის, რომლის უფლების დარღვევასაც აქვს ადგილი. კონკრეტულ შემთხვევაში კი, საჩივრის ავტორის არგუმენტი მოყვანილია იპოთეკარის უფლებებიდან გამომდინარე და ამ საფუძვლით შპს „ა-სა“ საჩივრის დაკმაყოფილება დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ა-სა“ საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ 0 6 ა:

შპს „ა-სა“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ნოემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უარი უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გამოყენებაზე

განრიცება

№ას-1048-983-2012

19 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

2010 წლის 26 აპრილს პ. შ-მ სასამართლოში შპს „მ. ბ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხის კუთვნილ ნაკვეთზე აუცილებელი გზის დაღვენისა და მოპასუხის მიწის ნაკვეთის მისი ნაკვეთის სასარგებლოდ სერვიტულით დატვირთვის მოთხოვნით.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიწის ნაკვეთს გააჩნდა საავტომობილო მისასვლელი გზა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით პ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინებით პ. შ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული განჩინება პ. შ-მ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მარტის განჩინებით პ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინებაზე აუცილებელი გზის დადგენაზე უარის თქმის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატვირთვის ნაწილში გაუქმდა და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუქმდა იმავე პალატას, დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის განჩინება უცვლელად დარჩა;

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პ. შ-მ 2012 წლის 26 ივნისს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობა დააყენა და მოითხოვა:

• მოპასუხე შპს „მ. ბ-ის“ კუთვნილ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქ-ში მდებარე უძრავი ქონებისათვის ყადაღის დადგება;

• შპს „მ. ბ-ისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის შემადგენლობაში მოქცეული საავტომობილო გზით პ. შ-ის მიერ სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვა;

• შპს „მ. ბ-ისათვის“ მიწის ნაკვეთზე გამავალი საავტომობილო გზის შესასვლელის გათავისუფლების დავალება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივნისის განჩინებით პ. შ-ის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე შპს „მ. ბ-ს“ აეკრძალა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქ-ში მდებარე მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან პ. შ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზით სარგებლობაში ხელშეშლა. მოპასუხე „მ. ბ-ს“ ასევე დაევალა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გამავალი საავტომობილო გზის შესასვლელის გათავისუფლება, მასზე შეუზღუდავი და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე პ. შ-მ საჩივარი აღდრა და მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად უთხრა უკარ სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადალის გამოყენებაზე.

2012 წლის 2 ივლისს კი, პ. შ-მ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე ახალი განცხადება აღდრა და ამჯერად მოთხოვა:

• შპს „მ. ბ-ისათვის“ მის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს პ. შ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საჯარო გზებთან დასაკავშირებელი აუცილებელი გზის დასადგენად, რაიმე მოქმედებების განხორციელების აკრძალვა;

• შპს „მ. ბ-ისათვის“ მის სახელზე რეგისტრირებული ქონების ამ ნაწილის მიმართ მესამე პირებთან რაიმე სახის გარიგების დადების აკრძალვა;

• მოპასუხე შპს „მ. ბ-ისათვის“ მის სახელზე რეგისტრირებული ქონების ამ ნაწილის მიმართ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რაიმე სახის ჩანაწერის მოთხოვნის ან რაიმე სახის მოქმედებების განხორციელების აკრძალვა;

• შპს „მ. ბ-ისათვის“ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში მოქცეული გზის, გზის გვერდულებისა და სხვა ნაწილების მიმართ ისეთი სახის სარემონტო სამუშაოების შესრულების, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის, გადაკეთების, დავიწროების აკრძალვა, რის შედეგადაც საავტომობილო გზის დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი გახდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით პ. შ-ის განცხადება უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარემ უკვე გამოყენებული ღონისძიების იდენტური უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება მოითხოვა.

იმავე სასამართლოს 2012 წლის 6 ივლისის განჩინებით პ. შ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამოიგზავნა.

პ. შ-მ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 2 ივლისის განჩინებაზე საჩივარი აღდრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 ივლისის განჩინებით პ. შ-ის აღნიშნული საჩივარი ასევე მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში გამოიგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საჩივრების განხილვისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ პ. შ-ის საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის თანახმად, თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. ნინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით, ანუ, ზემდგომ ინსტანციაში საჩივრის განხილვა კერძო საჩივრის განხილვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად ხორციელდება.

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში უყრადლებას ამახვილებს პ. შ-ის საჩივარზე სააპელაციო სასამართლოს 27 ივნისის განჩინებაზე, ამ განჩინებით, მოსარჩელის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მის მიერ მოთხოვნილი სამი ღონისძიებიდან, სააპელაციო სასამართლომ მიწის ნაკვეთზე ყადალის დადება მიიჩნია არამიზანშეწონილად. სწორედ ამ ნაწილში ასაჩივრებს პ. შ-ე განჩინებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააყადალა შპს „მ. ბ-ის“ კუთვნილი უძრავი ქონება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასამართლო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველსაყოფად კონკრეტული ღონისძიების გამოყენება მჭიდრო კავშირშია დავის საგანთან, რადგანაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი, ზოგადად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის დაცვაა, შესაბამისად, მხარის მიერ შერჩეული უზრუნველყოფის ღონისძიება აუცილებელი უნდა იყოს იმ მატერიალურ-სამართლებრივი სიკეთის შესანარჩუნებლად, რის მიღებასაც იგი სარჩელის მეშვეობით ცდილობს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნა არ არის მიმართული შპს „მ. ბ-ის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთზე მოპასუხის საკუთრების ან სხვა რომელიმე სანივთო უფლების წინააღმდეგ. მხარე არც მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას მოითხოვს, შესაბამისად, არ არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება ვერ აღსრულდეს მოპასუხის კუთვნილი ქონების რეალიზების ან სხვაგვარად დატვირთვის შედეგად. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის საგანი აუცილებელი გზის დადგენაა, რომლის უზრუნველსაყოფადც მთლიან მიწის ნაკვეთზე ყადალის დადება, გაუმართლებელია და მოპასუხის ინტერესებს უსაფუძვლოს შეზღუდავს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 6 ივნისის განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება მეორე საჩივარს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პ. შ-მ სარჩელის უზრუნველსაყოფად, დამატებით, შემდეგი ოთხი ღონისძიების გატარება მოითხოვა:

1. შპს „მ. ბ-ისათვის“ მის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს პ. შ-ის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საჯარო გზებთან დასაკავშირებელი აუცილებელი გზის დასადგენად, რაიმე მოქმედებების განხორციელების აკრძალვის;

2. შპს „მ. ბ-ისათვის“ მის სახლზე რეგისტრირებული ქონების ამ ნაწილის მიმართ მესამე პირებთან რაიმე სახის გარიგების დადების აკრძალვის;

3. მოპასუხე შპს „მ. ბ-ისათვის“ მის სახლზე რეგისტრირებული ქონების ამ ნაწილის მიმართ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რაიმე სახის ჩანაწერის მოთხოვნის ან რაიმე სახის მოქმედებების განხორციელების აკრძალვის;

4. შპს „მ. ბ-ისათვის“ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში მოქცეული გზის, გზის გვერდულებისა და სხვა ნაწილების მიმართ ისეთი სახის სარემონტო სამუშაოების შესრულების, რეკონსტრუქციის, დემონტაჟის, გადაკეთების, დავინტროების აკრძალვის, რის შედეგადაც საავტომობილო გზის დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი გახდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული ჩამონათვალიდან მეორე და მესამე, ფაქტობრივად, ქონებაზე ყადალის დადების ტოლფასი ღონისძიებია, ვინაიდან, მათი მიზანი სწორედ უძრავი ქონების რეალიზაციის ან რომელიმე სანივთო უფლებით დატვირთვის შესაძლებლობის შეზღუდვაა. უძრავი ქონების დაყადალების მიზანშენონილობაზე კი, საკასაციო სასამართლომ უკვე იმსჯელა.

რაც შეეხება პირველ და მეოთხე მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ აღნიშნული ღონისძიები უკვე გამოყენებულის იდენტურია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივნისის განჩინებით მოპასუხე შპს „მ. ბ-ს“ აეკრძალა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქ-ში მდებარე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთიდან პ. შ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზით სარგებლობა-ში ხელშეშლა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სარგებლობაში ხელშეშლის აკრძალვა“ გულისხმობს მოპასუხის ვალდებულებას არ განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც შეაფერხებს პ. შ-ის მიწის ნაკვეთის ცენტრალურ გზასთან დაკავშირებას შპს „მ. ბ-ის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამავალი საავტომობილო გზის გამოყენებით. მოპასუხის ვალდებულებაა, მოსარჩელეს გზით სარგებლობისათვის ფაქტობრივ-სამართლებრივი დაბრკოლება არ შეუქმნას, რაც თავისთვად გულისხმობს საჩივარში ჩამოთვლილი ღონისძიების (დემონტაჟი, რეკონსტრუქცია, გზის დავინტროება და ა.შ.) განხორციელებისაგან თავის შეკავებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. შ-მ ვერ დაასაბუთა მის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების გატარების აუცილებლობა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ განცხადება მართებულად არ დაკმაყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 420-ე, 410-ე, 191-ე, 1971-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. პ. შ-ის საჩივარები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 და 10 ივნისის განჩინები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განრიცხვა

№ას-1382-1304-2012

26 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე პ. ალავიძე

დავის საგანი: გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ვ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ისა და გ. გ-ის მიმართ 2010 წლის 26 იანვრის იპოთეკის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ქ.თბილისში, ც-ის გასავალ №3-ში მდებარე 219 კვ.მ მინის ნაკვეთის, ასევე შენობის 1/2-ის მოსარჩელისათვის დაბრუნებისა და საჯარო რეესტრში მის სახელზე აღრიცხვის თაობაზე.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა საპელაციო წესით.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 თებერვლის განჩინებით საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

აღნიშნულ განჩინებაზე ვ. გ-მა წარადგინა საკასაციო საჩივარი, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მიჩნეული იქნა დაუშვებლად და დარჩა განუხილველად.

თბილისის საპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მოპასუხე გ. გ-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინებით გ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდა.

საპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. გ-მა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. გ-ის კერძო საჩივარი შინაარსობრივად სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინებაზე წარდგენილი საჩივარია და ის განსახილველად უნდა გადაეცეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 თებერვლის განჩინებით ვ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამავე კოლეგიის 2011 წლის 19 აპრილის განჩინებით კი, ვ. გ-ის საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსაბუთებლობის მოტივით განსახილველად გადაეცა ზემდგომ სასამართლოს.

უდავოა, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი განჩინება ვ. გ-ის საჩივარის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. მოპასუხე გ. გ-ს აეკრძალა მისი კუთვნილი, ქ.თბილისში, ც-ის გასასვლელის №3-ში მდებარე ქონების გასხვისება ან მისი უფლებრივად დატვირთვა.

დავას არ იწვევ ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ვ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და გადაწვეტილება შესულია კანონიერ დალაში.

დასტურდება, რომ საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ღონისძიების გაუქმების თხოვნით თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მოპასუხე გ. გ-მა, ხოლო საპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, საჩივარის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის შესახებ გამოტანილ განჩინებაზე შეიძლება საჩივარის შეტანა. განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მხარისათვის გადაცემის მომეტიდან. ამავე კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად, სასამართლო საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ამდენად, კანონით დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინებების, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრებისა და მისი განხილვის წესი, კერძოდ, დადგენილია ყველა

ასეთი განჩინების საჩივრის წარდგენის გზით გასაჩივრების შესაძლებლობა 5 დღის ვადაში, ხოლო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ კანონმდებელი განჩინების გამომტან სასამართლოს მიმწევე.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 სექტემბრის განჩინება გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

ამდენად, ნათელია, რომ კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე მიღებული განჩინების მართლზომიერებას, რაც პროცესუალური თვალსაზრისით არ შეიძლება განხორციელდეს კერძო საჩივრის წარდგენის გზით. საყურადღებო ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მიღებული განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობას კი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ასეთი განჩინება, როგორც ზემოთ ვანიმარტა, შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით და არ კერძო საჩივრით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც საჩივარი უნდა განიხილოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹ მუხლის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 197¹ მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. გ-ის საჩივარი განსახილველად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

განჩინება

№ას-380-353-2010

5 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „კ-ას“ დირექტორმა მ. ვ-ამ მ. ს-ისა და ნოტარიუს მ. მ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის 500 000 აშშ დოლარის დაკისრების, ასევე 2003 წლის 27 მაისის №... ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელობის მოთხოვნა გაზარდა და მ. ს-ისათვის 1 000 000 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ს. ს-ე ჩაება.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „კ-ას“ დირექტორ მ. ს-ე-ვ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მ. ს-ეს მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ 308756 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი დაეკისრა, ასევე ბათილად იქნა ცნობილი მ. ს-ესა და ს. ს-ეს შორის 2003 წლის 27 მაისს გაფორმებული №... ჩუქების ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ს-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2006 წლის 24 ივლისს სასამართლოს მთავარ სხდომაზე, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის ძალითაც მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება.

იმავე სასამართლოს 2010 წლის 17 მარტის განჩინებით გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით ქ. მოსკოვის ფირმა „კ-ა მ-ს“ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით

გამოყენებული ღონისძიება, ქ. ოზურგეთში, ა-ის ქ. №120-ში მდებარე შპს „...კომპანია გ-ას“ ყადალა მოეხსნა.

აღნიშნული განჩინება შპს „კ-ას“ დირექტორმა მ. ვ-ამ გაასაჩივრა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლო ტენდენციური იყო საქმის განხილვისას. სასამართლომ იმგვარად განახორციელა 3 წლის წინ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება, რომ საქმის მასალები არ შეუსწავლია და არ გაუკვევია, ვის სახელზე ირიცხებოდა ...კომპანია. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი ობიექტურად საფუძვლიანი იყო, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ უნდა გაუქმებულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „კ-ას“ დირექტორ მ. ვ-ას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებულია სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ განჩინება.

ვინაიდან საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „კ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა როგორც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება, ასევე 2010 წლის 11 თებერვლის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, კანონიერ ძალაში შედის უკვე აღსრულებული 2006 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს გარემოება კი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღდგენის სამართლებრივ ინტერესს გამორიცხავს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „კ-ას“ დირექტორ მ. ვ-ას საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

განჩინება

№ას-1226-1246-2011 2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ზ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 21 დეკემბრის №7971 ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის 305-ე ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 12 მარტის №241 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო ნესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 ივლისის განჩინებით ზ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო ნესით გაასაჩივრა ზ. ჯ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 სექტემბრის განჩინებით კასატორის განხესაზღვრა 3-დღიანი ვადა სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითორის ნარმოსადგენად. აღნიშნული განჩინების ასლი კასატორს გაეგზავნა კანონით დადგენილი ნესით და ჩაბარდა 2011 წლის 28 სექტემბერს. შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა ამოინურა 2011 წლის 3 ოქტომბერს, მაგრამ აღნიშნულ ვადაში კასატორს ხარვეზი არ შეუვსია.

2011 წლის 5 ოქტომბერს ზ. ჯ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მო-ითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება 10 დღით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ოქტომბრის გან-ჩინებით ზ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

ზ. ჯ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა, ვინაიდან ხარვეზის შევსების ვადაში ობიექტური მიზეზის, უსახსრობის გამო, ვერ შეძლო სასა-მართლოში სახელმწიფო პაუის გადახდის ქვითრის წარმოდგენა და სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სასამართლოს ვერ მიმართა განცხადებით საპროცესო ვადის გაგრძელებაზე, ვინაიდან იმყოფებოდა ქა-ლაქვარეთ – რაიონში, ამიტომ თბილისში დაბრუნებისთანავე 2011 წლის 5 ოქტომბერს მიმართა განცხა-დებით საპროცესო ვადის გაგრძელების თხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ჯ-ის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემ-დეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებელი ხარვეზის შევსების ვადის აღდგენის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ იმ-ყოფებოდა ქალაქებარეთ, რაიონში, ამიტომ თბილისში დაბრუნებისთანავე განცხადებით მიმართა სასამარ-თლოს საპროცესო ვადის გაგრძელების მოითხოვნით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოება მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში შე-უსრულებლობის საპატიო მიზეზად, რამდენადაც იგი არ დასტურდება არანაირი მტკიცებულებით. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასახელებულ გარემოებაზე განმცხადებელს არ მიუთითებია მის მიერ წარმოდგენილ 2011 წლის 5 ოქტომბრის განცხადებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო ვადა კანო-ნით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს სასამართლო. საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზ-ღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

ამავე კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებით. ამდენად, საპროცესო მოქმედებისათვის განსაზღვრუ-ლი ვადა სასამართლოს შეუძლია აღადგინოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვადის აღდგენისათვის არსებობს საპატიო მიზეზი და ვადის აღდგენა არ ენინააღმდეგება კანონით დადგენილ ნორმებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებათა ჩამო-ნათვალს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის სა-პატიო მიზეზად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამონვეულია ავადმყო-ფობით, ახლო ნაოვავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამ-დგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწე-სებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასა-მართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. დასახელებული საპროცესო ნორმის დანაწესიდან გამომდინარე ობიექტური გარემოება უნდა იყოს განსაკუთრებული, ისეთი, რომელიც ობიექტურად შეუძ-ლებელს ხდის მხარემ შეასრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრუ-ლებლობა არ იყო გამოცხადებული საპატიო მიზეზით, ზ. ჯ-ის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაო-ბაზე დაკმაყოფილებას არ ეცვემდებარებოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

დ ა ა დ გ 0 6 ა:

ზ. ჯ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
კ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უძრავი ქინებიდან რეალური წილის გამოყოფა

აღნერილობითი ნაწილი:

ნ. ყ-ემ სარჩელი აღმრა სასამართლოში ტ. ყ-ის, ა. ყ-ისა და დ. ს-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან რეალური წილის გამოყოფა, სახლთმფლობელობის 1/5 წილის ფარგლებში ტ. ყ-ესა და დ. ს-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე საჯარო რეესტრში განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილად ცნობა, მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა და მოსარჩელისათვის გადაცემა.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნოს და მოითხოვს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ყ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათოლა დ იქნა ცნობილი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №48-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/5 წილის ფარგლებში მოპასუხებდა: ტ. ყ-ესა და დ. ს-ეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მის საფუძველზე განხორციელებული სარეგისტრაციო მოქმედება. ნ. ყ-ეს უარი ეთქვა მოპასუხეების: ტ. ყ-ესა და ა. ყ-ისაგან ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №48-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის დანართის 2-ის „ა“ ვარიანტის მიხედვით 48 კვ.მ ოთახების და დანართი 3-ის „ა“ ვარიანტის მიხედვით 420 კვ.მ მინის ნაკვეთის რეალური წილის გამოყოფაზე, ასევე უარი ეთქვა მოსარჩელეს მოპასუხებდის თანმხლებ პირებთან ერთად აღნიშნული ქონებიდან გამოსახლებასა და თავისუფალ მდგომარეობაში მოსარჩელისთვის ჩაბარებაზ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ყ-ემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ტ. ყ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ტ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. ყ-ის სარჩელი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ნ. ყ-ის სააპელაციო სადაცის გამოყოფილი ნაწილიდან ტ. ყ-ის გამოსახლების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ყ-ის სარჩელი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ნილის გამოყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა, ნ. ყ-ეს, ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამოეყონ ნილის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დასკვნის დანართი „2“ და დანართი „3-ის“ შესაბამისად, ნ. ყ-ის სარჩელი სადაცი უძრავი ქონებიდან ტ. ყ-ის გამოსახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, ტ. ყ-ე გამოსახლებულ იქნა ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე ნ. ყ-ისათვის მიკუთხებული უძრავი ქონებიდან, ნ. ყ-ის სარჩელი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ტ. ყ-ის ს „თანმხლები“ გამოსახლების ნაწილში დარჩა განუხილველად, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ტ. ყ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თანასაკუთრებიდან ნილის გამოყოფის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ნივთით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთის ნაწილში ნ. ყ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ტ. ყ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. ყ-ის წარმომადგენელმა, ი. შ-ემ და მოითხოვა იმის განმარტება, თუ ექსპერტის დასკვნის რომელი ვარიანტის მიხედვით უნდა მომხდარიყო ნ. ყ-ისათვის ქონებიდან ტ. ყ-ის ს გამოყოფა ამავე მოტივით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს განჩინებით ნ. ყ-ის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ტექსტი: „ნ. ყ-ეს, ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამოეყონ ნილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დასკვნის დანართი „2“ და დანართი „3-ის“ შესაბამისად“ განიმარტა შემდეგი სახით: ნ. ყ-ეს, ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამოეყონ ნილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დასკვნის დანართი „2“ ვარიანტი „ბ-ს“ და დანართი „3“ ვარიანტი „ა-ს“ შესაბამისად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ყ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30

აგვისტოს განჩინება ამავე სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დაკავნის დანართი „2“ ვარიანტი, „ბ“-ს შესაბამისად განმარტების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩა უცვლელად.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების განმარტების იმ ნაწილში, რომლითაც საცხოვრებელი სახლიდან წილის რეალური გამოყოფა მოხდა ექსპერტიზის დასკვნის დანართი №2-ის „ბ“ ვარიანტის შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად მიაკუთვნა მხარეს ის, რაც მას განხილვის ეტაპზე არ მოუთხოვნია და ამასთან, კანონმდებლობით გადაწყვეტილების ფარგლების მიმართ დადგენილი იპერატიული აკრძალვები არაარსებითად აქცევდა სასამართლოს იმ მსჯელობას, რომ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის №2 დანართის „ა“ ვარიანტით წილის გამოყოფა მოითხოვს ნივთის რეგიონსტრუქციას, გამიჯვნა ამავე დანართის „ბ“ ვარიანტის შესაბამისად უნდა განხორციელდეს, რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ ნაწილში კერძო საჩივრის დაკამაყოფილების და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30 ოქტომბრის განჩინებით ნ. ყ-ის წარმომადგენელ ი. შ-ის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკამაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ტექსტი: „ნ. ყ-ეს, ქ. ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამოყოფს წილის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დასკვნის დანართი „2“-ის შესაბამისად “განიმარტოს შემდეგი სახით: ნ. ყ-ეს, ქ. ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამოყოფს წილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დასკვნის დანართი „2“ ვარიანტი „ა“-ს შესაბამისად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ტ. ყ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება სემდეგი საფუძვლებით: განმცხადებელი სააპელაციო საჩივრით ზოგადად მოითხოვდა ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე სახლმფლობელიდან და მინის ნაკვეთიდან მისი კუთვნილი წილის რეალურად გამოყოფას, ისე, რომ არ აზუსტებდა მოთხოვნას, მათ შორის, არც სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სააპელაციო საჩივრში, გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობების გრაფაში აღნიშნავდა, რომ მთავარი იყო იმის დადგენა, შესაძლებელი იყო თუ არა წილის რეალურად გამოყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება და არა კონკრეტულად სამკვიდროს რა ნაწილის მიკუთვნება იყო შესაძლებელი, ასევე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ წილის გამოყოფა მთლიანი სამკვიდრო მასიდან უნდა განხორციელებულიყო. სამართლებრივ უსწორობად კი, აპელანტი მიუთითებდა სამართლის იმ ნორმებზე, რომელითაც თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა შესაძლებელი. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარე აპელირებდა ასევე საზიარო უფლების გაუქმების შესაძლებლობაზე, ისე, რომ არ მიუთითებდა გაყოფის კონკრეტულ ვარიანტზე, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩამოყალიბდა მხარის სააპელაციო მოთხოვნის ფარგლებში. გადაწყვეტილების არც ერთ ნაწილში სასამართლოს არ უმსჯელია, ექსპერტიზის დასკვნის რომელი ვარიანტის „ა“ ან „ბ“ ვარიანტით უნდა მომხდარიყო სამკვიდროს გაყოფა, ხოლო, გადაწყვეტილების განმარტებით, სააპელაციო პალატა გასცდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის ფარგლებს და საქმეზე ფაქტობრივად ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა, მიეთითა ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე, რასაც შედეგად არა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა, არამედ გადაწყვეტილების არსებითა შეცვლა მოჰყვა, მითითებული კი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მოთხოვნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ტ. ყ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძვლად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი მისი აღსრულების უზრუნველყოფას. ამდენად, იმისათვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წარამდლვრები, განცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანების გამო, ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელის შემსრულებლივ ფაქტობრივი წარამდლვრების დანიშნულების დანარჩენ ნაწილში განვითარება წარმომაშობა მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება ამავე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში განჩინება დარჩა უცვლელად.

ლების განმარტება დასაშვებია ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ვინაიდან კანონიერ ძალაში შესვლამდე გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება (გარდა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილებებისა), დაუშვებელია და აღსრულების ხელშეწყობის საჭიროებაც არ წარმოიშობა, რაც გადაწყვეტილების განმარტების მიზანს წარმოადგენს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელის თანახმად, ნ. ყ-ე სხვა სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად, მოითხოვდა საცხოვრებელი სახლიდან 48 კვ.მ ოთახებისა და 420 კვ.მ მინის ნაკვეთის რეალური ნილის გამოყოფას საქმეში არსებული 2009 წლის 11 მარტის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის №294/5-ის დანართი „2-ის“ „ა“ ვარიანტის მიხედვით, ხოლო მინის ნაკვეთის გამოყოფას – ამავე დასკვნის დანართი „3-ის“ „ა“ ვარიანტის მიხედვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ მხარი დაუჭირა თავის მოთხოვნას და განმარტა შემდეგი: „ჩვენი საბოლოო მოთხოვნაა დაკმაყოფილდეს ჩვენი მოთხოვნა და ოთახების გამოყოფის ნაწილში სასამართლომ იხელმძღვენელოს დანართი 2-ის „ა“ ვარიანტით და მინის ნაკვეთის ნაწილში კი, დანართი 3-ის „ა“ ვარიანტით.

საქმის მასალების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით, რომლის განმარტების სისწორეც წინამდებარე კერძო საჩივრის საგანს წარმოადგენს, ტ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ნ. ყ-ის სარჩელი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ნ. ყ-ისათვის ნილის გამოყოფისა და გამოყოფილი ნაწილიდან ტ. ყ-ის გამოსახლების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ყ-ის სარჩელი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ნილის გამოყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა, ნ. ყ-ეს, ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან გამოყოფილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტის 2009 წლის 18 მარტის დასკვნის დანართი „2“ და დანართი „3-ის“ შესაბამისად, ნ. ყ-ის სარჩელი სადაც უძრავი ქონებიდან ტ. ყ-ის გამოსახლების თაობაზე დაკმაყოფილდა, ტ. ყ-ე გამოსახლებულ იქნა ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ.№8-ში მდებარე ნ. ყ-ისათვის მიკუთვნებული უძრავი ქონებიდან, ნ. ყ-ის სარჩელი ქ.ქობულეთში, ლ-ის ქ. №8-ში მდებარე უძრავი ქონებიდან ტ. ყ-ის „თანმხლები პირების“ გამოსახლების ნაწილში დარჩა განუხილველად, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო სწორად დაეთანხმა განმცხადებლს მასზე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი საჭიროებდა განმარტებას, ვინაიდან გადაწყვეტილებით, რომლითაც განისაზღვრა მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა უძრავ ნივთზე, ნათლად არ დადგენილა ამ უფლების რეალიზაციის კონკრეტული წესი, კერძოდ, საკასაციო პალატის აზრით, სასამართლომ მართალია დააკმაყოფილა ნ. ყ-ის სარჩელი სამკვიდროდან ნილის გამოყოფის თაობაზე, მოსარჩელის უფლების რეალური გაყიდვა დაუკავშირს საქმეში წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნას, თუმცა არ განუსაზღვრავს დასკვნაში მოცემულ ვარიაციათაგან რა სახით უნდა გაყიდვილიყო თანასაკუთრება, ის ფაქტი, რომ ექსპერტის დასკვნა საზიარო უფლების რამდენიმე გზით გაყიდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს, სასამართლოს მხრიდან ამ გაყიდვის ერთ-ერთი კონკრეტული გზის მიუთითებლობა, სწორედ გადაწყვეტილების ბუნდოვანებას იწვევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამსართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის განმარტებას მასზე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი, განმარტებით კი, ფაქტობრივად შეიცვალა იგი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ტ. ყ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ტ. ყ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 ოქტომბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა
მხარეთა გამოუცხადებლობისას

განვითარება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინძშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სამართალმექვიდრედ ცნობა და სააღსრულებო ფურცლის გაცემა

აღნერილობითი ნაწილი:

ლ. ჭ-შვილმა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში სს „ა-ის“ მიმართ და მოითხოვა სა-ნარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ა-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 48.60 ლა-რის გადახდა და ბოლო სამი წლის მიუღებელი სარჩო 1149.60 ლარის ოდენობით.

აღნიშვნულ გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „ა-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ჭ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ა-ს“ ლ. ჭ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად სარჩოს სახით 20.79 ლარის გადახდა მდგომარეობის შეცვლამდე, ხოლო ერთდროულად გადასახდელად – 343.80 ლარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. ჭ-შვილმა, რომლითაც მოითხოვა სს „ა-ის“ უფლებამონაცვლეთა დადგენა და, შესაბამისად, მოვალე სუბიექტებზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინებით ლ. ჭ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის სს „ა-ის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სს „ი. (ს.კ ...), შპს „ი-ი“ (ს.კ ...), შპს „ხ-ი“ (ს.კ ...), შპს „ტ-ო“ (ს.კ ...) და შპს „დ-ო“ (ს.კ ...); ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაზე გაიცა ახალი სააღსრულებო ფურცელი და მოვალედ ნაცვლად სს „ა-ისა“ მითითებულ იქნა სს „ი. (ს.კ ...), შპს „ი-ი“ (ს.კ ...), შპს „ხ-ი“ (ს.კ ...), შპს „ტ-ო“ (ს.კ ...) და შპს „დ-ო“ (ს.კ ...).

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სს „ა-ის“ აქციონერთა საერთო კრებაზე გადაწყდა საკითხი სს „ა-ის“ გაყოფის შესახებ და აქციონერთა კუთვნილი აქციების შესაბამისად, ნაცურით გაყოფილი ქონების ბაზაზე დაფუძნდა 6 სუბიექტი, რომელთაგან ერთ-ერთი სს „ქუთაისი 3000“ ლიკვიდირებულ იქნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 06.09.096. გაკოტრების საქმის ნარმოების დასრულების შესახებ განჩინების საფუძველზე;

საქმეში ნარმოდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 4 იანვრის წერილით სა-სამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „ა-ის“ უფლებამონაცვლე სუბიექტები არიან სს „ი. (ს.კ ...), შპს „ი-ი“ (ს.კ ...), შპს „ხ-ი“ (ს.კ ...), შპს „ტ-ო“ (ს.კ ...) და შპს „დ-ო“ (ს.კ ...), რომლებიც ნარმოიშვნენ სს „ა-ის“ გა-ყოფის შედეგად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლზე მითიტებითა და „სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სა-სამართლომ ლ. ჭ-შვილის განცხადება საფუძვლინად მიიჩნია და დაკმაყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს სს „ი. (მა, (ს.კ ...), შპს „ი-მა“ (ს.კ ...), შპს „ხ-მა“ (ს.კ ...), შპს „ტ-მ“ (ს.კ ...) და შპს „დ-ომ“ (ს.კ ...), მოითხოვეს მისი გაუქმება და იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილვებულ დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ დასახელებული განჩინება მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებითაა მიღებული, კერძოდ, არცერთი ზემოაღნიშნული სუბიექტის ნარმომადგენელი სასამართლო სხდომას არ ესწრებოდა, ვინაიდან ისინი არ იყენებოდა დაკმაყოფილდებოდნენ სასამართლო პროცესზე დანიშვნის თაობაზე სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, რაც სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური სა-ფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ი-ის“, შპს „ი-ის“, შპს „ხ-ის“, შპს „ტ-ის“ და შპს „დ-ოს“ კერძო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილვებულ შემდეგ გარე-მოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადაც ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ წორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა წარმოებს სასამართლო სხდომაზე მხარეთა შეტყობინებით, რომელთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის გადაწყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სს „ა-ის“ უფლებამონაცვლეთა დადგენისა და, შესაბამისად, მოვალე სუბიექტებზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე ლ. ჭ-შვილის განცხადების განხილვის მიზნით დანიშნული სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სს „ა.ის“ უფლებამონაცვლეებს – სს „ი-ს“, შპს „ტ-ს“, შპს „ი-ს“, შპს „დ-ოს“ და შპს „ხ-ს“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, არ შეატყობინა, მიუხედავად იმისა, რომ მათი უფლებამონაცვლეობა საქმის მასალებით დადასტურებულად იყო მიჩნეული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული სუბიექტების კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის დროისა და ადგილის შეუტყობინებლობის პირობებში, მათ მიმართ სააპელაციო პალატამ დაარღვია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მხარეთათვის მინიჭებული საპროცესო უფლებები საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებისა და სასამართლოს მიერ საპროცესო მოქმედებათა შეტყობინების შესახებ. აღნიშნული კი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „ა-ის“ უფლებამონაცვლეების – სს „ი.“-ის, შპს „ი-ის“, შპს „ხ-ის“, შპს „ტ-სა“ და შპს „დ-ოს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის ნარმოების შეცვეტა

განვითარება

№ას-1770-1750-2011

6 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომსხენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ომ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. შ-ის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2008 წლის 1 თებერვალს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოსა“ და გ. შ-ს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოპასუხებ ისესხა 5000 აშშ დოლარი. სესხი გაიცა 18 თვის ვადით ყოველთვიურად 1,24% სარგებლის დარიცხვით. ამავდროულად მესხებლის მიერ სესხის დაფარვის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში მსესხებელს ერიცხება პირგასამტებლო 0,27% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გ. შ-მა 2009 წლის თებერვლიდან შეწყვიტა თანხის გადახდა.

გ. შ-მა სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოსგან“ პირადად სესხი არ მიუღია და შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მისთვის თანხის დაკისრების შესახებ დაუსაბუთებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ სარჩელი დაქმაყოფილდა, გ. შ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 3,977,40 აშშ დოლარის გადახდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. შ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით გ. შ-სა და შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: „გ. შ-ი თანახმაა, გადაიხადოს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ სასარგებლოდ 3250 აშშ დოლარი, ასევე საქალაქო სასამართლოში შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟს ნანილი 174,84 ლარი შემდეგი წესით: გ. შ-ი თანახმაა გადაიხადოს 3250 აშშ დოლარი და 174,84 ლარი 12 თვის ვადაში. პირველი გადახდა განხორციელდება 2011 წლის 28 ნოემბერს 270,83 აშშ დოლარისა და 174,84 ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდება თვეში 270,83 აშშ დოლარის ოდენობით, 2012 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით; შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ დაუბრუნდება გ. შ-ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟს 32,80 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. შ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ არსებობდა ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, ვინაიდან მასა და შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ შორის ხელშეკრულება არ დადგებულა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გაასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. შ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გაასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომელიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით, ხოლო, მე-3 მუხლის მეორე ნანილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული წორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას.

ამასთან, საქმის მორიგებით დასრულებისას გაასართლოს სინიერებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნანილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. ამდენად, მორიგების პირობებზე შეთანხმებას მხარეები განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ, ვინაიდან სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ განსახილველი დავა მთავრდება და მხარეთა შეთანხმებას სასამართლო გადაწყვეტილების ძალა ენიჭება.

მოცემულ შემთხვევაში მოდავე მხარეებმა გ. შ-მა და შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ გამოავლინეს ნება მორიგების შესახებ, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სწორად მიიღო განჩინება მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. შ-ის ნების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძვლის არსებობა არც საქმის მასალებით და არც წარმოდგენილი კერძო საჩივრით არ დასტურდება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მას და შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კ-ოს“ შორის ხელშეკრულება არ დადგებულა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით მორიგების აქტის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან მორიგების განჩინება თავისი ბუნებით მოდავე მხარეთა ნამდვილი ნების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების დადასტურებაა და მისი გაუქმება დასაშვებია, მხოლოდ მაშინ, თუკი იგი ეწინააღმდეგება კანონს და ლახავს მესამე პირთა ინტერესებს ან სრულყოფილად არ ასახავს მხარეთა მიერ მორიგების აქტით გამოხატულ ნებას. მოცემულ შემთხვევაში მხარეთათვის კანონით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზება განხორციელდა მათ მიერ მორიგების აქტზე ხელმოწერის გზით, რის გამოც გ. შ-ის მსჯელობა მორიგების აქტის გაუქმების შესახებ საფუძველს მოკლებულია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გ. შ-ის კერძო საჩივარი არ დაქმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის ნარმოების შეცვეტა

განხილვა

№ას-1022-957-2012

10 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნება

აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 28 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“ მოპასუხე სს „პ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლობ 72 232.25 ევროს დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 29 დეკემბერს სს „ტპ-სა“ და რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ მხრიდან დასმულია სფფ-ს პრეიზ-დენტის ნ. ა-ის ფაქტის მილე;

რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ 2008 წლის 22 დეკემბრის №226 ბრძანების თანახმად, ნ. ა-ს პირადი განცხადების საფუძველზე 2008 წლის 22 დეკემბრიდან მიეცა კუთვნილი შვებულება 24 დღით, 2009 წლის 24 იანვრამდე;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრომაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამართველოს 2011 წლის 12 აპრილის №12/5/8/1-442973 წერილის თანახმად, ნ. ა-ის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტები და საკონტროლო გამტარი პუნქტების გავლით 2008 წლის დეკემბრის თვეში დაფიქსირდა „აეროპორტ-თბილისის“ გავლით;

სს „პ-ს“ რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან“ მიღებული აქვს 72 232.45 ევროს ოდენობის თანხა პირგასამტკებლოს სახით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულება რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ მხრიდან ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, კერძოდ, რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ წესდების 38-ე პუნქტის თანახმად, ხელმოწერის და ნარმომადგენლობითი უფლებამოსილებანი ხორციელდება სფფ-ს პრეზიდენტის ან მისი არყოფნის შემთხვევაში სფფ-ს გენერალური მდივნის მიერ. ნ. ა-ი 2008 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულების გაფორმების თრიალი იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში და მას გადაკვეთილი ჰქონდა საქართველოს საზღვარი. დასახელებული პუნქტის თანახმად, ფედერაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება უნდა განხორციელებულიყო არა სფფ-ის პრეზიდენტის, არამედ სფფ-ს გენერალური მდივნის მიერ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის, აუცილებელი პირობა იყო გარიგების არსებით პირობებზე შეთანხმება შესაბამისი ფორმით და მასში მონაწილე სუბიექტების უფლებამოსილება შეთანხმების საგანმანათლებლო კი 2008 წლის 29 დეკემბრის ხელშეკრულება რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ მხრიდან დადებულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

საქალაქო სასამართლომ ასევე გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 54-ე მუხლები, რომელთა თანახმადაც ხელშეკრულება წარმოდგენილ მხარეებს შორის არ არსებობდა, ვინაიდან სახეზე არ იყო რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ წარმომადგენლის ნების გამოვლენა და ამგვარი ხელშეკრულება ვერ წარმოშობდა სამართლებრივ შედეგებს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სახეზე იყო უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა, ანუ შემთხვევა, როდესაც ერთი პირის გამდიდრება მოხდა მეორის ხარჯზე და ეს გამდიდრება მოკლებული იყო იურიდიულ საფუძველს. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ დამდგარი ობიექტური შედეგი, ხოლო ის, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი - საქმისათვის არ იყო რელევანტური. შესაბამისად, უნდა მომხდარიყო არაუფლებამოსილი სუბიექტისგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღება და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „პ-მა“ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით სს „პ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკამაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ 2008 წლის 29 დეკემბერის ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით იყო გაფორმებული და, შესაბამისად, ნამდვილ გარიგებას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლზე და განმარტა, რომ სადაც საკრედიტო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მასში მონაწილე სუბიექტის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა ამგვარი ხელშეკრულების დადებაზე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 2008 წლის 29 დეკემბრის №ს/ც 0098 საკრედიტო ხელშეკრულებაზე მსესხებლის მხრიდან დასმულია რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტის – ნ. ა-ის ფაქსიმილე, ანუ ხელშეკრულების დადების ნება ამ შემთხვევაში გამოვლენილია სფუ-ს პრეზიდენტის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებს არასამენარმეო იურიდიული (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხებს. ამ ნორმის დანაწესით, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძლიერდის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთან ევროპიული პირის მინიჭებული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას. საქმეში წარმოდგენილი რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ წესდების 38-ე მუხლით განისაზღვრება იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების მქონე სუბიექტი, რომელსაც მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით წარმომადგენს სფუ-ს პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი, სფუ-ს გენერალური მდივანი. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ სადაც ხელშეკრულების დადების დროისათვის, კერძოდ 2008 წლის 29 დეკემბერს რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტი – ნ. ა-ი იმყოფებოდა კუთვნილ შეებულებაში 2008 წლის 22 დეკემბრიდან 24 დღით, 2009 წლის 24 იანვრამდე. საქმეში წარმოდგენილი საქართველოს შინაგანი საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს 2011 წლის 12 აპირილის ნერილით დასტურდება, რომ ნ. ა-ი 2008 წლის 29 დეკემბერს საქართველოში არ იმყოფებოდა. ამდენად რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ სახელით მესამე პირებთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტს წარმომადგენდა არა ნ. ა-ი, არამედ სფუ-ს გენერალური მდივანი. შესაბამისად, რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ სახელით საკრედიტო ხელშეკრულების დადების ნებაც სფუ გენერალურ მდივანს უნდა გამოევლინა. ამ ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ 2008 წლის 29 დეკემბრის საკრედიტო ხელშეკრულება როგორც არაუფლებამოსილი სუბიექტის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე დადებული გარიგება არღვევდა კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლისა, რომლის დანაწესით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის წორმებს.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიაჩნია აპელანტის დასაბუთება იმის თაობაზე, რომ ვიანიდან მხარეები სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, ამიტომ რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ მიერ გადახდილი პირგასამტებლო არ წარმომადგენდა უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებულ თანხას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ ამ ნორმის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელ პირობას წარმომადგენს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე, ანუ ქონებრივი შეღავათის შეძენას ადგილი უნდა პერიოდის სხვისი ქონების ხელყოფის შედეგად. აუცილებელი პირობაა ისიც, რომ შესრულება სამართლებრივ საფუძველს მოცილებული უნდა იყოს. კერძოდ, გარიგება მისი ბათილობის გამო უნდა შეწყდეს, მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მოსარჩელებმ პირგასამტებლოს სახით სს „პ-ს“ გადაუხადა 72 232.45 ევრო. გამომდინარე იქიდან, რომ გამოიკვეთა საკრედიტო ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი, შესაბამისად, სახეზე იყო სს „პ-ის“ უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტიც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა სს „პ-ა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, შემდეგი საფუძვლებით:

კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაზე არ უნდა გავრცელდეს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, ვინაიდან ვალდებულების შესრულება მოხდა კანონის სრული დაცვით გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად და სასამართლოს მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ ჰქონდა. კასატორი მიუთითოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე და 104-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ სადაც გარიგება ხელმოწერილია რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ პრეზიდენტის მიერ, რომელიც ხელშეკრულების ხელმოწერის დროს რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ წესდების 36-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად, წარმომადგენდა მოსარჩელის წარმომადგენელს მესამე პირებთან ურთიერთობაში და გააჩნდა ხელმოწერის უფლება;

კასატორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც, თუნდაც სადაც გარიგება არაუფლებამოსილი პირის მიერ ყოფილიყო ხელმოწერილი, შემდეგში მოსარჩელემ მოიწონა ეს გარიგება და დაეთანხმა მას, შესაბამისად

დაკარგა შეცილების უფლება სამოქალაქო კოდექსის 61-ე და 111-ე მუხლების თანახმად. შემდგომი თანხმობა (მოწონება) კი გამოიხატა იმაში, რომ მოსარჩევები მიიღო სადაც ხელშეკრულებით გამოყოფილი თანხა და გამოიყენა იგი. ეს გარემოება დაადასტურა მოსარჩელის ნარმომადგენელმა სასამართლო პროცესზე, ასევე ამ ფაქტს ადასტურებს ის, რომ არბიტრაჟში საქმის განხილვის დროს რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ“ საარბიტრაჟო სარჩელი ცნო და აღიარა ბანკის წინაშე დავალიანების არსებობა. ამასვე მოწოდებს 2011 წლის 11 თებერვლის შეთანხმება, რომლითაც მოსარჩელე აღიარებს სესხის ხელშეკრულებიდან ნარმოშობილი დავალიანების არსებობას;

კასატორი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სადაც გარიგება ნამდვილია, ამიტომ განსახილველ შემთხვევაზე არ უნდა გავრცელდეს სკ-ის 976-ე მუხლი;

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ სარჩელზე საქმის ნარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა ვამზ:

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მიხედვით (სადაც გარიგებს დადების დროს მოქმედი რედაქციით), პირებს შორის ნამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანვებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) იდება წერილობით.

მსგავსი შინაარსის დებულებებს შეიცავს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი (ამოქმედდა 2010 წლის 1-ლი იანვრიდან). კერძოდ, მითითებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, ხოლო, მე-6 ნაწილის მიხედვით, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელის და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარებს, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით გაფორმებულ მხარეთა შეთანხმებას, დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე, აქვს იურიდიული ძალა, რომელიც ავალდებულებს შეთანხმების მხარეებს, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია.

დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის თაობაზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი განიხილოს სარჩელი იმ დავაზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ხოლო, თუ რომელიმე მხარე მაინც მიმართავს სასამართლოს სარჩელით, მაშინ სასამართლო ვალდებულია უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება. სასამართლოს ეს ვალდებულება გამომდინარებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე და 272-ე მუხლებიდან, ასევე, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლიდან, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არ არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტის საქმის წარმოებას, თუ მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, ან არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს, ხოლო, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია ამ საკითხზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმოაჩენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება იმ დავაზე შეტანილ სარჩელზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია. ამასთან, სასამართლოს ამ საპროცესო მოქმედებების შესრულება შეუძლია თავისი ინიციატივითაც, თუ გამოარკევეს, რომ არსებობს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან საქმის წარმოების შეწყვეტის ზემოხსენებული საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა შემდეგი:

სს „ტპ-სა“ (უფლებამონაცვლე სს „პ-ი“) და რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ შორის 2008 წლის 29 დეკემბერს დაიდო № ს/ც 0098 საკრედიტო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებას, კერძოდ, ამ ხელშეკრულების 12.2 პუნქტის მიხედვით, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყვეტება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიულნევლობის შემთხვევაში, საქმე განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ (კერძო) არბიტრაჟს, რომლის შერჩევა ხდება საარბიტრაჟო პრეტენზის შემტანის ინიციატივით;

სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2010 წლის 10 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით: 1. სს „ტპ-ის“ საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილდა; 2. რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედე-

რაციას” სს „ტპ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 399649.31 ევროს გადახდა; 3. რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ სს „ტპ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტებლოს გადახდა ყოველდღიურად 266.31 ევროს ოდენბით 2010 წლის 15 ივლისიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ალსრულებამდე; 4. რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ სს „ტპ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 10000 ლარის (საარბიტრაჟო შენატანის) გადახდა;

ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ წარმომადგენელმა მთავარ სხდომაზე ცნო საარბიტრაჟო სარჩელი, აღიარა მოსარჩელის წინაშე ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულების არსებობა და საარბიტრაჟო სარჩელით მოთხოვნილი თანხის გადახდის ვალდებულება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ცნობილ იქნა და ალსრულებას დაექვემდებარა სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2010 წლის 10 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რაზედაც 2010 წლის 15 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემობებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მხარეთა შორის გაფორმდა წერილობითი საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის მიხედვით, სადავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება განსახილველად გადაეცა მუდმოვმოქმედ (კერძო) არბიტრაჟს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საარბიტრაჟო მობასუხები - რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ მონაცილეობა მიიღო საარბიტრაჟო განხილვაში, პრეტენზია აღ გამოუთვევამს საქმის განმხილველი არბიტრაჟის კომპეტენციაზე და ცნო საარბიტრაჟო სარჩელი. აღსანიშნავია ასევე, რომ რკ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ არც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაუსაჩინორებია კანონით დადგენილი წესით. ამდენად, მხარეთა საარბიტრაჟო შეთანხმება სადავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავისა და უთანხმოების არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე ბათილი ან ძალადაკარგული არ არის, იგი იურიდიული ძალის მქონეა, შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი მიეღო და განეხილა სარჩელი 2008 წლის 29 დეკემბერის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომელიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესით, საქმის განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ზემოაღნიშნულ წორმათა შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესები, თუ ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის რაიმე განსხვავებული წესი არც საკასაციო და არც სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის არაა დადგენილი, განსახილველ შემთხვევაში, სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტის რაიმე განსხვავებულ წესს სააპელაციო და საკასაციო წარმოება არ ითვალისწინებს, ამიტომ გამოყენებულ უნდა იქნეს პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვისათვის დადგენილი წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტის საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები).

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს მხარეთა შეთანხმება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს არბიტრაჟს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლოს განჩინებით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, თუ სარჩელზე წარმოება წყდება სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაშინ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინებით უნდა გაუქმდეს ასევე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლების გადაწყვეტილებები. მართალია, ასეთი ურთიერთობის მომწერიგებელი სამოქალაქო საპროცესო წორმა არ არსებობს, მაგრამ, ვინაიდან სარჩელზე წარმოების შეწყვეტით, სამოქალაქო საქმის წარმოება მთავრდება სარჩელის განხილვის გარეშე, ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ვერ იქნება შენარჩუნებული საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლების გადაწყვეტილებები. ზემოაღნიშნული მსჯელობის მართებულებას ადასტურებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომლის მიხედვით, სააპელაციო ან საკასაციო საქმის განხილვისას, სარჩელის გამოხმობის დაკამაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლების გადაწყვეტილებებს. მართალია, სარჩელის გამოხმობისას მოსარჩელე იტოვებს უფლებას, კვლავ აღძრას იგივე სარჩელი, მაგრამ საქმის წარმოება ამ შემთხვევაშიც მთავრდება სარჩელის არსებითი განხილვის გარეშე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახ-

დისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომ ინსტანციებში საქმეთა განხილვისას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დამდგარი საპროცესო შედეგი – სარჩელზე საქმის წარმოების შეწყვეტა – მოპასუხის სასარგებლოდ გადაწყვეტილება, ამიტომ მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო წარმოებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განხილვისას 2011 წლის 18 ივლისის განჩინება, საქმე №ა-795-849-2011).

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „პ-ს“ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 7000 ლარი, ხოლო, საკასაციო საჩივარზე – 8000 ლარი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 15000 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე და 411-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შეწყდეს წარმოება სამოქალაქო საქმეზე, – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ სარჩელის გამო მოპასუხე სს „პ-ის“ მიმართ უსაფუძვლოდ გადახდილი პირგასამტებლოს დაპრუნების თაობაზე;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება;

3. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს – „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ სს „პ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გაღებული 15000 ლარის გადახდა;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის ნარმოების შეცვეტა

განჩინება

№ა-1126-ბ-5-2013

5 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე ვ. როინიშვილი

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ტ. კ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 იანვრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საქმეზე თ. უ-ის სარჩელისა გამო ტ. კ-ის წინააღმდეგ საზიარო უფლების გაუქმების შესახებ.

პალატამ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 იანვრის განჩინებით ტ. კ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად.

2013 წლის 29 მარტს ტ. კ-მა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ზემოაღნიშნული განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 აპრილის განჩინებით ტ. კ-ს განჩინების ჩატარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით 50 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა დაევალა.

2013 წლის 8 აპრილს ტ. კ-მა განცხადება წარმოდგინა, რომლის მიხედვითაც იგი უარს ამბობს განჩინების ბათილად ცნობის შესახებ მოთხოვნაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ტ. კ-ის განცხადებასთან დაკავშირებით საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომელებიც ამ თავშია დადგენილი.

იმავე კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსამარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში ტ. კ-მა უარი თქვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 იანვრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე, მითითებული განცხადების მიმართ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მომართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის განმეორებით მომართვა იმავე განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნით იმავე საფუძვლით, დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 272-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. კ-ის განცხადებაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 იანვრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, შეწყდეს საქმის წარმოება;

2. განემარტოთ მხარეებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის განმეორებით მომართვა ამავე საქმეზე, ამავე განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნით ამავე საფუძვლით, დაუშვებელია;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

საქმის თარიღების შეჩერების საფუძველი

განჩინება

№ას-1581-1580-2011

12 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: მამობის დადგენა, ალიმენტის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ნ. კ-ებ სარჩელი აღმრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე შ. კ-ის მიმართ მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2002 წლის ნოემბრიდან რვა თვის განმავლობაში არარეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა მოპასუხე შ. კ-ესთან, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინა ვაჟი - გ. კ-ე. ორსულობის მერვე თვეს მოპასუხემ მიატოვა, შექმნა სხვა ოჯახი და მონაბილეობას არ იღებს შევილის რჩენა-აღზრდაში.

მოპასუხე შ. კ-ებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ნ. კ-ეს იცნობს, ვინაიდან ეს უკანასკნელი იყო მისი თანამშრომელი, მაგრამ არც ცოლქმრული ურთიერთობა ჰქონია მასთან და არც საერთო მეურნეობა უნარმოებიათ, შესაბამისად, არ არსებობს გ. კ-ის მამად აღიარების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ნ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელებმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ნ. კ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა გენეტიკური ექსპერტიზა, ექსპერტიზის ჩატარება ვერ მოხერხდა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვის განმავლობაში მოპასუხე მხარის საქართველოში არყოფნის გამო. შ. კ-ე მუშაობს საზღვარგარეთ და დავის განმავლობაში არ გადმოუკვეთავს საქართველოს საზღვარი. მას უფლება აქვს, ჩამოვიდეს საქართველოში წელიწადში ერთხელ. მოპასუხის დედამ ც. შ-ემ სასამართლოს შეთავაზებაზე, მონაწილეობა მიეღო ექსპერტიზის ჩატარებაში (აელო ბიოლოგიური ნიმუში), უარი განაცხადა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ გაურკვეველია მხარის ნება, თანახმა თუ არა ჩატაროს ექსპერტიზა. ამასთან, არ დასტურდება მისი არასაპატიო მიზეზით ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილით მონაწინააღმდეგე მხარეს ათავისუფლებს თავისი პოზიციის მტკიცების ტვირთისგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პალატამ განმარტა, რომ მითითებული გარემოებების გარკვევის, ასევე ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე სასამართლოს განჩინების აღსრულების მიზნით, უნდა შეჩერდეს საქმის ნარმოება მოპასუხების სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. კ-ებ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებაში. წარმოდგენილი მასალებით და, მათ შორის გასაჩივრებული განჩინებით უტყუარად დგინდება ის გარემოება, რომ შ. კ-ებ ჯერ კიდევ პირველ ინსტაციაში საქმის დაწყებამდე გადაკვეთა საზღვარი და დღემდე არ ჩამოსულა საქართველოში. შ.კ-ე იმყოფება საქართველოს საზღვრებს გარეთ აშშ-ში სამუშაოდ, თუმცა ისევ და ისევ შ.კ-ის განმარტებიდან გამომდინარე, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მას არა აქვს უფლება, გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი სამსახურის შესახებ და დატოვოს შტატების ტერიტორია. შ. კ-ე არ მსახურობს საქართველოში მოქმედ არც ერთ შეიარაღებული ფორმირების სამსახურში, რაც დასტურდება კიდევაც თავდაცვისა და შსს სამინისტროდან წარმოდგენილი ცნობებით და ასევე იგი არ მუშაობს საქართველოს მოქმედ რომელიმე კერძო სამართლის იურიდიული პირის სისტემაში საოქმო განჩინებაში პალატამ მიუთითა, რომ საქმე შეჩერდეს შ. კ-ის მივლინებიდან დაბრუნებამდე, თუმცა არ დაუსაბუთებია კონკრეტულად სად მუშაობდა შ. კ-ე, ვინ გააგზავნა იგი მივლინებაში, რომელ ტერიტორიაზე და რა ვალით, შესაბამისად, განჩინება დაუსაბუთებელია, მასში მითითებულია მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა. შ. კ-ეს სურს ექსპერტიზაში მიღლოს მონაწილეობა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იმყოფება საქართველოში. პალატას ყურადღება უნდა გაემახილებინა მოსარჩევე მხარის სასარგებლოდ დაკითხეულ მომენტა ჩვენებებზე, რომლებიც თავად მოსარჩევე მხარის ახსნა-განმარტებას ეწინააღმდეგება. საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა საქმე და მიეღო გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. კ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შექმდება გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა შოთა კ-ის სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე.
მოცემული განჩინების გაუქმების საფუძველია კერძო საჩივრის ავტორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით კანონის დარღვევით შეაჩერა საქმის წარმოება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს შოთა კ-ის სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, ისე, რომ პირის (შ. კ-ის) სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, სააპელაციო პალატის განჩინება საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლის არსებობის თაობაზე სათანადო მტკიცებულებებით დადასტურებილი არ არის. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ გარემოებას სადაცოდ ხდის თვით შ. კ-ებ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა განკადაფებით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია, შეაჩეროს საქმის ნარმოება, თუ მხარე იმყოფება ხან-გრძლივ სამასახურებრივ მივლინებაში. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს საქმის ნარმოების შეჩერების ვადა. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა რა შეჩერების ვადაზე, დაარღვია ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიული მოთხოვნა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ისეთ ვითარებაში, რო-
დესაც გაურკვევლია შ. კ-ე რა ვადით არის საქართველოს ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებაში
გაგზავნილი, გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების აღსრულების სა-
კითხიც ბუნდოვანია და ამ პირობებში შეუძლებელია საზოგადოდ ექსპერტიზის ჩატარების სავარაუდო
ვალის განსაზღვრაც, სასამართლოს წარმოება კი, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის შედეგების მოლოდინში
მიზანშეუწონელია დაუსრულებლად გაგრძელდეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მხარი-
სათვის ცნობილია გენეტიკური ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე, თუმცა მას არ მიუღია შესაბამისი ზო-
მები საიმისოდ, რომ სასამართლოსთვის ეცნობებინა აპირებდა თუ არა საერთოდ ექსპერტიზის ჩასატა-
რებლად საქართველოში ჩამოსვლას და კონკრეტულად რა დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5
მუხლის საფუძველზე მართლმსაჯულებას სასამართლოები თანასწორობის საწყისაზე ახორციელებენ, რის
გამოც შეუძლებელია მოპასუხის მიერ ექსპერტიზის ჩატარების მიზნით განუსაზღვრელი ვადით ლოდინის
გამო, შეილახოს მეორე მხარის ინტერესი მამობის დადგენის საკითხის სასამართლოს მხრიდან დროულად
განსაზღვრის თაობაზე. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებისა და სამართალნარმოების დროული და
ეკონომიკური განხორციელების მიზნით მიზანშეუწონილია მსგავსი ექსპერტიზის ჩასატარებლად კონკრე-

ტული ვადის დაწესება. ამასთან, ექსპერტიზისათვის საჭირო მასალების მიუღებლობის შემთხვევაში საქმის განმხილველ სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის დანაწესი.

ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ამ შემთხვევაში არ არსებობს საქმის განხილვის შეუძლებლობის მიზეზები და საქმის შეჩერების ობიექტური წინაპირობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შ. კ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი

განვითარება

№ას-1807-1781-2011

9 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემაღებელობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღნერილობითი ნაწილი:

ე. ბ-მა სარჩელი აღმრა სასამართლოში ა., ვ. და ე. მ-ების მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით სარჩელი ა. მ-ის მიმართ დარჩა განუხილველად მოსარჩელის მიერ მისი გამოთხოვის გამო, ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №12/14-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მე-3 სართულზე არსებული ვ. და ე. მ-ების მიერ დაკავებული 145 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გამოთხოვილ იქნა ვ. მ-ის და ე. მ-ის უკანონო მფლობელობიდან დაუძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა ე. ბ-ს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. და ვ. მ-ებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ე. და ვ. მ-ების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა ა. მ-ის სარჩელის გამო ე. ბ-ის მიმართ ქორწინებაში შეძენილი ქონების გაყოფის თაობაზე №2/1747-10 საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. მ-ის სარჩელი ე. ბ-ის მიმართ შვილებთან ურთიერთობის წესის განსაზღვრისა და ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაყოფის შესახებ. აღნიშნული სარჩელით სადაც ქონება სწორედ იმ ფართს წარმოადგენს, რომლის მფლობელობიდან მოპასუხეთა გათავისუფლებასაც მოსარჩელე წინამდებარე სარჩელით მოითხოვს. პალატამ მიიჩნია, რომ ვინდიკაციური სარჩელის განხილვისათვის მნიშვნელობის მქონე ერთ-ერთი აუცილებელი პირობის – მოპასუხეთა მიერ ფლობის მართლზომიერების დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საქალაქო სასამართლოში წარმოებულ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებას, კერძოდ, სადაც ფართზე ა. ბ-ის უფლების არსებობა-არარსებობის დადგენას, რადგან მოცემული დავის მოპასუხები სწორედ იმ გარემოებაზე ამყარებდნენ თავიანთ შესაგებელს, რომ სადაც ფართს ისინი ფლობდნენ თავიანთი შვილის, ა. მ-ის თანხმობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ე. ბ-მა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმების და საქმის დაპრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

1999 წლის 20 ოქტომბერს დაიდო გარიგება ე. ბ-სა და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მ-ა 98-ს“ შორის. აღნიშნული გარიგების თანახმად ე. ბ-ს უნდა გადასცემოდა საცხოვრებელი სახლი ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №12/14-ში 145 კვ.მ ფართის ოდენობით, 1 კვ.მ 250 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ.

საქმის სასამართლო განხილვის დროს მოპასუხების წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ბინების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში შეფერხდა ამხანაგობის ბრალეული ქმედებისა და არა მოსარჩელის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ბინა საჯარო რეესტრში ე. ბ-ზე არ იყო რეგისტრირებული, ის მაინც ითვლებოდა მის საკუთრებად, რადგან ბინის ლირებულება მან სრულად დაფარა. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად, სადავო ბინის მართლზომიერი მფლობელი იყო ე. ბ-ი.

ე. ბ-ი ამყოფებოდა რეგისტრირებულ ქორნინებაში ა. მ-თან. ისინი განკორნინდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რის შემდეგ სადაც ვო ბინაში შესახლდნენ ა. მ-ის მშობლები.

სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, რომ ე. და ვ. მ-ები აღარ წარმოადგენდნენ მოსარჩელის ოჯახის წევრებს და ოჯახში არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიდნენ. აღნიშნული საპატრულო პოლიციის აქტებითაც დასტურდება. მათ გამო ე. ბ-ს და მის ორ არასრულწლოვან ვაჟს 8 კვ.მ ოთახში უწევდათ ცხოვრება მაშინ, როდესაც ბინა სულ 145 კვ.მ-ია.

სააპელაციო სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ა. მ-ის სავარაუდო წილზე სადავო ბინაში, რადგან ეს საკითხი საქალაქო სასამართლოს ჯერ არ განუხილავს.

სასამართლომ ტენდენციურად განიხილა მოცემული დავა და არასწორად შეაჩერა საქმის წარმოება, რაც მიზნად ისახავს მოპასუხეთა სადავო ბინაში ცხოვრების გახანგრძლივებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

აღნიშნული ნორმის შესაბამისად, სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას, თუ გამოარკვევს, რომ მისი განხილვა სხვა საქმის წარმოების დასრულებამდე ობიექტურად შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში ე. ბ-ის სარჩელი ეხება ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №12/14-ში მე-3 სართულზე მდებარე 145 კვ.მ საცხოვრებელი ბინიდან ე. და ვ. მ-ების გამოსახლების მართლზომიერებას.

მოპასუხე ე. და ვ. მ-ების მიერ წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იხილავს ა. მ-ის სარჩელს ე. ბ-ის მიმართ ქორნინების განმავლობაში შეძენილი ქონების, მათ შორის, ქ.თბილისში, მ-ის ქუჩა №12/14-ში მე-3 სართულზე მდებარე 145 კვ.მ ბინის გაყოფის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სადავო ბინის მესაკუთრის დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს მითითებული ბინიდან პირთა გამოსახლების საკითხის გადაწყვეტად, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლები ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის უფლებას ანიჭებს სწორედ უძრავი ნივთის მესაკუთრებს. შესაბამისად, ა. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილება და სადავო ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად ცნობა მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს განსახილველი დავის სამართლებრივ ბეჭდზე.

ამდენად, დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია საქმის წარმოების შეჩერებით დავის განხილვის გაჭიანურების თაობაზე, რის გამოც ე. ბ-ის მოთხოვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი

განჩინება

№ას-302-287-2013

28 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რ. პ-ის შუამდგომლობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ, საქმეზე გ. უ-ის სარჩელის გამო, რ. პ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და იპოთეკით დატვირთული საგნის რეალიზაციის თაობაზე და პალატამ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. უ-ის სარჩელი რ. პ-ის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ დაკავყოფილდა, მოპასუხე რ. პ-ეს გ. უ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 8000 აშშ დოლარისა და აღნიშნული თანხის 5% – 400 აშშ დოლარის 2012 წლის 1 აგვისტოდან ყოველთვიურად, ვალდებულების საბოლოო შესრულებამდე გადახდა. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, თანხის ამოღება დადგინდა იპოთეკით დატვირთული ქ.ქუთაისში, ნ-ას ქ.№76/68 მდებარე მიმნდობი პირის – მ. პ-ის საკუთრებაში არსებული ბინის რეალიზაციის გზით.

ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინებით განუხილველად იქნა დატვირთული რ. პ-ის სააპელაციო საჩივარი.

სააპელაციო საჩივარის შესწავლით დასტურდება, რომ მხარე მოთხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკავყოფილებაზე უარის თქმას.

საქმეში წარმოდგენილი სააღსრულებო ფურცლის თანახმად, 2012 წლის 24 დეკემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ამავე სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მიზნით გასცა სააღსრულებო ფურცელი.

2013 წლის 18 მარტს საკასაციო პალატას განსახილველად გადმოეცა რ. პ-ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინებაზე, სადაც ასევე მოთხოვნილია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

საკასაციო პალატა საქმის მასალებისა და კერძო საჩივარის აკუთორის ამ შუამდგომლობის შესწავლის შედეგად მივიღა დასკვნამდე, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკავყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პირველ ყოველისა, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გზავნილზე. მართალია, სასამართლომ განჩინება მხარეს გაუგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ.ქუთაისში, ნ-ას ქ.№76/68-ში და ამ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარა მ. ნ-ემ, თუმცა საქმის მასალებით ირკვევა, რომ მ. ნ-ე რ. პ-ის წარმომადგენლობას ახორციელებდა ორდერის საფუძველზე, იმგვარად, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილების წარმომადგენლისათვის მინიჭების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მ. ნ-ე, მართალია, წარმოდგენის მხარეს და იცავს მის საპროცესო უფლებებს, თუმცა ამ უკანასკნელისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება არ უნდა იქნას განხილული უშუალოდ მხარისათვის შეტყობინების ჩაბარებად, მათ შორის არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის კონტექსტში, რადგანაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკით დადგენილია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. აღნიშნული წორმით დადგენილია ადვოკატის წარმომადგენლობის უფლებამოსილების ნამდვილობა და კანონმდებელი არ კრძალავს მხარის ინტერესების მითითებული მტკიცებულებების საფუძველზე ადვოკატის მიერ დაცვის შესაძლებლობას, თუმცა მხოლოდ ორდერის არსებობის პირობებში დანესხებულია გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, წარმომადგენლი პირის ინტერესების დამცველი ადვოკატი, რომელიც საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ორდერის მეშვეობით და უშუალოდ მხარე არ არის სხდომაზე, ვერ განახორციელებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ შემდეგ საპროცესო მოქმედებებს: სარჩელის აღდვრა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემა, სასამართლო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის საგნის შეცვლა, მორიგება, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღება. აღნიშნული ჩა-

მონათვალი ამომწურავია და კანონმდებელი იმპერატიული ადგენს თითოეული ამ უფლების თაობაზე მიეთითოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დადასტურებულ წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში – მინდობილობაში (იხ. სუსგ №ას-1269-1289-2011, 24 ოქტომბერი, 2011 წელი), ამასთანავე, საკასაციო პალატის განმარტებით, სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების არარსებობისას, როდესაც ეს უფლებამოსილება გადაწყვეტილების გასაჩივრებას ეხება, დაუშვებელია მხარის საწინააღმდეგოდ რაიმე სამართლებრივი შედეგი დადგეს, თუკი უშუალოდ მას არ ჩაბარდა გასაჩივრებადი გადაწყვეტილება (იხ. სუსგ №ას-1614-1608-2011, 21 მაისი, 2012 წელი).

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტა და მე-2 ნაწილზე, რომელთა თანახმადაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შევლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმდებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უას მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ისეთ ვითარებაში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჩაბარდა არაუფლებამოსილ პირს (ანუ პირს, რომელსაც არ ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება), ეს შეტყობინება უშუალოდ მხარისათვის ჩაბარების იურიდიული შედეგის მომტანად არ შეიძლება იქნას განხილული, აღნიშნული განმარტება გამომდინარეობს როგორც მოქმედი კანონმდებლობიდან ისე სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან, შესაბამისად, მ. ნ-ის 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინების ჩაბარებას არ უკავშირდება კერძო საჩივრის შეტანის ვადის დენის დასაწყისი და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესულად მიჩნევის შესაძლებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში, კანონის ზემოაღნიშნული დანაწესის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ გადაწყვეტილების (რომელიც დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ არის მიქცეული) კანონიერ ძალაში შესვლამდე ამ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების მიზნით გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომლის აღსრულების შეჩერებასაც მხარე მოითხოვს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული. სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

ვინაიდან რ. პ-ის კერძო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართებულობაა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 375-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, არ შეიძლება გასაჩივრებულ წაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესულად მიჩნევა და მისი იძულებით აღსასრულებლად მიქვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ რ. პ-ის შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-2 ნაწილებით, 267-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. პ-ის შუამდგომლობა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. შეჩერდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე და ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება

განჩინება

დავის საგანი: უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ნალენჯიბის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა შ. ქ-ამ მოპასუხე ნ. ნ-ას მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

ნალენჯიბის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; შ. ქ-ას უარი ეთქვა მოპასუხე ნ. ნ-ასათვის უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული 166129 ლარის დაკისრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ქ-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მარტის განჩინებით შ. ქ-ას სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ჯ. ქ-ამ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2011 წლის 28 მარტს გარდაიცვალა შ. ქ-ა, იგი არის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე. ნოტარიუსთან შეტანილი აქვს განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე. კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ მას სურს მისი მაკვიდრებლის სააპელაციო საჩივრზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება. შესაბამისად, განმცხადებელმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ქ-ას განცხადება საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგფენის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებელი საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ამონურვამდე – 2011 წლის 28 მარტს, გარდაეცვალა მამა. იგი არის ერთადერთი პირველი რიგის მემკვიდრე. ნოტარიუსთან შეტანილი აქვს განცხადება სამკვიდროს მიღების თაობაზე. კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ მას სურს მისი მაკვიდრებლის სააპელაციო საჩივრზე გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარემოება მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება მიჩნეული საპროცესო მოქმედების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის, კერძოდ, მის მიერ საკასაციო საჩივრის ვადის გაშვების საპატიო მიზეზად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ეს-წრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი ნარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციის ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; ნინაალმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაინყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის სხდომას ეს-წრებოდა აპელანტ შ. ქ-ას ნარმომადგენლები მ. კ-ა და ზ. ჯ-ა, რომლის ნარმომადგენლობითი უფლებამოსილების ვადა, ასევე ნარმომადგენლობითი უფლებამოსილება დადასტურებულია საქმეში არსებული, კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი რწმუნებულებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოცხადებიდან მე-20 დღე არის 12 აპრილი, ხოლო 30-ე დღე – 22 აპრილი, ამდენად განმცხადებელს ან მის ნარმომადგენელს შეეძლო, გასაჩივრებული განჩინების ასლის ჩაბარების თხოვნით მიემართა სააპელაციო სასამართლოსათვის 2011 წლის 12 აპრილიდან ამავე წლის 22 აპრილის ჩათვლით.

საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ მხარეს გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით სასამართლოსათვის საერთოდ არ მიუმართავს. შესაბამისად გასაჩივრების ვადა ამოინურა 2011 წლის 23 მაისს. მოცემულ შემთხვევაში, კი განცხადება ჯ. ქ-ას მიერ შეტანილია ამა წლის 29 აგვისტოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ზემოთ დასახელებული საპროცესო ნორმის დანარესიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადა იმპერატიულია და მისი აღდგენა დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ ჯ. ქ-ას განცხადება საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹, 285-ე მუხლით, 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციონ სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. ქ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციონ ბალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაპარება

განხილვა

№ას-415-393-2013

1 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა, თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ზ. ს-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ., ნ. და ლ. ს-ების მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისში, ზ-ის №5 ქუჩის №24 ბინის 1/4 ნილზე, პრივატიზაციის შედეგად დამატებით ამავე ბინის 1/4-ის 1/4 ნილზე მესაკუთრედ ცნობა, გასხვისებული სამკვიდროდან შესაბამისი კომპენსაციის – 575 აშშ დოლარის ნ. ს-ასათვის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელე ზ. ს-ა არის მოპასუხეების – ქ. ს-ასა და ლ. ს-ას ძმა, მოპასუხე ნ. ს-ა არის მოსარჩელის დედა, ხოლო ან გარდაცვლილი მ. ს-ა იყო მოსარჩელის მამა.

2012 წლის აგვისტოს მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მესაკუთრის განცხადების საფუძველზე იგი მოიხსნა საცხოვრებელი სადგომის რეგისტრაციიდან. მოპასუხეებმა შეუქმნეს ისეთი პირობები, რომ მოსარჩელე იძულებული გახდა, დაეტოვებინა მამის დანაშთი ქონება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ 1997 წლის 31 იანვრიდან დღემდე სადავო ქონება იმყოფება ქ. ს-ას საკუთრებაში, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაზერით. ზ. ს-ას კი აღნიშნული ქონებიდან არაფერი არ ეკუთვნის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ს-ას სარჩელი ქ. და ნ. ს-ების მიმართ დაკმაყოფილდა, ზ. ს-ა ცნობილი იქნა ქ.თბილისში, ზ-ის №5 ქუჩის №24 ბინის (საკადასტრო კოდი – ...) 5/16 ნილის მესაკუთრედ, ხოლო 11/16 ნილი დარჩა ქ. ს-ას საკუთრებაში, ნ. ს-ას დაეკისრა ზ. ს-ას სასარგებლოდ ზიანის – 575 აშშ დოლარის ანაზღაურება, ხოლო ზ. ს-ას სარჩელი მოპასუხე ლ. ს-ას მიმართ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც ნ. და ქ. ს-ებმა, ისე ლ. ს-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტის განჩინებით ნ. და ქ. ს-ების სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიუთითა, რომ კანონის მოთხოვნა სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის შესახებ იმპერატიულია და გაგრძელებას არ ითვალისწინებს.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილებით დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება პირადად ჩაპხარდა აპელანტ ქ. ს-ას და მანვე ჩაიბარა გადაწყვეტილება დედის – ნ. ს-ასათვის გადასაცემად 2013 წლის 28 თებერვალს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე სასამართლო მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმების მოქმედება ვრცელდება განჩინების ჩაბარების შემთხვევებზეც. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გადაწყვეტილება აპელანტებს ჩაპხარდა 2013 წლის 28 თებერვალს, ე.ი იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილება ჩაპხარდა ქ. ს-ას. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათველა დაიწყო 2013 წლის 1 მარტიდან და ამოინურა 2013 წლის 14 მარტს. აღნიშნულიან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აპელანტებს გააჩნდათ 2013 წლის 14 მარტის ჩათვლით.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2013 წლის 15 მარტს, კანონით დადგენილ 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით დასაბუთებით:

საქმეში წარმოდგენილი ხელნერილებით დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება პირადად ჩაპხარდა აპელანტ ქ. ს-ას და მანვე ჩაიბარა გადაწყვეტილება დის – ლ. ს-ასათვის გადასაცემად 2013 წლის 28 ოქტომბერი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქ. და ლ. ს-ები მოცემულ დავაში წარმოადგენენ მოპასუხე მხარე-ებს და ერთ მისამართზე მცხოვრებ ერთი ოჯახის წევრებს (დებს). ამდენად, სასამართლომ ლ. ს-ასათვის გადაწყვეტილება ჩაპხარდულად ჩათვალა 2013 წლის 28 ოქტომბერის სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა სასამართლომ დაიწყო 2013 წლის 1 მარტიდან და აღნიშნული ვადა ამონურულად ჩათვალა 2013 წლის 14 მარტს. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა აპელანტს გააჩნდა 2013 წლის 14 მარტის ჩათვლით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი ლ. ს-მ შეიტანა 2013 წლის 2 აპრილს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 27 მარტის განჩინებაზე ნ. ს-მ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა თავისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში მისი გაუქმება შედმეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არასწორად აითვალა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. ს-ას ქ. ს-ასაგან რეალურად გადაეცა 2013 წლის 1 მარტს. ნ. ს-ას ქ. ს-ასათვის საკუთარი სახელით სასამართლოში მისვლისა და პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ასლის ჩაპარების უფლებამოსილება არ მიუნიჭებია, შესაბამისად, ამ უკანასკნელს კერძო საჩივრის ავტორის ნაცვლად სადაც საპროცესო მოქმედების განხორციელების კანონიერი საფუძველი არ გააჩნდა.

სააპელაციო პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ს-მაც, რომელმაც ასევე მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი მოტივებით:

ლ. ს-ას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არც პირადად და არც სასამართლოს მიერ მის მისამართზე გაგზავნის გზით არ ჩაპარებია. რაც შეეხება ქ. ს-ას მიერ გადაწყვეტილების ჩაპარებას, იგი კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელი არ არის და მისთვის გადაწყვეტილების ჩაპარება სასამართლომ მხარისათვისაც ჩაპარებად არასწორად ჩათვალა. ამდენად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. და ლ. ს-ების კერძო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებები უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ნ. და ლ. ს-ების სააპელაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამონმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებებით დადგენილია, რომ ნ. და ლ. ს-ების სააპელაციო საჩივრები დარჩა განუხილველი სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით განსაზღვრული 14 დღიანი ვადის დარღვევის გამო.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ქ. ს-ას მიერ დედის – ნ. ს-ასათვის და დის – ლ. ს-ასათვის გადასაცემად ჩაპარებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ადრესატებისათვის (ნ. და ლ. ს-ები) ჩაპარებულად ჩათვალა იმ მომენტიდან, როდესაც იგი ჩაიბარა გზავნილის მიტანაზე პასუხისმგებელმა პირმა, ქ. ს-მ.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა პრეტენზიებს სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებართა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაპარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259¹ მუხლის შესაბამისად, ასევე 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ეს-წრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაპარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ კანონის ზემოაღნიშნული დანაწესი შეიცავს რამდენმე რეგულაციას, კერძოდ, განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას, გასაჩივრების ვადის ათვლის წერტილს, ადგენს ათვლის წერტილის ვარიაციათა ამომწურავ ჩამონათვალს. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასამართლომ არ დაუშვას შეცდომა გასაჩივრების ვადის ათვლის წერტილთან მიმართებაში, რათა დაუსაბუთებლად არ შეილახოს სამართლის განხილვის უფლება.

ნ. ს-ასთან მიმართებაში საკასაციონ პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს: მისთვის ცნობილი იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი. ნ. ს-ა არ ნარმოადგენდა იმ პირს, რომლის მიმართაც სასამართლოს თავად უნდა უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაპარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით (259¹ მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი). შესაბამისად, ნ. ს-ას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ეკისრებოდა ვალდებულება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადებულიყო სასამართლოში და ჩაებარებინა გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილის ძალით, გასაჩივრების ვადის ათვლა დაინტებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

ლ. ს-ასთან მიმართებაში საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებებს: მისთვის ცნობილი არ იყო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი, იგი ასევე არ ესწოებოდა გადაწყვეტილების გამოცხადებას. შესაბამისად, ლ. ს-აზე არ უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება, სასამართლოში გამოცხადების ვზით ჩაებარებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. პირიქით, იმავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მხარისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების ვალდებულება წარმოეშვა სასამართლოს.

საკასაციო პალატა საქმეზე დადგენილი იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ნ. და ლ. ს-ების-თვის გადასაცემი გადაწყვეტილება ჩაიბარება. ს-მ, რომელმაც იკისრა ვალდებულება ადრესატებისათვის გადაეცა სასამართლო გადაწყვეტილება, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას სასამართლო უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც მოსამართლემ დაავალა უწყების მიტანა, ვალდებულია, სასამართლოს დაუბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი უწყების მიმღების ხელმოწერით. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმის მიზანია როგორც სასამართლო ხარჯების დაზოგვა, ასევე სამართლწარმოების დაჩქარება. შესაბამისად, თუკი სასამართლო უწყების ჩაბარების ამგვარ გზას მიმართავს, ამა თუ იმ საპროცესო შედეგის დადგომამდე მან უნდა გამოარკვიოს როდის ჩაიბარა უწყება უშუალოდ ადრესატმა, მისმა ნარმომადგენელმა ან საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულმა სუბიექტმა (70.1 მუხლი) და შეაფასოს ამის დამადასტურებელი მტკიცებულება. ასეთ შემთხვევაში, ყურადღება არ უნდა მიექცეს იმ ფაქტს, თუ როდის იკისრა მხარემ ადრესატითვის უწყების გადაცემის ვალდებულება.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ ქ. ს-ას არ ჰქონდა რწმუნებულება დედის – ნ. ს-ას და დის – ლ. ს-ას ნაცვლად ჩაბარებინა სასამართლო გადაწყვეტილება, ვინაიდან ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. შესაბამისად, განსახილველი შემთხვევებისთვის ვერ გამოდგება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის დანაწესი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას. იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის. რაც შეეხება მითითებული მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებას, საქმეში უნდა გვყავდეს ერთ მხარეზე მონაწილე 10-ზე მეტი პირი, რასაც მოცემულ საქმეზე ადგილი არ აქვს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან მითითებული მუხლი არეგულირებს სასამართლო უწყების ჩაბარების წესს იმ მხარისათვის, რომელსაც სასამართლო უწყება ეგზავნება მის მიერ მითითებულ მისამართზე, თუმცა, ადრესატი შესაბამის მისამართზე არ აღმოჩნდა. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს ნ. და ლ. ს-ებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების შესაგებელში მითითებულ მისამართზე გაგზავნა არც კი უცდია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლობისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. და ლ. ს-ების სააპელაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხის ხელახლა შემოწებისას, სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებისა და 259¹ მუხლის გამოყენებით სწორად უნდა დაადგინოს მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. შესაბამისად, მითითებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ 0 6 ა:

1. 6. და ლ. ს-ების კერძო საჩივრები დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მარტისა და 4 აპრილის განჩინებები და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელი

№ას-1264-1284-2011 4 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ჰ. ქათამაძე

დავის საგანი: ამხანაგობის კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, საერთო საკუთრებიდან წილის მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

ჯ. ლ-მ სარჩელი აღმრა სასამართლოში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 180-ე და 183-ე მუხლების საფუძველზე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...“ 1992 წლის 25 იანვრის კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და სერთო საკუთრებიდან კუთვნილი წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

1989 წლიდან ჯ. ლ-ე ქ. თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს №16.30.2100 და 1989 წლის 18 ოქტომბრის №20.137.2578 გადაწყვეტილებების საფუძველზე, სხვა ფიზიკურ პირებთან ერთად, არის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრი. იგი ამხანაგობაში განევრიანდა სახელმწიფო საბინაო ფონდიდან ბინის უსასყიდლოდ მიღების აღრიცხვიდან მოხსნის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მოსარჩევეს ამხანაგობის სხვა წევრებთან ერთად უფლება მიეცა, საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, საკუთარი სახსრებით ქ. თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე 1045 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა ბინა. ჯ. ლ-ე საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე იმყოფება 1982 წლიდან. ამხანაგობა „...“ საკუთარი წევრებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით შეიქმნა 1989 წელს, რისთვისაც სახელმწიფო ფონდიდან გადაეცა ქ. თბილისში, მ-ს ქ №4-ში მდებარე 1045 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თუმცა ამხანაგობას სახლი არ აუშენებია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2000 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ საკუთრებად დარეგისტრირდა მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება – 1045 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 1992 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ე არ ითვლება ამხანაგობის წევრად, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის არ იყო ცნობილი და ამის შესახებ მან გაიგო 2010 წელს სასამართლო სხდომაზე. მოსარჩელე განევრიანდა რა ამხანაგობაში, გახდა მისი სრულფასოვანი წევრი და მას შემდეგ, რაც ამხანაგობისათვის დამაგრებული მიწის ნაკვეთი ამხანაგობის საკუთრებად გატარდა საჯარო რეესტრში, მას თანასაკუთრების უფლება წარმოეშვა აღნიშნულ ქონებაზე, რასაც არ აღიარებს ამხანაგობა „...“. 1992 წლის 25 იანვრის №5 ოქმიდან არ ჩანს, რომ ამხანაგობაში მოსარჩელის პერსონალური საკითხის განხილვისას ჯ. ლ-ე მოიწვია საერთო კრებაში მონაწილეობის მისალებად მაშინ, როცა იგი აღმასკომის 1989 წლის 16 აგვისტოს №16.30.2100 გადაწყვეტილებით უპირობოდ იქნა განევრიანებული ამხანაგობა „...-ს“ წევრად. მოსარჩელე ამხანაგობაში განევრიანების სანაცვლოდ მოხსნილ იქნა კოოპერატიული ბინათმშენებლობის აღრიცხვიდან. ჯ. ლ-მ არაერთგზის მიმართა, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ თავმჯდომარე მ. გ-ს ამხანაგობის საერთო საკუთრების უძრავი ქონებიდან მისი წილის განსაზღვრისა და ამ მიზნით ამხანაგობის წევრთა შესახებ დოკუმენტაციის გადმოცემის მოთხოვნით, რაც მოპასუხემ არ შეასრულა. აღნიშნულით დაირღვა ჯ. ლ-ს კონსტიტუციური უფლება მის წილ ქონებაზე საკუთრების უფლების აღნარების შესახებ.

მოპასუხე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ თავმჯდომარე მ. გ-მ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს №16.30.2100 გადაწყვეტილება მართლაც მიიღო ადმინისტრაციამ, მაგრამ მისი რეალიზაცია არ მომხდარა და ამხანაგობას ჯ. ლ-ე წევრად არ მიუღია. თუნდაც მიჩნეულ იქნას, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელე ავტომატურად გახდა ამხანაგობის წევრი, მან შემდგომ მაინც დაკარგა ეს სტატუსი ამხანაგობის საერთო კრების 1992 წლის 25 იანვრის №5 საოქმო გადაწყვეტილებით, რომლითაც იგი გამოყვანილ იქნა ამხანაგობის წევრობიდან. სასარჩელო მოთხოვნა წარდგენილია არასათანადო მოპასუხის მიმართ, ვინაიდან, ჯ. ლ-ს მოთხოვნა მიმართულია საერთო საქმიანობის ამხანაგობის ქონებიდან მისი წილის გამოყოფისაკენ, შესაბამისად, მოპასუხეს წარმოადგენს არა ამხანაგობა, არამედ მისი ცალკეული წევრები. მოსარჩელის მიერ ქონების გამოყოფით მცირდება დანარჩენი წევრების წილი საერთო ქონებაში, რითაც ილახება მათი ქონებრივი უფლებები.

მოპასუხე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრმა დ. გ-მ ასევე არ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამხანაგობის სადავო გადაწყვეტილების მიღება განხორციელდა მისი მონაწილეობის გარეშე, თუმცა ეს ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ყველა იმ ფორმალური და პროცედურული მოთხოვნის დაცვით, რომელიც დადგენილი იყო ამხანაგობის იურიდიული დოკუმენტაციით, ასევე იგი ხელმოწერილია სათანადო უფლებამოსილების მქონე პირების მიერ. მოსარჩელის მონაწილეობა ამხანაგობის წევრთა საერთო კრებაზე მაინც ვერ გამოიწვევდა განსახილებელ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან საერთო კრების გადაწყვეტილებები მიღება ხმათა უმრავლესობით, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, ამხანაგობის წევრობიდან ჯ. ლ-ს გამოყვანას მხარი დაუჭირა ამხანაგობის ყველა წევრმა. რეგისტრაციის შემდეგ ამხანაგობა წარმოადგენს იურიდიულ პირს და მას, როგორც დამოკიდებელ სამართალსუბიექტს, შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მას უკავშირდება, აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებისას აღმასკომის ან სხვა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და გაუმართლებელია მოსარჩელის მიერ ამ გარემოებაზე მითითება. ამხანაგობა შექმნილია არა აღმასკომის, არამედ მისი დამფუძნებელი ფიზიკური პირების მიერ, შესაბამისად, აღნიშნული ამხანაგობის წევრთა სტატუსის განსაზღვრა და პირის ამხანაგობაში განევრიანება თავად ამხანაგობის კომპეტენციას წარმოადგენს და არა მისი მარეგისტრირებელი ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივას. ქ.თბილისის 26 კომისრების სახელობის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს №16.30.2100 გადაწყვეტილებით განისაზღვრა არა ჯ. ლ-ს ამხანაგობაში განევრიანებას გამორიცხავდა ისიც, რომ, ამხანაგობის სამოქმედო დებულების მე-3 პუნქტის თანახმად, ამხანაგობა შედგება ორი ან მეტი წევრისაგან ინდივიდუალური ამხანაგობის საცხოვრებელ სახლებზე მიბმული პროექტის შესაბამისად, ხოლო ამხანაგობა „...-ს“ მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანებითა და მშენებლობის წარმოების წებართვით, დადასტურებულია, რომ ამხანაგობისათვის უნდა აშენებულიყო რვაბინიანი სახლი. შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა რაოდენობაც ადეკვატური იღებობით უნდა განსაზღვრულიყო, რაც იმ ეტაპისათვის შესრულდა კიდეც, მაგრამ მოსარჩელე არ ფიქსირდებოდა აღნიშნულ პირთა შორის. ჯ. ლ-ს ამხანაგობის სრულფასოვან წევრად მიჩნევის შემთხვევაში მას უნდა გაეცნობირებინა, რომ ეკისრებოდა გარკვეული ვალდებულებებიც, რაც გამოიხატებოდა ამხანაგობასთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებითა და მის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიურად ჩართვით, მით უფრო მაშინ, როცა მოსარჩელის უფლებრივი მდგომარეობა ამხანაგობასთან დამოკიდებული იყო სამომავლო მოვლენაზე, კერძოდ, ამხანაგობისათვის გამოყოფილ მინის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიან სახლზე დამატებითი ფართობის დაშენებაზე, რომლის გარეშეც, მას ვერ განესაზღვრებოდა რაიმე უფლება ამხანაგობაში. მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მისი სამომავლო უფლების კავშირი საბინაო პირობების გაუმჯობესებასთან, რომელიც დამკიდებული იყო ამხანაგობისათვის უკვე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში დამატებითი ფართის დაშენების აუცილებლობაზე, რომლის პერსპექტიულ ღონისძიებებზე თავად მოსარჩელეს უნდა ეზრუნა. ჯ. ლ-ე 18 წლის განმავლობაში არ დაინტერესებულა ამხანაგობის ბედით, რაც მოპასუხეს საკმარის საფუძველს უქმნიდა იმისათვის, რომ მან იცოდა თავისი სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ხოლო, თუ იგითავს ამხანაგობის წევრად მიჩნევდა, მას დროულად უნდა გამოეჩინა ინტერესი თავის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით და შეეტყო ამხანაგობის წევრთა საერთო კრების სადავო გადაწყვეტილების თაობაზე. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმულია.

ამხანაგობა „...-ს“ წევრებმა: მ. მ-მ, მ. კ-მ, მ. კ-მ, ა. ჯ-მ, მ. ბ-მ, ვ. ბ-მ, დ. ქ-მ და მ. თ-მ იმავე სამართლებრივი საფუძვლებით არ ცნეს ჯ. ლ-ს სარჩელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ლ-მ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვე-

ტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრების 1992 წლის 25 იანვრის საერთო კრების №5 ოქმი ჯ. ლ-ს ამხანაგობიდან გაყვანილად ჩათვლის ნაწილში და აღიარებულ იქნა მოსარჩევის თანასაკუთრების უფლება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...“ სახელზე რიცხულ ქონებაზე, ჯ. ლ-ე ცნობილ იქნა ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე 1045 კვ.მ მიწის ნაკვე-თის (საკადასტრო კოდი №...) თანამესაკუთრედ შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 1989 წლის 11 ივნისს ამხანაგობის კრებაზე ი. ჯ-მ, ა. ს-ბ, მ. მ-მ, გ. გ-მ, მ. გ-მ, თ. ჩ-ს-მ და მ. თ-მ მიიღეს გადაწყვეტილება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგო-ბის შექმნის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით სთხოვეს რაიალმასკომს საკითხის გადაწყვეტა იმის გათვა-ლისწინებით, რომ ყველა ჩამოთვლილი პირი საჭიროებდა პირობების გაუმჯობესებას. თბილისის საქალა-ქო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 8 ივნისის №11.42.209 გადაწყვეტილებით 26 კომისიის სახელმისამართის რაი-აღმასკომს ნება დაერთო მ-ს ქ. №4-ში გამოთავისუფლებულ ნაკვეთზე ინდივიდუალური მენაშენების ამ-ხანაგობების ჩამოყალიბებაზე. თბილისის 26 კომისიის სახელმისამართის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოქალაქეების: ი. ჯ-ს, ა. ს-ს, მ. მ-ს, გ. გ-ს, მ. გ-ს, თ. ჩ-ს-ს და მ. თ-ს თხოვნა და თ. ლ-ს, ი. ფ-ს, ჯ. ლ-ს, მ. თ-ს, დ. ხ-ს, ი. ჯ-ს, გ-ს-სა და მ. ა-ს გამოყოფილ მ-ს ქ. №4-ში გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთი ინდივიდუალურ მენაშენების ამ-ხანაგობისათვის და აღნიშნული პირები მოიხსენე ბინის მიღების აღმოცხვიდან. 1989 წლის 18 ოქტომ-ბერს ამავე წლის 16 აგვისტოს რეეგისტრირებულ ამხანაგობაში განევრიანდენ მ. გ-ა, ა. ს-ი, ნ ჯ-მ-ი, ა. ბ-ე. 1991 წლის 18 მაისს ისნის რაიონის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრთა კრებაზე დაის-ვა საკითხის ახლად განევრიანებულთა მდგომარეობის გარკვევის შესახებ, კერძოდ, ამხანაგობის თავ-მჯდომარის ი. ჯ-ს მიერ გამოითქვა აზრი, რომ თუკი აღმასკომის მიერ განევრიანებული პირები არ მოაგ-ვარებენ სხვა ამხანაგობაში გადასვლის საკითხს, ისინი ჩაითვალონ ამხანაგობიდან გასულად. ამხანაგო-ბის თავმჯდომარე ი. ჯ-სა და ნ. გ-ს დაევალათ ახლად განევრიანებულთა მდგომარეობის გარკვევის სა-კითხის დაყენება აღმასკომის წინაშე. აღმასკომის ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია. ინდივი-დუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ 1992 წლის 25 იანვრის №5 კრების დადგენილების მიხედვით, ამხა-ნაგობის შემადგენლობიდან გასულად ჩაითვალენ ამხანაგობაში აღმასკომის მიერ მათვის კანონით მი-ნიჭებული პროცენტის გადაჭირებით განევრიანებული მოქალაქეები: ნ. ჯ-მ-ი, მ. ა-ე, ჯ. ლ-ე, გ. ს-ი და დ. ხ-ი. ქ.თბილისის მთავარი არქიტექტორის 1991 წლის 1 მარტის №230 პრძანების მიხედვით, შეთანხმებუ-ლად ჩაითვალა ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში გამოთავისუფლებულ მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალურ მენაშე-ნეთა ამხანაგობისათვის ახალი ხუთსართულიანი (ოთხი საცხოვრებელი სართულით), რვაბინიანი ინდივი-დუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი. საჯარო რეეგისტრის ამონანერის მიხედვით, ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე 1045 კვ.მ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ საკუთრებად. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებად კი მითითებულია შემდეგი: კანონი „ფი-ზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“; ქ.თბილისის 26 კომისიის სახელმისამართის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 18 ოქტომბრის №20.137.2578 გადაწყვეტილება; ქ.თბილისის 26 კომისიის სახელმისამართის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკო-მის 1989 წლის 16 აგვისტოს №16.30.2100 გადაწყვეტილება; ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქა-ლაქო სამსახურის მიერ 2000 წლის 13 მარტს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა. ინდივიდუალურ მენაშენე-თა ამხანაგობა „...-ს“ კონკრეტულ მიზანს წარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განხორ-ციელება ამხანაგობის წევრი ი. ჯ-ს საცხოვრებელი სახლის დანგრევის შედეგად გათავისუფლებულ 1045 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, რაც ვერ განხორციელდა. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ თავმჯდო-მარე ი. ჯ-მ 1990 წლის 17 სექტემბერს განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ისნის რაიონის სახალხო დეპუ-ტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საბინაო სამმართველოს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხა-ნაგობების სექტორის უფროსს და სხვადასხვა საკითხებთან ერთად აცნობა, რომ ვერ მოხერხდებოდა ამ-ხანაგობაში აღმასკომის გადაწყვეტილებაში მითითებული პირების – ჯ. ლ-ს, თ. ლ-ს, ი. ფ-ს, დ. ხ-ს, ნ. ჯ-ს, გ. ს-სა და მ. ა-ს განევრიანება და აღნიშნულის შესახებ მათაც იცოდნენ, რაზეც პასუხი არ მიუღიათ. 2009 წლის 8 მაისს ჯ. ლ-მ სარჩევლით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მესამე პირის – ინდ.მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ თავმჯდომარე მ. გ-ს მიმართ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგის-ტრაციო სამსახურის 2009 წლის 23 მარტის №882009073085 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ქმედების გან-ხორციელების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე შეწყდა წარმოება ჯ. ლ-ს მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. მხარეები სადაცოდ არ ხდიან, რომ აღნიშნული დავის ნამოწყების საფუძველს ნარმოადგენდა საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება, ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე 1045 კვ.მ უძრავ ქონებაზე თანა-მესაკუთრედ ჯ. ლ-ს რეგისტრაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, რომელიც ჯ. ლ-ს მიერ გასაჩინერებულ იქნა სასამართლოში აღმინისტრაციული სამართალნარმოების წესით.

პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა ჯ. ლ-ს ამხანაგობის წევრად არყოფნის თაობაზე მოპასუხის პოზიციის უარყოფის შესახებ, კერძოდ, პალატამ ჩათვალა, რომ ქ.თბილისის სა-ხელმისამართო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს

№16.30.2100 გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ე მოხსნილ იქნა საპინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვიდან იმის გამო, რომ იგი განევრიანდა ბინათმშენებლობის ამხანაგობაში. ამასთან, ამხანაგობა „...-ს“ 1991 წლის 18 მაისის №4 კრების ოქმის მიხედვით, ამხანაგობის წევროთა შორის მოხსენებულია, რომ კრებას ეს-წრება ჯ. ლ-ე. ჯ. ლ-ს ამხანაგობის წევრობის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ ამხანაგობის წევრთა საერთო კრების 1992 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. ლ-ე ჩაითვალა ამხანაგობიდან გასულად, შესაბამისად, თუ მოსარჩელე ამხანაგობის წევრი არ იყო, იგი ვერც ამხანაგობის წევრობიდან ჩაითვლებოდა გასულად. სასამართლოს განმარტებით, ამხანაგობა, როგორც უფლებაუნარისან სუბიექტი, წარმოიშვა 1989 წელს, 1989 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სადაც წევრად მითითებულია ჯ. ლ-ე. სწორედ ამ დროიდან მოხდა მისი რეგისტრაცია აღმასკომის გადაწყვეტილებით. სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 23-ე მუხლით, ამხანაგობები უზნეციონირებენ იურიდიული პირის სახით. ამხანაგობის დებულების მე-7 პუნქტით, ამხანაგობა უზრიდიულ მენაშენეთა ამხანაგობას იურიდიული პირის უფლებას იძენს აღმასკომში რეგისტრაციის შემდეგ. დებულებით ამხანაგობები იქმნებოდა აღმასკომებთან და, შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობა არ იყო მხარეთა ნების ავტონომიაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ვინაიდან, საბოლოო გადაწყვეტილებები, მათ შორის, წევრთა კომპლექტაციის თაობაზე, მიღებოდა აღმასკომების მიერ. აღნიშნული საკონმდებლო დანაწესი თვით ამხანაგობის წევრთათვისაც ცნობილი იყო, რაც დასტურება მათივე გადაწყვეტილებიდან, სადაც სთხოვდნენ აღმასკომს, რომ ცვლილება შესულიყო დებულებაში და უზირატესობა მიეცათ „თავისით შეკრებილი“ ამხანაგობის აზრისათვის ამხანაგობის დაკომპლექტებისას. თავის მხრივ, ე.წ. „აღმასკომის ინიციატივით“ პირთა ამხანაგობაში განევრიანების სახით სახელმწიფო პასუხისმგებლობას იხსნიდა ამ პირების მიმართ, რაც გამოიხატა მოხარჩელესთან მიმართებით და იგი მოხსნილ იქნა ბინის მიღების აღრიცხვიდან. განსხვავებით მოქმედი კანონმდებლობისგან, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა, რომელიც იქმნებოდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ვერ მიაღწევდა მიზანს, რადგან მინა, რომელიც ამხანაგობის საქმიანობისთვის სავალდებულო იყო, წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას, კონკრეტულ შემთხვევაში, ამხანაგობას გადაეცა ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე მინის ნაკვეთი. პალატამ მიუთითა ქ.თბილისის 26 კომისრის სახელმწიფოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, ამხანაგობას (თ. ლ-ს, ი. ფ-ს, ჯ. ლ-ს, მ. თ-ს, დ. ხ-ს, ი. ჯ-ს, გ. ს-ს, მ. ა-ს) გამოიყო მინის ნაკვეთი. აღნიშნული გადაწყვეტილება „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ამხანაგობისთვის გამოყოფილ მინა წარმოადგენს, რომელიც, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ამხანაგობის საკუთრებად გამოცხადდა 1998 წლიდან, რაც დადასტურებულია კიდეც წარმოადგენილი საჯარო რეესტრის ამონანერით. 1997 წლის 25 ნოემბრიდან ამხანაგობები აღარ არსებობდნენ იურიდიული პირების სახით (1509-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა ჩამონათვალში ამხანაგობა მითითებული არ არის), შესაბამისად, აღმასკომის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, მინის დადგენილი წესით სარგებლობის უფლების მქონე სუბიექტებს 1998 წლის ნოემბრისათვის („ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების დროისათვის) წარმოადგენდნენ ამხანაგობის წევრები. ამხანაგობისათვის გადაცემული მინებიც მათივე საკუთრებად გამოცხადდა. 2000 წელს საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ქ.თბილისის 26 კომისრის სახელმწიფოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოსა და ქ.თბილისის 26 კომისრის სახელმწიფოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილები და არა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრთა საერთო კრების სადაც მე-5 ოქმი, შესაბამისად, „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სწორედ ამ გადაწყვეტილებებში მითითებულმა იმ პირებმა მოიპოვეს მინაზე თანასაკუთრების უფლება, რომლებიც არ ყოფილან ამხანაგობის წევრობიდან გაყვანილი 1997 წლის 25 ნოემბრამდე აღმასკომის, ხოლო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან, ამხანაგობის წევრთა გადაწყვეტილებით. პალატის განმარტებით, უფლების რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს აღმასკომის გადაწყვეტილებები და არა, მაგალითად, 1989 წლის 11 ივნისის კრების ოქმი, რადგან კრების გადაწყვეტილება აღმასკომის მიერ მის დადასტურებამდე და გადაწყვეტილებაში ასახვამდე არ წარმოადგენდა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, შესაბამისად, საფუძვლიანი მოსარჩელის მოთხოვნა მე-5 ოქმის, როგორც კანონით დადგენილი დანაწესის საწინააღმდეგო დოკუმენტის ბათილად აღიარებაზე, ვინაიდან, მას არ შეიძლებოდა სამართლებრივი შედეგი მოჰყოლოდა.

სააპელაციო სასამართლო იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით და ჩათვალა, რომ მოსარჩელეს გააჩინა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ 1992 წლის 25 იანვრის №5 კრების ოქმის სასამართლოს მეშვეობით ბათილად აღიარების ინტერესი, ვინაიდან, აღნიშნული ოქმის საფუძველზე მოპასუხეები მას ეცილებიან უფლებაში. №5 კრების ოქმის იურიდიული ძალის მქონედ მიჩვისათვის საჭირო იყო 1997 წლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული გადაწყვეტილების დადასტურება რაიონული აღმასკომის მიერ. იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს წარმოადგენდა აღმასკომის გადაწყვეტილება და არა კრების ოქმი. შესაბამისად, ამხანაგობის მიერ 1997 წლის 25 ნოემ-

ბრამდე (სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე) მიღებული გადაწყვეტილება, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობიდან წევრის გაყვანის შესახებ, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი შედეგის მომტანი დოკუმენტად.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 219-ე, 377-ე და 380-ე მუხლების საფუძველზე არ გაიზიარა ახალი ფაქტები იმასთან დაკავშირებით, რომ კრების ოქმი მიღებულია არაუფლებამოსილ პირთა მიერ და კვორუმის დაუცველად, კერძოდ, საერთო კრების მონაწილე 12 პირიდან, მხოლოდ 5 პირი იყო ამხანაგობის წევრი. ასევე არ იქნა გაზიარებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითიერება ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან, მსგავსად მოქმედი კანონმდებლობისა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-80 მუხლიც ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაციისად მიიჩნევდა არა მოვლენის დადგომას – ობიექტურ ფაქტორს, არამედ სუბიექტურ ფაქტორს, იმ მომენტს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ჯ.ლ.-ს წევრობიდან გარიცხვის თაობაზე უფლებამოსილ ორგანოს – აღმასკომის გადაწყვეტილება არ მიუღია, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაინიჭოს 2009 წლიდან, რა დღისაც ადგილი ჰქონდა უფლების შედავებას, კერძოდ, როდესაც ადმინისტრაციული სამართლწარმოებისას ჯ.ლ.-ს ჩაბარდა სადაცვო ოქმი. 1991 წლის 18 მაისის შედეგ (რასაც მოწინააღმდეგ მხარე მიუთითებს ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაციისად), მოსარჩელეს შეეძლო თავისი უფლების მდგომარეობა გადაემონმებინა ან აღმასკომისადმი მიმართვით (ვინაიდან, მისი წევრობიდან გაყვანაზე მხოლოდ ეს ორგანო იყო უფლებამოსილი მიეღო სამართლებრივი შედეგის მქონე გადაწყვეტილება), ხოლო 1998 წლიდან („ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით) – საჯარო რეესტრში. არც ერთ ამ ორგანოში არ დაფიქსირებულა მოსარჩელის, როგორც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის წევრის უფლების დარღვევის ფაქტი. სასამართლოს განმარტებით, მოთხოვნის ხანდაზმულობის მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ევალება, მან უნდა დაადასტუროს, რომ მოსარჩელემ იცოდა უფლების დარღვევის შესახებ ან არსებობს ისეთი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ მოსარჩელეს შეეძლო, სცოდნოდა მისი უფლების დარღვევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მოპასუხის მიერ უნდა დასახელდეს თარიღი ან მოვლენა, რომლის დადგომასთან დაკავშირებული უნდა იქნეს დაზარალებულის ეჭვის გაჩენა, რაც მას მოტივაციას აძლევს იაქტიუროს და გაარკვიოს თავისი უფლებრივი მდგომარეობა. ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაციის მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს მომენტი, როცა პირს უნდა სცოდნოდა უფლების დარღვევის შესახებ, თუკი პირს აქვს ობიექტური შესაძლებლობა ლეგიტიმური საშუალებებით აკონტროლოს თავისი უფლების მდგომარეობა. პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჯ.ლ.-ე წარმოადგენს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრს, ჩათვალა, რომ აღიარებულ უნდა იქნას მოსარჩელის თანასაკუთოების უფლება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ სახელზე რიცხულ ქონებაზე და ჯ.ლ.-ე ცნობილ უნდა იქნას ქ.თბილისში, მ-ს ქ№4-ში მდებარე 1045 კვ.მ მინის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №...) თანამესაკუთოებდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკადასტრო წესით გაასაჩივრეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-მ“, მ. გ-მ, დ. გ-მ, ვ. ბ-მ, მ. კ-მ, მ. მ-მ, ა. ჯ-მ, მ. ბ.მ, მ. კ-მ, მ. თ-მ და დ. ქ-მ. კასატიორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდგენ დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი დასაბუთების თვალსაზრისით. პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა გამოიყენებული სამართლის ნორმები. განჩინება არაკანონიერია არა მხოლოდ სადაცვო საკითხის მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევით, რაც იმაში გამოიხატა, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს მცდარი და ურთიერთსანინაღმდევო შეფასებები მიეცა, მნიშვნელოვან გარემოებებზე გადაწყვეტილება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას, იგი მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა-შეფასების გარეშე, რადგანაც სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, ერთი მხრივ, გამორიცხავს მისი უსაფუძვლობა, ხოლო, მეორე მხრივ, ხანდაზმულობა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რომელიც ასახულია გასაჩივრებულ განჩინებაში, ეფუძნება მცდარ სამართლებრივ შეფასებებს. პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ამხანაგობის, როგორც იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბებული ინგრენებული წარმონაქმნის სამართლებრივ ბუნებას. პალატამ ვერ მოიხმო სამართლის კონკრეტული წარმატების მიუთვნებას. სინამდვილეში, სადაც პერიოდში მსგავსი დანაწესის დამდგენი წარმატების მართლაც არ არსებობდა და გაუგებარია, თუ რომელ ნორმატიულ საფუძველს ემყარება სასამართლოს დასკვნა ამხანაგობიდან რომელიმ წევრის გაყვანის აღმასკომის კომპეტენციის თაობაზე. გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება ამხანაგობის, როგორც ინგრენებული წარმონაქმნის იურიდიულ სტატუსსა და დანიშნულებას, რადგან მას შემდეგ, რაც ამხანაგობა ჩამოყალიბდებოდა და შეიძლდა იურიდიული პირის სტატუსს იგი უფლებამოსილი იყო, დამოუკიდებლად გადაწყვეტილა როგორც შედაორგანიზაციული, მათ შორის წევრთა სამართლებრივ მდგრამარებასთან დაკავშირებული, ისე მესამე პირებთან სამართლებრივი ურთიერთობის წარმართვასთან არსებული საკითხები, რაშიც აღმასკომის ჩარევა მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. ზემოაღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო პალატის მსჯელობის გაზიარებისა და ამხანაგობიდან მისი რომელიმე წევრის გაყვანის საკითხთან დაკავშირებით აღმასკომის კომპეტენციის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც კი, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ვინაიდან ალარ არსებობს აღმასკომები და მათ სამართალმემკვიდრეებს რაიონის გამგეობები წარმოადგენენ, ამხანაგობის წევრის გასვლის საკითხიც მათზე იქნება დამოკიდებული, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

დაუსაბუთებელია პალატის მსჯელობა, რომ წევრის ამხანაგობიდან გაყვანის თაობაზე კრების ოქმის იურიდიული ძალა არ გააჩინდა, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაშიც არც მისი ბათოლად ცნობის აუცილებლობა იარსებდება, ასევე დაუსაბუთებელია, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩინდა მოსარჩელეს ალნიშნულ მოთხოვნასთან მიმართებით, თუკი კრების ოქმი შედეგს ვერ გამოიწვევდა, თუმცა ფაქტია, რომ მოსარჩელემ სარჩელის აღმრთო მოთხოვა აოქმის ბათილად ცნობა, რომლის გარეშეც ვერ მიაღწევდა ამხანაგობის წევრად აღდგენის თაობაზე აღძრული მოთხოვნის დაკამაყოფილების მიზანს, აღმასკომის 1989 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება ამხანაგობის სახელზე რეგისტრირებულ მინის ნაკვეთთან მიმართებით არ შეიძლებოდა გამხდარიყო ამხანაგობის რომელიმე წევრის ინდივიდუალური უფლების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რადგან ამხანაგობის წევრთა ვინაობისა და მათი უფლებების განსაზღვრა დაფუძნების შემდეგ მინის რეგისტრაციამდე სხვა დოკუმენტებითაც ხდებოდა, რომლებითაც ამხანაგობის წევრთა შემადგენლობამ მინის ნაკვეთის რეგისტრაციის მომენტამდე გარკვეული ცვლილებები განიცადა და, ბუნებრივია, რომ იგი იმ შემადგენლობით, რაც აღმასკომში რეგისტრაციის ეტაპზე არსებობდა, ვერ გახდებოდა მინის ნაკვეთის მესაკუთრე. გასაჩივრებული განჩინება არაკანონირია იმ თვალსაზრისითაც, რომ მოსარჩელეს მიეკუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოთხოვდა, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით ჯ. ლ-ე თანამესაკუთრედ იქნა ცნობილი ამხანაგობის სახელზე რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე, მაშინ, როდესაც მოსარჩელის მოთხოვნა ამხანაგობის წევრად ცნობა იყო. მინის ნაკვეთზე თანამესაკუთრედ ცნობა არამართებული მოთხოვნა იქნებოდა, რადგანაც მინის ნაკვეთზე რეგისტრირებულია არა ამხანაგობის თითოეული წევრის, არამედ მთლიანი ამხანაგობის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტისა და ორგანიზებული წარმონაქმნის უფლება. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით კი, ჯ. ლ-ე ცნობილ იქნა ამხანაგობის სახელზე რეგისტრირებული მინის ნაკვეთის თანამესაკუთრედ ნილის მითითების გარეშე, რაც სამართლებრივად გამოიწვევს იმას, რომ იგი ალირიცხება მინის ნაკვეთის თანამესაკუთრედ, ხოლო ამხანაგობა ცალკე იქნა მითითებული მეორე თანამესაკუთრედ, აღნიშნული საბოლოოდ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელესა და ამხანაგობას განესაზღვრებათ 1/2-1/2 იდეალური ნილები, ანუ ჯ. ლ-ე იქცევა მთლიანი მინის ფართობის ნახევრის მესაკუთრედ, რისი სამართლებრივი წინაპირობაც არ არსებობს. სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რას შეადგენს ჯ. ლ-სათვის განკუთვნილი ნილი, ყოველივე ამით კი, არსებითად ილა-ხება ამხანაგობის უფლება და ინტერესი, ასევე არასწორად იმსჯელა სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებითაც.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაცო კრების ოქმის გაფორმებამდე ამხანაგობამ ჩაატარა არა-ერთი კრება, რომელსაც თავად ჯ. ლ-ც ესწრებოდა და რომელთან მიმართებითაც კრებაზე მიმდინარეობდა დისკუსია მისი ამხანაგობიდან გაყვანის შესახებ, თუ იგი არ განახორციელებდა კონკრეტულ ღონისძიებებს. მოსარჩელემ ვერ შეძლო დაემტკიცებინა დაკისრებული მოვალეობების შესრულების ფაქტი, ხოლო, იმავე კრების ოქმით დადგენილი იყო, რომ ვალდებულების განუხორციელებლობა ჩაითვლებოდა ამხანაგობიდან გასვლად და აღნიშნულის დეკლარირება ამხანაგობამ მოახდინა 1992 წლის №5 კრების ოქმით. წინამორბედ კრებებზე განხილული საკითხის არსიდან და დამდგარი შედეგებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს უნდა გამოეჩინა წინდახედულება და დაინტერესებულიყო, კვლავ ითვლებოდა თუ არა იგი ამხანაგობის წევრად მით უფრო 18-წლიანი პერიოდის განმავლობაში, როცა მოსარჩელეს ერთხელაც არ დაუმყარებია კონტაქტი ამხანაგობასთან.

მოსარჩელის მითითება, რომ მას სადაცო კრების ოქმი გადაეცა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე, ვერ აბათილებს სარჩელის ხანდაზმულობას, რადგან ამხანაგობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბუნებიდან ასევე, შექმნისა და არსებობის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული სუბიექტის ნორმალური ფუნქციონირება დაკავშირებულია თითოეული წევრის ჩართულობასა და აქტივობასთან ამხანაგობის ყოველდღიურ საქმიანობაში. მოსარჩელემ თავისი ბრალითა და დაუდევრობით ვერ შეიტყო უფლების „დარღვევის“ შესახებ, რაც ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყისი მომენტის განსაზღვრასთან დაკავშირებული სუბიექტური ფაქტორის არსებობაზე მიუთითებს.

კასატორთა განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 წანილის, 128-ე მუხლის მე-3 წანილისა და 130-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ არასწორად განმარტა ხანდაზმულობის საკითხი, ამასთან, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე და მე-80 მუხლები ასევე განსხვავებულად არეგულირებდნენ ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ უკვე შეთანხმებულ პროექტში საჭირო გახდებოდა ახალი ფართების დამატება, რის თაობაზეც სწორედ ჯ. ლ-ს უნდა ეზრუნა, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა კი მისი ამხანაგობიდან გასვლის წინაპირობას წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. გ-ს, ა. ჯ-ს, მ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-5 წანილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა, ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 წანილის თანახმად, დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ მენა-შენეთა ამხანაგობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. მ-ს, ა. ჯ-ს, მ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს საკასა-ციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემობათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემობები სა-ვალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონეა სააპელა-ციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 8 ივნისის №11.42.209 გადაწყვეტილებით 26 კომის-რის სახელმისამართოს ნება დაერთო მახათას ქ№4-ში გამოთავისუფლებულ ნაკვეთზე ინდივიდუ-ალური მენაშენების ამხანაგობების ჩამოყალიბებაზე.

1989 წლის 11 ივნისს ამხანაგობის კრებაზე ი. ჯ-მ, ა. ს-მ, მ. მ-მ, გ. გ-მ, მ. გ-მ, თ. ჩ-ს-მ და მ. თ-მ მიიღეს გადაწყვეტილება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობის შექმნის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით სთხოვეს რააღმასკომს საკითხის გადაწყვეტა.

თბილისის 26 კომისრის სახელმისამართოს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტე-ტის 1989 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოქალაქების: ი. ჯ-ს, ა. ს-ს, მ. მ-ს, გ. გ-ს, მ. გ-ს, თ. ჩ-ს-სა და მ. თ-ს თხოვხა და თ. ლ-ს, ი. ფ-ს, ჯ. ლ-ს, მ. თ-ს, დ. ხ-ს, ი. ჯ-ს, გ. ს-სა და მ. ა-ს გამოყოფილი ქ. №4-ში გამოთავისუფლებული მინის ნაკვეთი ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობისათვის და აღ-ნიშნული პირები მოიხსენ ბინის მიღების აღრიცხვიდან. ამ დროიდან ნარმოადგენს ჯ. ლ-ე ამხანაგობის ნევროს.

1991 წლის 18 მაისს ისნის რაიონის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ წევრთა კრებაზე და-ისვა საკითხი ახლად განვითარიანებულთა მდგომარეობის გარკვევის შესახებ, კერძოდ, ამხანაგობის თავ-მჯდომარის ი. ჯ-ს მიერ გამოითქავა აზრი, რომ თუკი აღმასკომის მიერ განვითარიანებული პირები არ მოაგ-ვარებენ სხვა ამხანაგობაში გადასვლის საკითხს, ისინი ჩაითვლებოდნენ ამხანაგობიდან გასულად. ამხა-ნაგობის თავმჯდომარე ი. ჯ-სა და ნ. გ-ს დაევალათ ახლად განვითარიანებულთა მდგომარეობის გარკვევის საკითხის დაყენება აღმასკომის ნინაშე. აღმასკომს ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღია.

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ 1992 წლის 25 იანვრის №5 კრების დადგენილების მი-ხედვით, ამხანაგობის შემადგენლობიდან გასულად ჩაითვალნენ ამხანაგობაში აღმასკომის მიერ მათვის კანონით მინიჭებული პროცენტის გადაჭარბებით განვითარიანებული მოქალაქები, მათ შორის მოსარჩელე ჯ. ლ-ე. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის საფუძველზე არ გაიზია-რა ახალი ფაქტები იმასთან დაკავშირებით, რომ კრების ოქმი მიღებულია არაუფლებამოსილ პირთა მიერ და კვორუმის დაუცველად,

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ კონკრეტულ მიზანს ნარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის განხორციელება ამხანაგობის წევრ ი. ჯ-ს საცხოვრებელი სახლის დანგრევის შედე-გად გათავისუფლებულ 1045 კვ.მ მინის ნაკვეთზე, რაც ვერ განხორციელდა. ქ.თბილისში, მ-ს ქუჩა №4-ში მდებარე 1045 კვ.მ მინის ნაკვეთი დღეისათვის რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგო-ბა „...-ს“ საკუთრებად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია ის ნინაპირობები, თუ რა მიიჩნევა როგორც მატერიალური კანონის, ასევე საპროცესო კანონის დარღვევად. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლო - არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამო-იყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, საპროცესო სა-მართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვე-ლი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველ შემ-თხვევაში, საკასაციო საჩივარის შინაარსიდან ირკვევა, რომ კასატორის პრეტენზია ეხება სასამართლოს მხრიდან როგორც სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების არასწორად განსაზღვრას, ასე-ვე საპროცესო სამართლის ნორმათა იმგვარ დარღვევას, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მი-ღება მოჰყვა. საკასაციო სასამართლო კასატორთა პრეტენზიის დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

საქმის შესწავლით დგინდება, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლელო მოთხოვნა სარჩელის აღდვრის დღი-დან (15.04.2010.) რამდენჯერმე იქნა დაზუსტებული, საბოლოოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელემ მოითხოვა: ინდივიდუალური ამხანაგობა „...-ს“ წევრთა საერთო კრების 1992 წლის 25 იანვრის ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა; ამხანაგობის სახელზე რიცხულ ქონებაში მოსარჩელის საკუთრების უფლების აღიარება და მისი მესაკუთრედ ცნობა საერთო საკუთრების წილზე. ხარვეზის შევსების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში მოსარჩელებმ მიუთითა, რომ მისი წი-ლის 1/8-ის შესაბამისი ფართობია 130,625 კვ.მეტრი. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნას კრების ოქმის ნა-წილობრივ ბათილად ცნობასთან ერთად ნარმოადგენდა ქ.თბილისში, მ-ს ქუჩა №4-ში მდებარე 1045 კვ.მ მინის ნაკვეთიდან 130,625 კვ.მეტრზე, როგორც მოსარჩელის წილზე მისი საკუთრების უფლების აღიარება და მესაკუთრედ ცნობა.

პირველ მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩეულე ჯ. ლ-ე თბილისის 26 კომისიის სახელობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით განკურიანდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ში“ და იმავდროულად მოიხსნა პინის მიღების აღრიცხვიდან. მართალია, კასატორები არ ეთანხმებიან სასამართლოს ამ დასკვნას, მაგრამ მათ აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საგულისხმოა კასატორების განმარტებები იმასთან დაკავშირებით, რომ 1991 წლის 18 მაისს ჩატარდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ საერთო კრება, რომელსაც ესწრებოდა ჯ. ლ-ე და სადაც განხილულ იქნა მისი ამხანაგობიდან გაყვანის საკითხი. ამდენად ფაქტია, რომ ამხანაგობა „...-ს“ წევრთა საერთო კრების 1992 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილების მიღებამდე ჯ. ლ-ს თვით ამხანაგობა განიხილავდა როგორც მის წევრს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლო არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ამხანაგობის, როგორც იურიდიული პირის სახით ჩატარდა ინდივიდუალური მენაშენეთი ნარმონაქმნის სამართლებრივ ბუნებას. ასევე სასამართლომ ვერ მოიხმო სამართლის კონკრეტული ნორმა, რომელიც ითვალისწინებს უკვე ჩამოყალიბებული, ამხანაგობიდან მისი რომელიმე წევრის გაყვანის აღმასკომის კომპეტენციისადმი მიკუთვნებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ კვალიფიკაციას, კერძოდ: სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 23-ე მუხლით, ამხანაგობები ფუნქციონირებული იურიდიული პირის სახით. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 8 სექტემბრის №15.48.582 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისში ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობების მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ“ დროებითი დებულების პირველი პუნქტის შესაბამისად, მრავალბინიანი ინდივიდულური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან იქნებოდა ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობები. ამგვარი ამხანაგობები იქმნებოდა აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რაისაბჭოების აღმასკომებში შემდგომი რეგისტრაციით. ამავე დებულების მე-7 პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობა იურიდიული პირის უფლებას იძენდა რაიონული საბჭოს აღმასკომში რეგისტრაციის შემდეგ. განსხვავებით მოქმედი კანონმდებლობისგან, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა, რომელიც იქმნებოდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ვერ მიაღწევდა მიზანს, რადგან მინა, რომელიც ამხანაგობის საქმიანობისთვის სავალდებულო იყო, ნარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას. ამგვარი ჩარევის ლეგიტიმურობას ადასტურებს საქართველოს სასამართლოებში ნარმოებული არაერთი ადმინისტრაციული დავა (იხ.სუსგ, 3 ნოემბერი, 2004 წელი, №ბს-532-458-კ-04; სუსგ, 27 დეკემბერი, 2002 წელი, №3გ-ად-249-კ-02; სუსგ, 7 მარტი, 2006 წელი, №ბს-1226-801(კ-05).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის შესაბამისი გადაწყვეტილების არარებობის პირობებში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ 1992 წლის 25 იანვრის №ნ კრების ოქმი ჯ. ლ-ს ამხანაგობიდან გაყვანის თაობაზე ვერ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს. რაც შეეხება დასახელებული კრების გადაწყვეტილების ბათილად აღიარების იურიდიულ ინტერესს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დასაბუთა ამგვარი ინტერესის რეალურად არსებობა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგობა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს – ინდივიდუალური ბინამდებელობის განხორციელებას, ფაქტია, რომ ამხანაგობა დღესაც არსებობს. შესაბამისად სადაც კრების ოქმის მოსარჩევის ნაწილში ბათილად აღიარებით, მოსარჩევე უზრუნველყოფს იმ სიკეთის დაცვას, რომელსაც ეცილებიან.

საკასაციო პალატა ეთანხმება საკასაციო საჩივარში გამოთქმულ პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩევეს მიაუთვნა იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, როგორც ზემო გახსენეთ, მოსარჩევის მეორე მოთხოვნას წარმოადგენდა ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე ინდ.მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ საკუთრებაში არსებული 1045 კვ.მ მინის ნაკვეთიდან მოსარჩევის წილზე – 130,625 კვ.მეტრზე, საკუთრების უფლების აღიარება. პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, თუ რას შეადგენდა ჯ. ლ-ს კუთვნილი წილი ამხანაგობაში. შესაბამისად, წილის მითითების გარეშე ჯ. ლ-ს ამხანაგობის სახელზე რიცხულურ ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარებით სასამართლო უდავოდ გასცდა მოსარჩევის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლები, კერძოდ, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში კასატორებმა წარმოადგინეს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ჯ. ლ-ს ამხანაგობაში განკურიანების დროისათვის მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 449-ე მუხლის მიხედვით, საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეების ფულადი ან სხვა ქონებრივი შენატანები, აგრეთვე საერთო საქმიანობის შედეგად შექმნილი ან შეძენილი ქონება მათ საერთო საკუთრებას წარმოადგენს. ანალოგიური პრინციპია განმტკიცებული მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლში, რომლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ სელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრე-

ბას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შეძენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. პალატის მოსაზრებით, კანონმდებლის ამგვარი წება გამომდინარეობს თვით ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობიდან, – საერთო მიზნის არსებობა და ამ მიზნის მისაღწევად ერთობლივად მოქმედება. აღსანიშნავია ასევე ის სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლის მე-3 ნაწილში და რაც ითვალისწინებს გამსვლელი მონაწილისათვის წილის კომპენსაციის მიცემას და არა საერთო საკუთრებიდან ქონების ნატურით გამოყოფას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და თვლის, რომ ამ კუთხით სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა კანონი, ასევე სწორად მიუთითა ხანდაზმულობის სუბიექტურ ფაქტორზე. სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაავისრა მოთხოვნის ხანდაზმულობის მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს, რაც ვერ იქნა დაძლეული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლომ სწორი სასამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან, კასატორებს არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას, კასატორების პრეტენზია გაზიარებულ იქნა, რაც სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. ამასთან, სახეზე არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გალებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დაავისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი, განსაზღვრულია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯებს განაწილებასაც.

მოცემული დავის საგანი ამხანავობის კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და ამხანავობის სახელზე რიცხულ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება, საერთო საკუთრებიდან წილზე მესაკუთრედ ცნობაა. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელე ჯ. ლ-მ საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 120 ლარი, ხოლო სააპელაციო საჩივრის გამო – 150 და 59 ლარი, სულ 209 ლარი. მოცემულ საქმეზე მოპასუხების მიერ გალებულ ხარჯებს საკასაციო საჩივრზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი შეადგენს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანავობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. კ-ს, მ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საერთო საკუთრებიდან წილის მიკუთვნების ნაწილში და ამ ნაწილში ჯ. ლ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო ამხანავობის კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანავობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. ბ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საერთო საკუთრებიდან წილის მიკუთვნების ნაწილში და ამ ნაწილში ჯ. ლ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ხოლო ამხანავობის კრების ოქმის ნაწილობრივ ბათილად ცნობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანავობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. ბ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს ჯ. ლ-ს სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილებას 14,5 ლარი (სარჩელის დაკმაყოფილდა, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 164,5 ლარი, ამასთან, მხარეთა შორის ურთიერთვალდებულება უნდა გაიქვითოს და საბოლოოდ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანავობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. ბ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს ჯ. ლ-ს სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილებას 14,5 ლარი (164,5-150).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

1. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. მ-ს, ა. ჯ-ს, მ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ სახელზე რიცხულ 1045 კვ.მ მინის ნაკვეთზე ჯ. ლ-ს თანასაკუთრების აღიარების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. ჯ. ლ-ს სარჩელი ქ.თბილისში, მ-ს ქ. №4-ში მდებარე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“ სახელზე რიცხულ 1045 კვ.მ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისა და საერთო საკუთრებიდან წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

5. ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „...-ს“, მ. გ-ს, დ. გ-ს, ვ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. მ-ს, ა. ჯ-ს, მ. ბ-ს, მ. კ-ს, მ. თ-სა და დ. ქ-ს ჯ. ლ-ს სასარგებლოდ დაეკისროთ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 14,5 ლარისა ანაზღაურება.

6. საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

დაუსწრებელი გადაცყვეტილება

განჩინება

№ას-1078-1011-2012

21 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: უძრავი ქონების S წილის მესაკუთრედ ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2011 წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. ბ-მა მოპასუხე ლ. ბ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, წ-ის №117-ში მდებარე ბინის 1/2 წილის მესაკუთრედ ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1998 წელს განხორციელდა საადავო ბინის პრივატიზება. მითითებული დროისათვის ბინაში რეგისტრირებული იყვნენ თვითონ და მამამისი, მოპასუხე ლ. პ-ი. პრივატიზების დროს მთლიანი ბინა ალირიცხა მხოლოდ ლ. პ-ის სახელზე, რის გამოც მოპასუხე არ ცნობდა მასზე მოსარჩელის თანასაკუთრების უფლებას. როგორც მოსარჩელისათვის გახდა ცნობილი, ლ. პ-ი აპირებდა ხსენებული ბინის გაყიდვას, რაც ლასავდა მოსარჩელის საკუთრების უფლებას, რომელმაც ეს უფლება მოიპოვა პრივატიზაციის შედეგად. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის დადგენილების შე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაზე გადაეცემა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით, ამავე დადგენილების მე-5 პუნქტზე, რომლის მიხედვით საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქებს, რომელებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინა) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. მოხმობილი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელემ განმარტა, რომ პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება მიეცემოდა ყველა იმ პირს, რომელსაც ბინის პრივატიზების დროისათვის საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მას გააჩნდა სადავო ბინის S ნაწილზე საკუთრების უფლება, რის გამოც მისი სარჩელის მოთხოვნა ექვემდებორდა დაკმაყოფილებას.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მიხედვით, საცხოვრებელ ბინაზე პრივატიზაციის უფლების მოპოვებისათვის სავალდებულო პირობას წარმოადგენდა დამქირავებელთან ერთად მუდმივად ცხოვრებისა და საცხოვრებელი სახლით სარგებლობის ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე არ წარმოადგენდა დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს და არ სარგებლობდა სადავო საცხოვრებელი ბინით. აქედან გამომდინარე, სადავო ბინაში მოსარჩელის მხოლოდ ჩანერის ფაქტი არ ქმნიდა საკმარის საფუძველს ამ ბინაზე პრივატიზაციის უფლების მოპოვებისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში ლ. პ-ის საკუთრებად რეგისტრირებული, თბილისში, წ-ის ქუჩის №117-ში მდებარე ოროთახიანი ბინის S ნაწილის მესაკუთრედ.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ბინის პრივატიზაციის დროს, ამ ბინაში არც მოსარჩელე და არც მოპასუხე არ ცხოვრობდა, თუმცა ისინი სადავო ბინით სარგებლობდნენ, კერძოდ, იღებდნენ და ინაწილებდნენ სადავო ბინის გაქირავებით მიღებულ შემოსავალს. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ბინის პრივატიზაციის დროს ამ ბინაში ჩანერილი იყო მოსარჩელე, სასამართლომ იგი ბინის პრივატიზაციაზე უფლებამოსილ პირად განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების საფუძველზე.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციი წესით გაასაჩივრა ლ. პ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციი საჩივრის მოტივები:

1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს არ უცხოვრია სადავო ბინაში. მოწმებით ჩვენებებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სადავო ბინის პრივატიზაციამდე (1998 წელი) და პრივატიზაციის შემდეგაც, მოპასუხე რეალურად ფლობდა და სარგებლობდა ამ ბინით. მოპასუხის მიერ სადავო ბინის გაქირავების ფაქტი, რაც ასევე დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით და ასახულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე სარგებლობდა სადავო ბინით. მოქმედი კანონმდებლობით, სადავო ფართზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის, აუცილებელ პირობას ნარმოადგენს, ამ ფართში ცხოვრების, ფართით სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ ფაქტის დადგენა, რომ ეს უკანასკნელი სარგებლობდა სადავო ფართით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო დაადგინა, რომ მოსარჩელეს არასოდეს უცხოვრია სადავო ფართში, ეს ფართი არასოდეს ნარმოადგენდა მოსარჩელის მფლობელობისა და სარგებლობის საგანს.

2. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ერთობლივად სარგებლობდნენ სადავო ბინით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი ინაწილებდნენ სადავო ბინის გაქირავებით მიღებულ შემოსავალს. აღნიშნული ფაქტის დადგენისას, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მოწმეთა ჩვენებებს, ვინაიდან, როგორც მითითებული ჩვენებებით, ასევე მოპასუხის ახსნა-განმარტებით, დასტურდება მხოლოდ ერთი გარემოება, რომ მოპასუხე მოსარჩელეს პერიოდულად ჩუქნიდა გარკვეულ თანხებს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა, სადავო ბინით ერთობლივად სარგებლობასა და ამ ბინის გაქირავებით მიღებული შემოსავლის ერთმანეთში განაწილებას. საგულისისხმა, რომ ასეთი მოსაზრება, მოსარჩელის მხრიდანაც არ გაუღერებულა. მოპასუხე მოსარჩელეს თანხას ჩუქნიდა მშობლის მოვალეობიდან გამომდინარე და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რა გზით შოულობდა იგი ამ თანხას - ბინის გაქირავებით თუ სხვა საშუალებით.

3. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნით შეწყვიტა ქირავნობის ურთიერთობა დამქირავებელთან. მოსარჩელეს არასოდეს პერიოდია რაიმე უფლება სადავო ბინაზე, იგი არ განკარგავდა და არ სარგებლობდა სადავო ფართით. აქედან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ის მოსაზრება, რომ მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნით შეწყვიტა ქირავნობის ურთიერთობა. ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაშიც, მოპასუხე არ იქნებოდა ვალდებული გაეთვალისწინებინა იგი.

თბილისის სააპელაციი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. პ-ის სააპელაციი საჩივრარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივრარი შეიტანა ი. პ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

თბილისის სააპელაციი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით ი. პ-ის საჩივრარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციი სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად, თბილისის სააპელაციი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილს, 10:30 საათზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, არ გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე, რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციი სასამართლოს განმარტებით, გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარეს გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათ წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოები მითითებული იქნა 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგე გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთიოთ სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახ-

და და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო მომჩივნის მიერ მითითებული გარემოების შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებაა.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი – ი. პ-ის წარმომადგენელი მ. რ-ე – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძვლით, რომ სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოინვია ი. პ-ის მიერ მ. რ-ისა და მ. მ-ის სახელზე გაცემული რწმუნებულების მოქმედების ვადის გასვლაშ. ამასთან, იგი აღნიშნავდა, რომ გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სასამართლოს ეცნობა წინასწარ, სხდომის თარიღამდე 2 დღით ადრე – 2012 წლის 17 აპრილს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება, სასამართლო მიიჩნიოს პროცესზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზად, განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი, აღნიშნული ნორმის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის წარმომადგენლის მიერ მითითებული გარემოება სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის საპატიონბისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლო-სათვის წინასწარ შეტყობინების თაობაზე, რაც შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

უპირველესად, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზად მიჩნევისათვის „სხვა გარემოება“, გამოწვეული უნდა იყოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით. მოცემულ შემთხვევაში კი მხარის მიერ მითითებული საპატიო მიზეზი – რწმუნებულების მოქმედების ვადის გასვლა, არ იყო გამოწვეული განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, ვინაიდან, იგი სუბიექტურ კრიტერიუმებზე მიუთითებდა და თავისთავად სცილდებოდა კანონის მიზნებს.

ამასთან, დადგინდა, რომ 2012 წლის 19 აპრილს, 10:30 საათზე დანიშნული სხდომის თაობაზე და გამოუცხადებლობის შედეგებთან დაკავშირებით სათანადო წესით გაფრთხილებული იყო მონინაალმდეგე მხარის, ი. პ-ის წარმომადგენელი მ. რ-ე, კერძოდ, 2012 წლის 4 აპრილს მ. რ-ეს სასამართლო უწყება ჩაბარდა პირადად, შესაგებელში მის მიერვე მითითებულ მისამართზე. ასევე დადგინდა, რომ ი. პ-ის მიერ მ. მ-ისა და მ. რ-ის სახელზე გაცემულ რწმუნებულებას მოქმედების ვადა გაუვიდა 2012 წლის 6 აპრილს. ამდენად, ი. პ-ის წარმომადგენლისათვის, მ. რ-ისათვის სხდომის თარიღამდე დაახლოებით 15 დღით ადრე უკვე ცნობილი იყო მისი წარმომადგენლისით უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ხარვეზიანობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მან სხდომის დაწყებამდე 2 დღით ადრე, 2012 წლის 17 აპრილს მიმართა ფოსტას – შპს „ქართულ სერვის ჯგუფს“ განცხადებით 2012 წლის 19 აპრილს დანიშნული სასამართლო სხდომის გადადების შესახებ, რომელიც სააპელაციო სასამართლოს ჩაბარდა 2012 წლის 20 აპრილს, 2012 წლის 19 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ამდენად, სააპელაციო სასამართლოსათვის 2012 წლის 19 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არ იყო ცნობილი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, მან სხდომის გადადების შესახებ განცხადებით ფოსტას მეშვეობით მიმართა სასამართლოს სხდომის დაწყებამდე 2 დღით ადრე – 2012 წლის 17 აპრილს. დასახელებული ნორმის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთს საათამდე, თუ საჩივრი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთს საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაწესი ეხება მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ საპროცესო ვადებს და საპროცესო მოქმედების შესასრულებლად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებს. შესაბამისად, იგი ვერ გავრცელდებოდა კონკრეტულ შემთხვევაზე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ დროის არც თუ ისე მცირე შუალედში (15 დღის განმავლობაში), მონინაალმდეგ მხარის წარმომადგენელი ვალდებული იყო, დაეჭირო თადარიგიდა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ ი. პ-ის წარმომადგენელ მ. რ-ის მიერ მითითებული გარემოებები, კერძოდ, ის, რომ რწმუნებულებაში, მასზე ხელის მოწერის დროს ვერ დააფიქ-სირა მექანიკური შეცდომა რწმუნებულების უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებით (იხ. სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის სხდომის ოქმი) და ასევე, აღნიშნული საფუძვლით სხდომის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის გზავნილი ჩაბარა ფოსტას 2 დღით ადრე, სააპელაციო სასამართლოს შეფასების არ წარმოადგენდა სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელ საფუძვლებს. აქვე, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზეც, რომ წარმომადგენელს, პროფესიით იური-

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ნარმოების განახლების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, სწორედ საჩივრის ავტორს უნდა ემტკიცებინა სასამართლო სხდომაზე მისი გამოუხადებლობის საპატიოობა, რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის ამ კუთხით რეალიზება.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, ისევე როგორც მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინებაზე საკა-
საციონ საჩივარი შეიტანა ი. პ.-მა. კასატორის მოთხოვნაა მათი გაუქმება და საქმის განსახილველად საპე-
ლაციონ სასამართლოში დატრუნება.

საკასაციო საჩივარი ემყარება შემდეგ აღვუმენტებს:

ი. პ-ს სასამართლო შეტყობინება არ ჩაბარებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა მოსარჩელის ყოფილ წარმომადგენლებს, რომლებთანაც ი. პ-ს შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება. 2012 წლის 6 აპრილს რწმუნებულების მოქმედების ვადა გასული იყო. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა ამ ვადის გასვლიდან 13 დღეში, 2012 წლის 19 აპრილს;

სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მოთხოვნები, არ შეამოწმა გამოუცხადებელ მხარეს ჩაპარდა ოუარა შეტყუბობინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, არ გამოარკვია გამოუცხადებლობის შესახებ შეტყუბობინება, არ შეამოწმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, შედეგად, საქმეზე არა კანონიერი გადაწყვეტილება იქნა მიღებული;

არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ აპელანტის მოწინააღმდეგ მხარეს სასამართლოსათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის მიზე ზების თაობაზე. საქმეში მოიპოვება ი. პ-ის წარმომადგენლების მიერ სასამართლო სსფომამდე ორი დღით ადრე წარდგენილი განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ მათ სახელზე გაცემულ რწმუნებულებას მოქმედების ვადა გაუვიდა, ამასთან, ყოფილი მართმუნებლის ინფორმირება ვერ მოახერხეს იმის გამო, რომ იგი იმყოფებოდა უცხოეთში;

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ ამართლებენ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტი არ მიუთითებდა, რომ ბინის პრივატიზაციის მომენტში ი. პ-ი არ წარმოადგენდა მისი ოჯახის წევრს და მასთან ერთად არ გადასცემია საკუთრებაში სადაც პინა პრივატიზაციის წესით. მხოლოდ ეს ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება ამართლებდნენ იურიდიულად სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას და მხოლოდ მათი არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი იმ დასკვნის გაკეთება, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. პ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის სასამართლო სხდომაზე არ გამოკვადდა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, რის გამოც სასამართლომ მის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დადგენილია, ისიც, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილვაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს ამ კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, გამოუკხადებელ მხარეს, რომლის ნინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარწყლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის განახლება, თუ დაამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნინაპირობები.

ში, კერძოდ, მას არ ჩაბარებია სასამართლო უწყება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო უწყება, 2012 წლის 19 აპრილს, 10:30 საათზე დანიშნულ სხდომაზე მოწვევის შესახებ, პირადად ჩაბარდა აპელაციის მოწინააღმდეგ მხარის – ი. პ-ის წარმომადგენელ მ. რ-ეს 2012 წლის 4 აპრილს, რაც დასტურდება ამ უკანასკნელის ხელმოწერით გზავნილის ჩაბარების შეტყობინების პარაზიზე, აღნიშნულ გარემოებას კასატორი სადავოდ არ ხდის, მაგრამ მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, წარმომადგენლისათვის გზავნილის ჩაბარება ვერ მიიჩნევა მხარისათვის ჩაბარებად, რადგან უწყების ჩაბარების დროს რწმუნებულების მოქმედების ვადა გასული იყო. კასატორის აღნიშნული მოსაზრება დაუსაბუთებელია, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულებით საპირისპირო ფაქტი დასტურდება, კერძოც, ი. პ-ის წარმომადგენლის, მ. ჯ-ას მიერ 2011 წლის 6 აპრილს გაცემული რწმუნებულების (მინდობილობის) მიხედვით, მ. რ-ეს წარმომადგენლობის უფლება მიენიჭა 2012 წლის 6 აპრილამდე. ამდენად, უწყების ჩაბარების მომენტში – 2012 წლის 4 აპრილს, მ. რ-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაქარწყლებული არ ყოფილა, ვინაიდან არ ვაყილა, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება (სკ-ის 109-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, მისთვის უწყების ჩაბარება უფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებად უნდა იქნეს მიჩნეული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ ძათგანს. მითითებული ნორმა სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას უწყება გაუგზავნოს მხარეს ან მის წარმომადგენელს, ხოლო, ერთ-ერთი მათგანისათვის ჩაბარება მიიჩნიოს, როგორც მხარისათვის, ასევე წარმომადგენლისათვის ჩაბარებად. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო უწყება აპელაციის მოწინააღმდეგ მხარისათვის ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მხარის წარმომადგენლის, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მხარისათვის ჩაბარებად მიიჩნევა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ავალდებულებს წარმომადგენლის, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს, მაგრამ წარმომადგენლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ან შესრულების შეუძლებლობა, გავლენას ვერ მოახდენს მხარისათვის უწყების ჩაბარებულად მიჩნევაზე. წარმომადგენლის მიერ ზემოსხენებული ვალდებულების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, მაგრამ იგი ვერ გაქარწყლებს სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევის პრეზუმეციას.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ, ვინაიდან მისმა წარმომადგენლებმა სხდომამადე ორი დღით ადრე აცნობეს სასამართლოს, რომ რწმუნებულების ვადის გასვლის გამო, ისინი ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას საქმის განხილვაში, ხოლო, მარტმუნებელთან საზღვარგარეთ დაკავშირებას ვერ ახერხებდნენ.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ზემოსხენებული განცხადება სააპელაციო სასამართლოს კანცელარიას ჩაბარდა 2012 წლის 20 აპრილს, ანუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, შესაბამისად, მასზე სააპელაციო პალატა ვერ იმსჯელებდა. ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რამდენად გამორიცხავდა ზემოსხენებულ განცხადებაში მითითებული გარემოებები დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას, ანუ, ხომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

ზემოთ აღინიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს. ეს გარემოებები მითითებულია 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებს მხარეს წინასწარ აცნობოს სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის და მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელია. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებს მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრება მომჩივანს, ხოლო ამ გარემოებათა შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიოა მხარის გამოუცხადებლობა – სასამართლოს უფლებამოსილება.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, მისმა წარმომადგენლებმა, რწმუნებულების ვადის გასვლის გამო, ვერ მიიღეს მონაწილეობა საქმის განხილვაში, ხოლო, მასთან დაკავშირება ვერ შეძლეს, ვინაიდან მას საკონტაქტო ტელეფონი გამორთული ჰქონდა.

საპატიო მიზეზის დეფინიციის განამტკიცებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 წანილი, რომელიც ადგენს, რომ ასეთ მიზეზზე შეიძლება ჩაითვალოს მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარმოდგენის შეუძლებლობა, რაც გამოუცვეულია ავალდებული გარემოებით, ახლო წათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით

შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგნას. ამავე კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას დაუშვებლად მიიჩნევს, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა შეიძლება მიიჩნეულ იქნეს საპატიოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოუცხადებლობა გამოწვეულია ობიექტური გარემოებით, რომლიც მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე მის გამოცხადებას. მოცემულ შემთხვევაში, კასატორო საჩივარში თავად მიუთითებს, რომ მას საკონტაქტო ტელეფონი გამორთული ჰქონდა, რაც, ცხადია, გამორიცხავდა მასთან დაკავშირების შესაძლებლობას. ამდენად, კასატოროს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო არა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით და მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, არამედ მისი წინდაუხედაობით, რაც საკონტაქტო ტელეფონის გამორთვაში გამოიხატა. ასეთ შემთხვევაში, თავად მხარე იმ უარყოფითი საპროცესო შედეგის რისკის მატარებელი, რაც მის მიერ აუცილებელი ყურადღებისათვის ფარგლებს დარღვევითა გამოწვეული.

კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სააპელაციო მოთხოვნას, ამიტომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გამოუტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს შემდეგს: სასამართლო სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის (სააპელაციო მოპასუხის) გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ სააპელაციო მოსარჩელის (აპელანტის) მიერ მითითებული გარემოებების იურიდიულ შესაბამისობაზე სააპელაციო საჩივარის მოთხოვნასთან მიმართებით, თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230.2 და 387.2 მუხლებისა. სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას არა მარტო სამართლებრივი, არამედ ფაქტობრივი თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პრეზუმაციასაც ეფუძნება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოგანისას სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები მიიჩნევა დამტკიცებულად და, თუ ისინი იურიდიულად ასაბუთებენ აპელანტის მოთხოვნას, სასამართლო დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმუცია, რომლის თანახმად ივარაუდება, რომ სააპელაციო მოპასუხებ ვერ დაადასტურა საპიროსპირო.

განსახილველ შემთხვევაში, აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითოთ შემდეგ გარემოებებზე:

1. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს არ უცხოვრია სადაც ბინაში. მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სადაც ბინის პრივატიზაციამდე (1998 წელი) და პრივატიზაციის შემდეგაც, მოპასუხე რეალურად ფლობდა და სარგებლობდა ამ ბინით. მოპასუხის მიერ სადაც ბინის გაქირავების ფაქტი, რაც ასევე დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით და ასახულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში, უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხე სარგებლობდა სადაც ბინით. მოქმედი კანონმდებლობით, სადაც უართზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ამ ფართში ცხოვრების, ფართით სარგებლობის ფაქტი. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მნიშვნელოვანი იყო იმ ფაქტის დადგენა, რომ ეს უკანასკნელი სარგებლობდა სადაც ფართით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს არასოდეს უცხოვრის სადაც ფართში, ეს ფართი არასოდეს წარმოადგენდა მოსარჩელის მფლობელობისა და სარგებლობის საგანს.

2. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე და მოპასუხე ერთობლივად სარგებლობდენ სადაც ბინით, კერძოდ, ისინი ინაზილებდენ სადაც ბინის გაქირავებით მიღებულ შემოსავალს. აღნიშნული ფაქტის დადგენისას, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მოწმეთა ჩვენებებს, ვინაიდან, როგორც მითითებული ჩვენებებით, ასევე მოპასუხის ახსნა-განმარტებით, დასტურდება მხოლოდ ერთი გარემოება, რომ მოპასუხე მოსარჩელეს პერიოდულად ჩუქნიდა გარკვეულ თანხებს, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა, სადაც ბინით ერთობლივად სარგებლობასა და ამ ბინის გაქირავებით მიღებული შემოსავლის ერთმანეთში განაწილებას. საგულისსხმოა, რომ ასეთი მოსაზრება, მოსარჩელის მხრიდანაც არ გაფლერებულა. მოპასუხე მოსარჩელეს თანხას ჩუქნიდა მშობლის მოვალეობიდან გამომდინარე და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რა გზით შოულობდა იგი ამ თანხას - ბინის გაქირავებით თუ სხვა საშუალებით.

3. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხებ მოსარჩელის მოთხოვნით შეწყვიტა ქირავნობის ურთიერთობა დამქირავებელთან. მოსარჩელეს არასოდეს ჰქონია რაიმე უფლება სადაც ბინაზე, იგი არ განკარგავდა და არ სარგებლობდა სადაც ფართით. აქედან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია ის მოსაზრება, რომ მოპასუხე მოსარჩელის მოთხოვნით შეწყვიტა ქირავნობის ურთიერთობა. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაშიც, მოპასუხე არ იქნებოდა ვალდებული გაეთვალისწინებინა იგი.

სააპელაციო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებების გაქარწყვლების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა სააპელაციო მოპასუხეს (ი. პ-ს), მაგრამ, ვინაიდან იგი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედდეს პრეზუმუცია, რომლის თანახმად ივარაუდება,

რომ სააპელაციო მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია დადგენილად (დამტკიცებულად) ლ. პ-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, იურიდიულად ამართლებენ აპელანტის მოთხოვნას. კერძოდ, პალატა მიუთითებს „საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებაზე, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მოქალაქეთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციის საფუძვლები. ხსენებული დადგენილების მე-5 პუნქტის მიხედვით, საცხოვრებელი სახლი (ბინი) უსასყიდლოდ გადაცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშული დადგენილებით მინიჭებული უფლების რეალიზაციის ვრცელდება დამქირავებლის იმ ოჯახის წევრებზე, რომლებიც დამქირავებელთა ერთად ცხოვრობენ და სარგებლობენ საცხოვრებელი ბინით. ამდენად, დამქირავებლის ოჯახის წევრის მიერ საცხოვრებელი სახლით (ბინით) სარგებლობის ფაქტი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განსაზღვრული უფლების რეალიზაციის საფუძველს (მოცემული განმარტება შეესაბამება მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 ივლისის განჩინება, საქმეზე №ას-329-314-2012). განსაზილეველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387.2 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული ლ. პ-ის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ ი. პ-ს (მოსარჩელეს) არასოდეს უცხოვრია სადაცი ფართში, ეს ფართი არასოდეს წარმოადგენდა მოსარჩელის მფლობელობისა და სარგებლობის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად გამართლებულია აპელანტის მოთხოვნა ი. პ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განსაზღვრული უფლების რეალიზაციის საფუძველს წარმოადგენს დამქირავებლის ოჯახის წევრის მიერ საცხოვრებელი სახლით (ბინით) სარგებლობის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში უარყოფილია აპელანტის მიერ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმის, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსაზილეველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 პპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

განხილვა

№ას-102-97-2013

7 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრება, ნაჩუქარი ძვირფასეულობის დაბრუნება

ალწერილობითი ნაწილი:

6. მ-ამ სარჩელი ალძრი სასამართლოში 6. მ-ის მიმართ მხარეთა რეგისტრირებული ქორწინების შენ- უვეტის, არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის ალიმენტის – 200 ლარის დაკისრებისა და ჩუქებით მიღე- ბული ოქროს სამკაულების მოპასუხისაგან გამოთხოვის ან მათი ლირებულების ანაზღაურების მოთხოვ- ნით შემდეგ გარემოებათა გამო:

6. მ-ა და 6. მ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2008 წლის 18 ივლისიდან. 2010 წლის 5 აპ- რილს შეეძინა შვილი – ზ. მ-ა. ერთი წელია, რაც მეულლები ერთად აღარ ცხოვრობენ, ზ. მ-ა ცხოვრობს დედასთან ერთად. მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, მატერიალური თვალსაზრისით მამა არასრულ- წლოვანი შვილის რჩენაში მონანილეობას არ იღებს. ქორწილსა და ნიშნობაზე 6. მ-ამ საჩუქრად მიღო შემდეგი ძვირფასეულობა: 720 ლარად ლირებული 12-გრამიანი ოქროს ყელსაბამი, 300 ლარად ლირებული 4-გრამიანი ოქროს ბეჭედი ნითელი თვლით, 300 ლარად ლირებული 5-გრამიანი ოქროს ბეჭედი, 240 ლარად ლირებული 4-გრამიანი ოქროს ბეჭედი, 480 ლარად ლირებული 5-გრამიანი ოქროს სამაჯური, 2500 ლარად ლირებული 1 წყვილი საყურე და 1 ცალი ოქროს ბეჭედი (სამეული), 1400 ლარად ლირებული 35-გრა- მიანი ოქროს ყელსაბამი, 3500 ლარად ლირებული 84-გრამიანი 14 ცალი ოქროს ბეჭედი. აღნიშნული ოქ- როს ნივთები მოსარჩელის საკუთრება და იმყოფება მოპასუხესთან, ხოლო 6. მ-ი უარს აცხადებს ნივთე- ბის ნებაყოფლობით დაბრუნებაზე.

მოპასუხემ სარჩელი განქორწინების ნაწილში ცნო და ითხოვა ამ ნაწილში მისი დაკმაყოფილება, ხო- ლო დანარჩენი მოთხოვნების ნაწილში მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი სა- ფუძვლებით:

მოპასუხე დაეთანხმა სარჩელში მითითებულ გარემოებას რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის, მე- ულლეთა ფაქტობრივად ცალ-ცალკე ცხოვრებისა და არასრულწლოვანი შვილის დედასთან ერთად ცხოვ- რების თაობაზე, ამასთან აღნიშნა, რომ არის ინვალიდი და სახელმწიფო შემწებელის – 70 ლარის გარდა მას არ გაარჩინა სხვა შემოსავალი ან უძრავ-მძრავი ქონება, რაც გამორიცხავს შვილის აღზრდაში მონანილე- ბის შესაძლებლობას. ქორწილსა და ნიშნობაზე 6. მ-ამ საჩუქრად მიღო შემდეგი ოქროს ნაკეთობები: 12- გრამიანი ოქროს ყელსაბამი, 4-გრამიანი ოქროს ბეჭედი ნითელი თვლით, 5-გრამიანი ოქროს ბეჭედი, 4- გრამიანი ოქროს ბეჭედი, ოქროს საყურე და 1 ცალი ოქროს ბეჭედი (სამეული), 35-გრამიანი ოქროს ყელსა- ბამი, თუმცა მოსარჩელის კუთვნილი ოქროს ნივთები მოპასუხესთან არ იმყოფებოდა, რადგან ისინი მო- სარჩელებ მსახლიდან ნასვლის დროს თან ნაიღო.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით 6. მ-ას სარჩელი ნაწი- ლობრივ დაკმაყოფილდა, შენყდა 6. მ-ასა და 6. მ-ს შორის ქორწინება და გაუქმდა ქორწინების თაობაზე სამოქალაქო რეგისტრის სააგენტოს მარნეულის სამსახურის 2008 წლის 18 ივლისის №... სააქტო ჩანაწერი, 6. მ-ს 6. მ-ას სასარგებლოდ 2010 წლის 5 აპრილს დაპატიჟული ზ. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – 30 ლარის ყოველთვიურად გადახდა 2012 წლის 26 აპრილიდან ზ. მ-ას სრულწლოვნებამდე, 6. მ-ისაგან გამოთხოვილ იქნა 6. მ-ას კუთვნილი შემდეგი მოძრავი ნივთები: 720 ლარად ლირებული 12-გრამიანი ოქ- როს ყელსაბამი, 300 ლარად ლირებული 4-გრამიანი ოქროს ბეჭედი ნითელი თვლით, 300 ლარად ლირებული 5-გრამიანი ოქროს ბეჭედი, 240 ლარად ლირებული 4-გრამიანი ოქროს ბეჭედი, 480 ლარად ლირებული 5- გრამიანი ოქროს სამაჯური, 2500 ლარად ლირებული 1 წყვილი ოქროს საყურე და 1 ცალი ოქროს ბეჭედი (სამეული), 1400 ლარად ლირებული 35-გრამიანი ოქროს ყელსაბამი, ამ ნივთების მოპასუხესთან აღმოუ- ჩენლობის შემთხვევაში, 6. მ-ს 6. მ-ას სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითე- ბული მათი ლირებულების ანაზღაურება, 3500 ლარად ლირებული 84-გრამიანი 14 ცალი ოქროს ბეჭდის მო- პასუხის მფლობელობიდან გამოთხოვის მთხოვნის ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყ- ფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. მ-მა, მოითხოვა ოქროს ნივთების გამოთხოვისა (მათი ლირებულების ანაზღაურების) და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში (გადაწყვეტილების მე-4 და მე-6 პუნქტები) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწ- ყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 სექტემბრის დაუს- წრებელი გადაწყვეტილებით 6. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარე 6. მ-ას მიერ სააპელაციო შესაგებლის ნარუდებნლობის გამო, გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 23 მაისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-6 პუნქტები და ამ ნაწილში მიღე- ბულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც 6. მ-ას უარ ეთქვა 6. მ-ისაგან 720 ლარად ლირებუ- ლი 12-გრამიანი ოქროს ყელსაბამის, 300 ლარად ლირებული 4-გრამიანი ოქროს ბეჭდის (ნითელი თვლით), 300 ლარად ლირებული 5-გრამიანი ოქროს სამაჯურის, 2500 ლარად ლირებული 1 წყვილი ოქროს საყურისა და 1 ცალი ოქროს ბეჭდის (სამეულის), 1400 ლარად ლირებული 35-გრამიანი ოქროს ყელსაბამის გამოთხოვა-

ზე.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა 6. მ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრე- ბელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო შესაგებლის ნარუდებნლობა გა- მოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, იმ გარემოებით, რომ სასამართლო გზავნილი მას პირადად არ ჩაბარებია, გზავნილი ჩაიდარა მისმა დედამ – გ. ვ-ამ, რომელმაც თავისი ხელმოწერით დააფიქსირა გზავ- ნილის მიღების ფაქტი. მას, როგორც ადრესატს, დედამ მოგვიანებით გადასცა სასამართლო გზავნილი. 6.

მ-ა და მისი ოჯახის წევრები არ ფლობენ ქართულ ენას, რამაც ხელი შეუშალა საქმის ფაქტობრივი გარე-მოებების თაობაზე აპელაცის მონინალმდეგე მხარის დროულ ინფორმირებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის განჩი-ნებით ნ. მ-ას საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე, 233-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, ამავე ნორმის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა იმ საფუძვლით, რომ მას დროულად არ ცინობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, ვინაიდან სასამართლო გზავნილი მას პირადად არ ჩაბარებია, არამედ ჩაიბარა მისმა დედამ - გ. ვ-ამ, რომელმაც მოგვიანებით გადასცა ნ. მ-ას, როგორც ადრესატს და ვინაიდან, ის და მისი ოჯახი არ ფლობენ ქართულ ენას, იგი დროულად არ იქნა ინფორმირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით იმ შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს დაუსწრებელი გა-დაწყვეტილება, თუ სასამართლომ დაარღვია თავისი ვალდებულება და დროულად არ აცნობა გამოუცხა-დებელ მხარეს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. ნორმით რეგულირებული ურთიერთობა ესება მხოლოდ სასამართლოს ვალდებულებას, დროულად აცნობოს მხარეს ფაქტობრივი გარემოებების შესა-ხებ, რაც, მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო, რადგანაც სასამართლომ 2012 წლის 9 ივლისის განჩინე-ბით მონინაალმდეგე მხარეს – ნ. მ-ას გადაუგზავნა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლები და დავალა 14 დღის ვადაში წარმოედგინა შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სააპელაციო მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად. ამავე განჩინებით მო-ნინაალმდეგე მხარეს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესა-გებლის) არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მის ნინაალმდეგ, ხოლო, სააპელაციო საჩივრისა და თანდარ-თული საბუთების ასლები მონინაალმდეგე მხარე ნ. მ-ას ჩაბარდა 2012 წლის 30 ივლისს, რა დროიდანაც წარმოიშვა მონინაალმდეგე მხარის ვალდებულება, სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) წარმოედგინა 2012 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილების გაუქმების საფუძველი. საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ საჩივრის ავტორი მიუთითებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო სა-ჩივრის წარუდგენლობის საპატიო მიზეზზე – მისი და მისი ოჯახის წევრების ქართული ენის არცოდნაზე და სწორედ ამ საფუძვლით მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, თუმცა ეს გარემო-ება, არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში პირდაპირ მითითებულ საპატიო მიზეზად და არც ამავე ნორმის დათქმაში – „სხვა გარემოებებში“ არ მოიაზრებოდა, რადგანაც სასამარ-თლოს შეფასებით, შესაგებლის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ქართული ენის არცოდნაში გამოიხატე-ბოდა, რაც განსაკუთრებული ობიექტური გარემოება არ იყო. პალატამ ასევე არ გაიზარა საჩივრის ავტო-რის მოსაზრება, რომ სასამართლო გზავნილი მას პირადად არ ჩაბარებია, არამედ ჩაიბარა მისმა დედამ – გ. ვ-ამ, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი ჩაბარების შესახებ ინფორმაციის ბარათით უდავოდ დასტურ-დებოდა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლები ჩაიბარა ნ. მ-ამ და არა მისმა დედამ, რადგანაც გზავნილზე არსებული ხელმოწერით უშუალოდ ადრესატის მიერ მიღების ფაქტი დასტურდებოდა.

სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ამ, მოითხოვა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწ-ყვეტილებისა და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლო-სათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობა, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტი-ლების მიღების საფუძველი გახდა, საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტები აღრესატს პირადად არ ჩაბარებია, რადგან საჩივრის გაგზავნის დროი-სათვის ნ. მ-ა შინ არ იმყოფებოდა, შესაბამისად, კორესპონდენცია ჩაბარდა ადრესატის დედას, რომელმაც გზავნილის მიღება ხელმოწერით დაადასტურა. არც კასატორმა და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრმა ქართული წერა-კითხვა არ იცის, შეტყობინების გადაცემისას დედამ ნ. მ-ას აუსნა, რომ დაბარებული იყო სააპელაციო სასამართლოში 2012 წლის 14 სექტემბრის სედომაზე, სასამართლო გზავნილის მიღებისთანა-ვე ნ. მ-ა დაუკავშირდა ადვოკატს და სწორებული ამის შემდეგ შეიტანა შესაგებელი სასამართლოში. დაუსწრე-ბელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობის არსებობის კასატორმა დაამყარა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე, 236-ე მუხ-ლზე და მიიჩნია, რომ სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილების გადასცა აპელანტის მონინაალმდეგე მხარის მიერ ქართული ენის სათანადოდ არცოდნა, რამაც შესაგებლის შეტანის ვადის დარღვევა გამოიწვია. სასამარ-თლომ დაარღვია კანონი, კერძოდ, არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე მე-3 ნაწილი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში და-ტოვების შესახებ განჩინებით სასამართლო განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია, თუ სასა-მართლომ დაარღვია საკუთარი ვალდებულება, დროულად აცხომობს ძხარეს დავის ფაქტობრივი გარემო-

ბები, რაც არასწორია, რადგანაც კასატონისა და მის ოჯახის წევრების მიერ ქართული ენის არცოდნა, ასევე ის, რომ სასამართლოს მიერ გაგზავნილი დოკუმენტები აღრესაც პირადად არ ჩაბარებია, სწორედ ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს ნარმო-ადგენს. სასამართლო სათანადო ვერ ასაბუთებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვერ მიუთითებს კონკრეტულ ნორმაზე, ნორმის კომენტარსა თუ სასამართლო პრაქტიკაზე, რაც სასამართლოს მიერ ნორ-მის არასწორ განმარტებასა და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე უარის არასწორად მითითე-ბას ადასტურებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოგვიანებით წარმოდგენილი განცხადებით კასატორმა განმარტა, რომ სა-სამართლო ვალდებული იყო, მხარისათვის შეტყობინება მისთვის გასაგებ ენაზე გაეგზავნა და სწორედ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაღაც სააპელაციო სასა-მართლოს სხვა შემადგენლობამ მსგავს ვითარებაში მხარის მიერ სამართალწარმოების ენის არცოდნა და-უსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად ჩათვალა. აღნიშნული გარემოების დადასტურების მიზნით განმცხადებელმა წარმოადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-ლატის 2012 წლის 12 ნოემბრის სხდომის ოქმის ასლი №28/2206-12 სამოქალაქო საქმეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 აპრილის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქეპუნქტის შესაბამისად, 6. მას საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამონება 6. მ-ას საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ 6. მ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადასტურებულია და მხარეს სადაცვოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაპარების დამადასტურებელ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან დარღვეულია სააპელაციო პასუხის წარდგენისათვის სააპელაციო პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით განსაზღვრული 14-დღიანი ვადა.

საკასაციონ სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ამ ვალის საპატიო მიზეზით დარღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის არსებობა-არარსებობის პირობები - იყო თუ არა აპელანტის მონინააღმდეგე მხარე დროულად ინფორმირებული საქ-მის განხილვის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, მხარე სახელმწიფო ენის არცოდნას მიიჩნევს საპატიო მიზეზად და დაუს-წრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულია სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის თუ რა შეიძლება იქნას მიჩნეული საპატიო მიზეზად, კერძოდ, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ მხარისათვის სამართალწარმოების მასალების ქართულ ენაზე გაგზავნისას, სახელმწიფო ენის არცოდნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიზნებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საპატიო მიზეზად, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას განაპირობებდა.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს 6. მ-ას მოსაზრებას, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგანაც, დასახელებული ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) ნარუდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას. „გ“ ქვეპუნქტი კი, მიუთითებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ისეთ საფუძველზე, როგორიცა გამოუცხადებელი მხარის არადროლული ინფორმირება საქმის ფაქტობრივი გარემოების თაობაზე. მართალია, სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ზემოაღნიშნული საფუძველი მხოლოდ სასამართლოს მიერ მხარის ინფორმირების წესის დარღვევას დაუკავშირა, თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ ნორმის მოქმედება ვრცელდება მაშინაც, როდესაც სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე 78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაუგზავნა საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე შეტყობინება მხარეს, მაგრამ ადრესატს ეს შეტყობინება არ ჩაბარებია სხვარაიმე ფაქტობრივი საფუძვლით, რაც, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადასტურებული არ არის.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქართული ენის არცოდნა სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის არ შეიძლება გახდეს მხარის არაინფორმირებულად მიჩნევის წინაპირობა, მაშინ, როდესაც დავას არ იწვევს საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე სასამართლო შეტყობინების ქართულ ენაზე მხარისათვის გადაცემის ფაქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონტექსტში სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატიონის პრეტენზიას, რომ შეტყობინება ჩაბარდა არა მხარეს, არამედ მისი ოჯახის ქმედუნარიან წევრს.

საქმის მასალებით დადასტურებულია და საპელაციო პალედ ამ მასალებზე დაყრდნობით მიიჩნია დადგენილად, რომ სააპელაციო საჩივარი და თანდართული მასალები 2012 წლის 30 ივლისს პირადად ჩაიბარან. მ-ამ. აღნიშნულის სანინაალმდევო მტკიცებულება მხარეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, არამედ შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ შეტყობინების გაგზავნის დროისათვის შინ არ იმყოფებოდა და მის ნაცვლად კორესპოდენცია ოჯახის წევრმა – დედამ ჩაიბარა. ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარეს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი გარემოების სანინაალმდევო დასაშვები შედავება არ წარუდგენია, დადგენილ გარემოებას საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნია, თუმცა, რადგანაც მხარე არ ეთანხმება ამ გარემოებას, პალატა მიზანშეწონილად თვლის აღნიშნოს ისიც, რომ სასამართლო შეტყობინების ჩაბარების შესახებ უკუგზავნილის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით შემოწმებისას ირკვევა შეტყობინების პირადად 6. მ-ასათვის ჩაბარება, რაც ციფრული ხელმოწერითვე დადასტურებული, ხოლო შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო ან საკურიერო მომსახურების განხორციელებისას ელექტრონული საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 22 მარტის №234 ბრძანებულების პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ საფოსტო ან საკურიერო გზავნილის (წერილი, შეტყობინება, სასამართლო უწყება, ამანათი, ბანდეროლი, ფულადი გზავნილი და სხვ.) მიღების, გაგზავნის, ჩაბარების ან ჩაუბარებლობის თაობაზე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული, ჩაბარებული ან/და შენსხული ელექტრონული დოკუმენტი, აგრეთვე ამ ბრძანებულების მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით დამოწმებული ან/და დადასტურებული მისი ამონააქტი, ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტზე შესრულებული ელექტრონული ხელმოწერა ან/და ჩანაწერი ჩაითვალოს მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ან/და ჩანაწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. საფოსტო ან საკურიერო გზავნილის გამგზავნის, აღრესატის ან კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილ პირის მიერ განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერა ან/და ჩანაწერი, რომელიც ამ ბრძანებულების პირველი პუნქტის შესაბამისად დადასტურებს საფოსტო ან საკურიერო გზავნილის გასაგზავნად გადაცემას ან/და მის მიღებას/ჩაბარებას, ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ან/და ჩანაწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

ამასთანავე, სანინაალმდევო ვითარებაშიც კი, თუ მხარე დაადასტურებდა, რომ შეტყობინება არა პირადად, არამედ ოჯახის წევრს ჩაბარდა, ვერც აღნიშნული გახდებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილი აღრესატის არყოფნის შემთხვევაში ოჯახის რომელიმე ქმედუნარიანი წევრისათვის შეტყობინების ჩაბარებას, უშუალოდ მხარის ინფორმირებად განიხილავს, რაც საპროცესო მოქმედების განხორციელებებისათვის დადგენილი ვადის დენის დაწყების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინებით სააპელაციო პალატამ არსებითად სწორად მიიჩნია სადავო გარემოებები დადგენილად და კანონის სწორი განმარტების გზით არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო 6. მ-ას საჩივარზე.

რაც შეეხება თავად დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, საკასაციო საჩივარის შესწავლით პალატა მიიჩნევს, რომ მხარე არ ედავება მის მიერ შესაგებლის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევას,

არამედ მიუთითებს ერთადერთ გარემოებას, რომ დადგენილად მიჩნეულ გარემოებებს სასამართლო სათანადო ვერ ადასტურებს სამართლის ნორმის, მისი განმარტებისა თუ არსებული სასამართლო პრაქტიკის მითითების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის გარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სხვა საფუძვლების არსებობისას გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და როგორც უკვე აღინიშნა, 6. მ-ას არ დაუდასტურების სანინააღმდეგო გარემოება, რომ სასამართლო შეტყობინება (სააპელაციო საჩივარი თანდართული მასალებით) პირადად ჩაბარდა 2012 წლის 30 ივნისს.

უდავორ, რომ სააპელაციო პალატის 2012 წლის 9 ივნისის განჩინებით შესაგებლის წარდგენის ვადად აპელანტის განესაზღვრა შეტყობინების ჩაბარებიდან 14 დღე.

კასატონი სადაღლო არ ხდის, რომ მან 14-დღიანი ვადის დარღვევით, 2012 წლის 10 სექტემბერს ჩაბარა შესაგებელი საფოსტო განყოფილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასკვნას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის ძალით, სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები: ა) სადავო ნივთები არ გააჩნდა მოსარჩელეს და ბ) ეს ნივთები აპელანტის მფლობელობა-სარგებლობაში არასოდეს არ იმყოფებოდა დადასტურებულად ითვლებოდა, ხოლო სხვისი უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ სარჩელის განხილვისას თუ დადგენილია, რომ ნივთი არ ეკუთვნის მოსარჩელეს და მოპასუხე არ არის ნივთის მფლობელი, ყოველგვარი პირობა არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად ადგენს მესაკუთრის უფლებას, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს ქონება, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ამავე კოდექსის 172-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, მხოლოდ მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მფლობელს ნივთის უკან დაპრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

რაც შეეხება №ა-949-13 განცხადებასა და მასზე დართულ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 ნოემბრის სხდომის ოქმის ასლს (საოქმო განჩინებას) №2ბ/2206-12 სამოქალაქო საქმეზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული მისი შეფასების საგანი ვერ გახდება, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში არ იხილება ამ საოქმო განჩინების კანონიერების საკითხი, იგი პრეიუდიციული მნიშვნელობის გადაწყვეტილება წინამდებარე საქმესთან მიმართებაში არ არის, ამასთანავე, სააპელაციო პალატა არ წარმოადგენს საერთო სასამართლოების იმ რგოლს, რომელიც განსაზღვრავს ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, შესაბამისად, მხარის მიერ წარმოადგენილი ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება ვერ გახდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას, რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის საკმარისი საფუძველი იყო, ხოლო საჩივარის წარდგენის გზით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ ვერ მიუთითა ისეთ გარემოებებზე და ვერ წარადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ისეთი მტკიცებულებები, რაც მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი გახდებოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 6. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2012 წლის 27 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის ხელახლა განსახილვებად დაპრუონის საფუძვლები

განხილვა

№ას-261-249-2013

27 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

დ. ღ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ. თ-ოს“ მიმართ შრომითი (სამსახურებრივი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთდროული კომპენსაციის – 200000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „ს. თ-ოს ნარმოების“ (ახლანდელი სს „თ. თ-ოს“) პარტნიორთა კრების 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ამავე წლის 17 ნოემბერს დ. ღ-ე დაინიშნა შპს „ს. თ-ოს ნარმოების“ გენერალურ დირექტორად. მოსარჩელესთან 10 წლის ვადით გაფორმდა შრომითი (სასამსახურო) ხელშეკრულება. 2011 წლის 4 აპრილს ჩატარებული საზოგადოების კრების ოქმით, ცალმხრივად, ყოველგვარი მიზეზის დაუსაბუთებლად მოსარჩელე გათავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. ასეთი შემთხვევისათვის საზოგადოებასა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მე-11 მუხლი ითვალისწინებდა ერთდროული კომპენსაციის – 200000 ლარის დასაქმებულისათვის ანაზღაურების შესაძლებლობას ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. მიუხედავად დ. ღ-ის წერილობითი მიმართვისა, საზოგადოებას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულება.

მოპასუხემ, სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა: მოსარჩელემ თანხის დაკისრების მოთხოვნა დაამყარა საზოგადოების მაშინდელ 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის გადაწყვეტილებას დ. ღ-ის დირექტორად დანიშვნის თაობაზე, სამენარმეო რეესტრის ამონანერს, სადაც ერთ-ერთ დირექტორად მოსარჩელეცამ მითითებული და მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებას, თუმცა, ნარმოდებინილი ხელშეკრულება ყალბი დოკუმენტია, რადგანაც სანარმოს იმდროინდელ ხელმძღვანელობას 2005 წლის 17 ნოემბერს დ. ღ-ან ხელშეკრულება არ გაუფორმებია, ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, ხელშეკრულება წარმოადგენს 2010 წლის 1 მაისის შემდეგ შედგენილ დოკუმენტს. ვინაიდან მოსარჩელემ და ყოფილმა პარტნიორებმა იცოდნენ საზოგადოებაში მოსალოდნელი ცვლილების თაობაზე, მათ დაამზადეს ყალბი დოკუმენტი. მოპასუხის განმარტებით, ეს პოზიცია აიხსნება იმითაც, რომ არც ერთი კომპანია მსგავსი კაბალური ბირობით, სანარმოს ინტერესების საზიანო ხელშეკრულებას არ გააფორმებდა. დ. ღ-ემ წერილობით მართლაც მიმართა საზოგადოებას კომპენსაციის ანაზღაურების თხოვნით, თუმცა წერილი მხარესვე დაუბრუნდა მისი მოთხოვნის საფუძველზე, მოპასუხემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა წერილობით დოკუმენტის, როგორც ყალბი მტკიცებულების, ამორიცხვის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით დ. ღ-ის სარჩელი სს „თ. თ-ოს“ მიმართ შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის - 200000 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 25 დეკემბრის საოქმო განჩინებით სს „თ. თ-ოს“ შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მტკიცებულება წარდგენილი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, სასამართლო საპატიო მიზეზად არ მიიჩნია შუამდგომლობის ავტორის განმარტება, რომ მხოლოდ სხდომის წინა დღეს ჩატარდა ექსპერტიზა და ამ დროს გახდა ცნობილი მხარისათვის დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის შესახებ ინფორმაცია. ამავე პალატის 2013 წლის 15 იანვრის განჩინებით დ. ღ-ის სააპელაციო საჩივრი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების არასრულობა გამოიხატა იმაში, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია რა 2005 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულება საეჭვოდ, ვერ მოიყვანა მატერიალური სამართლის რომელიმე ნორმა, რომელიც დაადგენდა საეჭვომანის შემთხვევაში ხელშეკრულების არანამდვილობის შესაძლებლობას. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილთან მიმართებაში მიუთითა საქართველოს

უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე და ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადაც ურთიერთობა სამართლებრივად არ შეაფასა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში იყო მოცემული მხარეთა შორის არსებული დავის იურიდიული შეფასება, რაც გამორიცხვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის განჩინება სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, ასევე საოქმო განჩინება, რომლითაც მოწინააღმდეგ მხარეს უარი ეთქვა მტკიცებულების საქმისათვის დართვაზე, საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „თ. თ-ომ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდგენ საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქალაქო სასამართლომ შრომითი ხელშეკრულება მიჩინა არანამდვილად, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მატერიალური სამართლის ნორმა არ მიუთითებია. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაუსაბუთებულ მიჩინევდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, მას თავადვე შეეძლო სადაც სამართლებრივი ურთიერთობის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება, აღნიშნულ მოსაზრებს ამყარებს ისიც, რომ სააპელაციო პალატა თავად ვერ უთითებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სხვა საფუძველზე, ამდენად, სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლები საყურადღებოა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების სიყალბე, რომლის ნამდვილობაც სააპელაციო პალატამაც ეჭვდევს დააყენა, დასტურდებოდა სს „თ. თ-ომ“ მიერ სააპელაციო პალატის სხდომაზე წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნით, თუმცა სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის განმარტება და უსაფუძვლოდ უთხრა მას უარი ხელშეკრულების საქმისათვის დართვის თაობაზე.

კასატორმა წინამდებარე საკასაციო საჩივრის დაურთო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2012 წლის 24 დეკემბრის დასკვნის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მისი შეფასების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს შეგებებული საკასაციო საჩივრით მომართა დ. ლ-ემ, მოითხოვა საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წანილში სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდგენ საფუძვლებით:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის საფუძველზე ზემდგომი სასამართლო ვალდებული იყო სააპელაციო საჩივრის ფარგლებში თავად შეფასებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სააპელაციო სასამართლო, მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო განეხილა სადაც მტკიცებულება – შრომითი ხელშეკრულება, რომელიც საქმის მასალებშია და რომელზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის თაობაზე საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას ეჭვიც კი არ გაჩენილა, ხოლო საქმის არასწორად გადაწყვეტა მხოლოდ ამ დოკუმენტზე საზოგადოების ბეჭდის მოგვიანებით დასმა განაპირობა. ნების ავტონომიურობიდან გამომდინარე, სამოქალაქო გარიგების ნამდვილობისათვის ბეჭდის არსებობა საჭირო არ არის, აღნიშნული კი დაუსაბუთებელს ხდის სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას სამართლის ნორმის გამოყენებლობისა და ამ მოტივით საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულების არასწორი შეფასება საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობას არ წარმოადგენს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს როლი სწორედ ამგვარი ხარვეზების გამოსწორებაა. შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრში მითითებული ფაქტობრივი უსწორობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 მარტის განჩინებით სს „თ. თ-ომ“ საკასაციო საჩივრი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად, ამავე პალატის 2013 წლის 29 აპრილის განჩინებით, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დ. ლ-ე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო მისი საკასაციო საჩივრი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 მაისის განჩინებით სს „თ. თ-ომ“ საკასაციო საჩივრი, ასევე დ. ლ-ის შეგებებული საკასაციო საჩივრი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 წარმოების „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო წანილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „თ. თ-ომ“ საკასაციო საჩივრი, ასევე დ. ლ-ის შეგებებული საკასაციო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 წარმოების „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა და მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს შრომითი (სასამასახურო) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების – კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობა.

უდავოა, რომ მოპასუხებ სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მიუთითა თავად ამ ხელშეკრულების, როგორც მტკიცებულების, სიყალბეზე და ამ გარემოების დადასტურების მიზნით წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა.

საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი დაასაბუთა იმით, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ხელშეკრული ბეჭედი დასმული იყო არ 2005 წლის 17 ნოემბერს, არამედ 2010 წლის 1 მაისის შემდგომ, შესაბამისად, 2005 წლის 17 ნოემბრისათვის ხელშეკრულების დადების ფაქტი საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად მიიჩნია ამ გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა, რასაც სავსებით იზიარებს საკასაციო სასამართლო, რადგანაც საქალაქო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, კერძო სამართლის სუბიექტებს შრომით ხელშეკრულების ნამდვილობაზე მსჯელობისას გაიზიარა მოსარჩელის განმარტება, რომ ნების ავტონომის პირობებში და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე, საწარმოს ბეჭდის არსებობა გარიგების ნამდვილობისათვის სავალდებულო არ იყო, თუმცა ამავე დასკვნის სანინააღმდეგოდ, დაეთანხმა მოპასუხის მტკიცებას, რომ სადაც ხელშეკრულების 2005 წლის 17 ნოემბერს არსებობის ფაქტი არ დასტურდებოდა, ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა მატერიალური სამართლის ნორმებზეც.

სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და დ. ლ-ის სააპელაციო საჩივრის შესწავლის შედეგად შეფასება არ მისცა საქმის არც ერთ ფაქტობრივ გარემოებას და ისე დაუბრუნა საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის, რომ არ მიუთითებია ის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებანი, რაც საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დადგენილიყო, პალატა შემოიფარგლა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე მითითებით.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორიც და შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორიც არ ეთანხმებიან გასაჩივრებული განმარტებას საქმის კვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლო, თუ ის ჩათვლიდა, რომ გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული, უფლებამოსილი იყო, თავად შეფასებინა სადაც ურთიერთობა და თავად მიეღო გადაწყვეტილება საქმეზე. კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო პალატის განჩინება ამ კუთხით დაუსაბუთებლია და არსებობს მისი გაუქმების წინაპირობები.

საკასაციო სასამართლო სავსებით ეთანხმება მხარეთა აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ, როგორც სს „თ. თ-ომ“, ისე დ. ლ-ებ ამ კუთხით დასაშვები შედავება წარმოადგინეს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატა მიუთითებს ამავე კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლა ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განხილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი. ამდენად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიერი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განხილველად დაუბრუნოს საქმე. ასეთი მიღებამა ენინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომის პრინციპებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევებში შებოჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუქირდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშენონილია საქმის უკან დაბრუნება (იხ. სუსგ №ას-1308-1234-2012, 4 თებერვალი, 2013 წელი).

ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვის დროს მოსამზადებელი ეტაპი დასრულდა, სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, მხარეთა თანხმობით, გადაიზარდა მთავარ სხდომაში (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 17 სექტემბრის სხდომის ოქმი), შესაბამისად, დაზუსტებულია მოდავე სუბიექტთა წრე, მხარეებმა სასამართლოს მოახსენეს მათი პოზიციის, მტკიცებულებების, რომლებითაც აპირებდნენ მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დადასტურებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას სრული შესაძლებლობა გაადაწყვეტილების მართლზომიერება და თავად აღმოეფვრა საქმის ქვემდგომი წესით განხილვის დროს დაშვებული უსწორობანი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სასამართლოს დასკვნას, რომ სადაც ურთიერთობის არასრულყოფილი სამართლებრივი შეფასების გამო ის არ იყო უფლებამოსილი, სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რადგანაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების ამგვარი მსჯელობა ეწინააღმდეგება როგორც პროცესის ეკონომიურობის, ისე სააპელაციო წესით საქმის განხილვის პრინციპებს, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეძლო სამართლებრივი თვალსაზრისით თავად შეფასებინა სადაც მტკიცებულების ნამდვილობა და საქმეში არსებული მტკიცებულების კვლევით დაედგინა მხარეთა პრეტენზიის სისწორე, ზემოთ განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად მიიჩნია, არ განეცუვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თავად გადაწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

ისეთ ვითარებაში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დავის არც ერთი ფაქტობრივი გარემობა დადგენილი არ არის და საჭიროა მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევა, საკასაციო პალატა მოკლებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რომელმაც სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეფასოს მოდავე მხარის პრეტენზიების მართებულობა და სადაც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის გზით უნდა გადაწყვეტოს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი.

რაც შეეხება სს „თ. თ-ოს“ მოსაზრებას, სააპელაციო პალატის მიერ საოქმო განჩინებით ახალი მტკიცებულების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თავდაპირველი კასატორის პოზიციას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი მხარეს ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვაზე. მოცემულ შემთხვევაში, სს „თ. თ-ომ“ ექსპერტიზის დასკვნის სააპელაციო სასამართლოში ნარდებენა დაასაბუთა ექსპერტიზის სასამართლო სხდომის წინა დღეს ჩატარებითა და ამ ექსპერტიზის შედეგად ახალი ფაქტის შეტყობით, თუმცა საკასაციო სასამართლო შეფასებით, სააპელაციო პალატამ მართებულად აღნიშნა, რომ ექსპერტიზა სადაც დოკუმენტის თაობაზე ამ დოკუმენტზე დასმული ბეჭდის ნამდვილობის კუთხით უკვე ჩატარებული იყო, ხელშეკრულება გამოკვლეული იყო სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში და მტკიცებულებაზე არსებული ხელმოწერის სიყალებების მხარეთა შორის საქმის მომზადების ეტაპზე დავას არ იწვევდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის პოზიცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის სწორი განმარტებიდან არ გამომდინარეობს, რაც მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, თუმცა, პალატა მიზანშენონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც დოკუმენტის ნამდვილობა მოპასუხე მხარის მიერ შედავებულია ჯერ კიდევ სარჩელზე ნარდებნილი შესაგებლით, ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ სადაც საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა ექნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის და აღმოჩნდება, რომ მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელი იქნება, სასამართლოს საკითხის გამოკვლევისათვის სპეციალური ცოდნა არ აღმოაჩნდება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, საქმის განხილვის არც ეტაპზე სასამართლო არ შეიზღუდება, საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა. ზემოაღნიშული გარემოებები, კასატორის ამ პრეტენზიის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველია.

რაც შეეხება სს „თ. თ-ოს“ შუამდგომლობას ნარმოდეგნილი მტკიცებულების საქმეზე დართვისა და ამ მტკიცებულების საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების თაობაზე, პალატა თვლის, რომ აღნიშნული შუამდგომლობა უსაფუძვლოა, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებების ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების ნარმოდეგნა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულება ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს მდიდებული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია, ამავე ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საქმის მასალებს ვერ დაუურთავს და ვერ შეფასებს დ. ღის საკასაციო შესაგებელზე დართულ მტკიცებულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორ სს „თ. თ-ოს“ უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება – ექსპერტიზის დასკვნა 9 ფურცლად, ხოლო შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორ დ. ლ-ეს – საკასაციო შესაგებელზე დართული განცხადების ასლი 1 ფურცლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოცანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს „თ. თ-ოს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. დ. ლ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
4. სს „თ. თ-ოს“ უარი ეთქვას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 დეკემბრის საოქმო განჩინების გაუქმებაზე.
5. კასატორ სს „თ. თ-ოს“ შუამდგომლობა ექსპერტიზის დასკვნის საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
6. სს „თ. თ-ოს“ დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება – ექსპერტიზის დასკვნა 9 ფურცლად, ხოლო დ. ლ-ეს – შეგებებულ საკასაციო საჩივარზე დართული განცხადების ასლი 1 ფურცლად.
7. სს „თ. თ-ოს“ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
8. დ. ლ-ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
9. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის ხელახლა განსახილველად დაპრუების საფუძვლები

განჩინება

№ას-283-269-2013

7 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ს. კ. ვ-ის“ (შპს „ვ-ი“) წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 28 337 ლარის გადახდის დაკისრება. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „მ-მა“, რომელმაც აიღო ვალდებულება, 2011 წლის 20 ივნისს გაფორმებული №134 და №135 ხელშეკრულებების საფუძველზე, გაერემონტებინა დაბა ხელვაჩაურის მუსიკალური სკოლის შენობა და კეთილმოენყო დაბა ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის დასახლების ეზოები. შპს „მ-ს“ სამუშაოების შესრულების მიზნით ავანსად საერთო ჯამში 76 530 ლარი გადაეცა, საიდანაც მხოლოდ 48 193 ლარის ლირებულების სამუშაო შეასრულა. შპს ს. კ. ვ-ის მიერ შპს „მ-ე“ გაცემული №1302 და №1303 საბანკო გარანტიების საფუძველზე, ეს უკანასკნელი ვალდებულია, აუნაზღაუროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას 28 337 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2012 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნდა.

სააპელაციო სასამართლო საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. მხარეთა შორის არსებობდა №1302 და №1303 საპანკო გარანტიის ხელშეკრულებები, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „მ-ს“ შორის 2011 წლის 20 ივნისს დადებული №134 და №135 ნარდობის ხელშეკრულებები, კერძოდ, შპს „ს. კ. ვ-მა“ (გარანტია) №1302 ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, გადაეხადა საპანკო გარანტიით გათვალისწინებული 23 970 ლარი, შპს „მ-ის“ მიერ №134 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობისთვის. ამასთან, გარანტიის მაქსიმალურია თანხა მცირდებოდა პრინციპალის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების აღნიშვნით. №1303 ხელშეკრულებით კი, შპს „ს. კ. ვ-მა“ იკისრა ვალდებულება, გადაეხადა საპანკო გარანტიით გათვალისწინებული 52 560 ლარი, შპს „მ-ის“ მიერ №135 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობისთვის. ამასთან, გარანტიის მაქსიმალური თანხა მცირდებოდა პრინციპალის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ოდენობით;

2. 2011 წლის 20 ივნისს მოპასუხის მიერ გაცემული №1302 საპანკო გარანტიის მოქმედების ვადად განსაზღვრული იყო 2011 წლის 16 ნოემბერი, ხოლო №1303 საპანკო გარანტიის მოქმედების ვადად – 2011 წლის 1 დეკემბერი;

3. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №688 განკარგულების საფუძველზე, გაუქმდა შპს „ს. კ. ვ-ის“ დაზღვევის საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო კომპანიის გაკოტრების საქმის ნარმოება. ამასთან დაკავშირებით, შპს „ს. კ. ვ-ის“ გაკოტრების მმართველმა 2011 წლის 23 სექტემბრის წერილით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას აცნობა, რომ 2011 წლის 14 სექტემბრიდან შეწყვეტილია შპს „ს. კ. ვ-ის“ მხრიდან გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების მოქმედება (მათ შორის, შპს „ს. კ. ვ-ის“ მიერ გაცემული საპანკო გარანტიისა), რის გამოც 2011 წლის 27 ოქტომბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შპს „ს. კ. ვ-ს“ გაუგზავნა წერილობითი მოთხოვნა 2011 წლის 20 ივნისს მოპასუხის მიერ გაცემული №1302 და №1303 საპანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 76530 ლარის გადახდაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა. ამდენად, მითითებულ ნორმათა ანალიზის შედეგად ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: თუ ბენეფიციარის მოთხოვნა აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ნარდების გარანტიაში მითითებული დოკუმენტები, მითითებულია, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია და დაცულია მოთხოვნის წარდგენის ვადა – მოთხოვნა წარდგენილია გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა, გარანტის წარმოებობა ვალდებულება, პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) თანხა გადაუხადოს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ეროვნული ბანკის მიერ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შესახებ ან ამ კანონის მე-2 მუხლის „გ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფილიალის (წარმომადგენლობის) საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან მზღვეველს არა აქვს უფლება, განახორციელოს შესაბამისი ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობა, გარდა იმ ვალდებულებების შესრულებისა, რომლებიც მას ადრე ჰქონდა აღებული დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად, მისი მოქმედების ვადის გასვლამდე. დასახელებული ნორმის სიტყვა-სიტყვითი და ლოგიკური განმარტებიდან წათლად ჩანს, რომ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, მზღვეველს ეკრძალება ლიცენზიით განსაზღვრული სადაზღვევო საქმიანობის განხორციელება, ამასთან, კანონმდებელმა მზღვეველი ლიცენზიის მოქმედების პერიოდში აღებული ვალდებულებების მიმართ კელავუფლებამოსილ პირად დაადგინა, იმ ვადით, რა ვადითაც ლიცენზიის გაუქმებამდე დადებული ხელშეკრულებები მოქმედებდა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით მნიშვნელოვანია, განიმარტოს ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მზღვეველის ლიკვიდაციისა და/ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებისას, სადაზღვევო ხელშეკრულებების მოქმედება წყდება ლიკვიდაციის/გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების თაობაზე ეროვნული ბანკის მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობითად, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და/ან ისეთი შემთხვევისა, როდესაც მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტა უფრო დიდი საფრთხის მატარებელია ვიდრე მისი მოქმედების გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი არ უნდა იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ მზღვეველის ლიკვიდაციის და/ან გაკოტრების საქმის წარმოების დაწყებას ყველა შემთხვევაში მოყვება სადაზღვევო ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტა, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ადგენს საგამონაკლისო შემთხვევებსაც, რა დროსაც გრძელდება ხელშეკრულების მოქმედება, ასეთია, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების და/ან ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტა უფრო დიდი საფრთხის მატარებელია ვიდრე მისი მოქმედების გაგრძელება.

სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ეროვნული ბანკის მიერ შპს „ს.კ. ვ-ის“ ლიცენზიის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ასევე დადგენილია, რომ წერილობითი მოთხოვნა გარანტის გაეგზავნა 2011 წლის 27 ოქტომბერს, თუმცა, ჩაბარდათ არა იგი აღრესატს, საქმის მასალებიდან არ ირკვევა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასრულად დაადგინა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი და, შესაბამისად, სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. საქმის ხელახლა განხილვისას საქალაქო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს თუ როდის ჩაბარდა და საერთოდ თუ ჩაბარდა გარანტის 2011 წლის 27 ოქტომბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაგზავნილი წერილობით მოთხოვნა 2011 წლის 20 ოქტომბერის მოპასუხის მიერ გაცემული №1302 და №1303 საბანკო გარანტით გათვალისწინებული თანხის - 76530 ლარის გადახდაზე და ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, დაადგინოს მოპასუხეს წარმოეშვა თუ არა ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ.

აღნიშვნული განჩინება შპს „ვ-მა“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: იმისათვის, რომ სადაზვევო კომპანიამ გარანტის ვალდებულებები იყიდოს, მას აუცილებლად უნდა გააჩინდეს სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია, შპს „ვ-ს“ კი, ამგვარი ლიცენზია გაუქმებული აქვს, შესაბამისად, იმ დროისათვის, როდესაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა საბანკო გარანტიის გადახდის თაობაზე მოთხოვნით მიმართა, შპს „ვ-ი“, როგორც გარანტი, ვერ უზრუნველყოფდა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა, „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკორტრების საქმის წარმოების წესის“ მე-20 მუხლი, რადგანაც ამ ნორმის საფუძველზე, ლიცენზიის გაუქმების მომენტიდან ავტომატურად უქმდება ყველა საბანკო გარანტია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ს. კ. ვ-ის“ საკასაციო საჩივარი წარმოიბრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევითაა განხილული, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უპრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვეტოს იგი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზემომითო-თებული ნორმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნოს ყოველთვის, როდესაც აღნიშვნული სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. ასეთი მიღომა ეწინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომის პრინციპებს.

საკასაციო სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე შესრულებული წარმოების გაგრძელება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან პირველი ინსტანციის სასამართლო საქმე ისეთი პროცესუალური დარღვევებით განიხილა, რისი გამოსწორებაც სააპელაციო ინსტანციაში შეუძლებელია ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებული მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (იხ. მაგ. სუსგ №ას-657-618-2012, №ას-497-470-2012, ას-683-1013-07)

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი დაუსაბუთებლობის საფუძვლით გააუქმა. სასამართლოს მოსაზრებით, საქმის ხელახლა განხილვისას საქალაქო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ როდის ჩაბარდა გარანტის 2011 წლის 27 ოქტომბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაგზავნილი წერილობით მოთხოვნა 2011 წლის 20 ოქტომბერის მოპასუხის მიერ გაცემული №1302 და №1303 საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის - 76530 ლარის გადახდაზე და დაადგინოს მოპასუხეს წარმოეშვა თუ არა ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ზემომითო-თებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენა სააპელაციო სასამართლოს თავადაც შეუძლია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივარის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მითითებული ნორმით განსაზღვრულია რა სააპელაციო

სასამართლოს მსჯელობის ზუსტი ფარგლები, კანონმდებელი ამ ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივი გარემობის დადგენისა და მტკიცებულებათა შეფასების მიზნით, რაიმე შეზღუდვას არ უწესებს, უფრო მეტიც, ამ ინსტანციის სასამართლოში, გარევაული გამონაკალისების გათვალისწინებით (სსს 380-ე მუხლი) დასაშვებია ახალი მტკიცებულების მიღება; ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩინია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად დაუდო, არ განეკუთვნება იმგვარ ფაქტობრივ-სასამართლებრივ საფუძვლებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაბრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- შპს „ს. კ. ვ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საპოლონოა და არ გასაჩივრდება.

საპასაციო საჩივრის შეტანის ვალი

განჩინება

№ას-274-265-2012

20 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
მოსამართლე ბ. ალავიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე მ. ჭ-ას განცხადება საპროცესო ვადის აღდგენისა და საქმის არსებითად განხილვის თაობაზე საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებაზე, საქმეზე - მ. ჭ-ას სარჩელის გამო, მოპასუხების: ს. მ-ისა და საქართველოს კონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, შრომითი კოლექტივის მესაკუთრეთა სიის ბათილად ცნობის, „თ-ის“ ქონების მესაკუთრედ ცნობის, შრომითი კოლექტივის მესაკუთრეთა სიაში შეყვანის, სახელფასო დავალიანების - 795 აშშ დოლარის ანაზღაურების, 1996 წელს გაცემულ 774 ცალი სერტიფიკატის მოვალის დადგენის, ანაზღაურების, აქციით ნარმოებიდან მიუღებელი შემოსავლის დადგენისა და მოვალისათვის დაკისრების თაობაზე.

გ ა მ თ ა რ კ ვ ი ა:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჭ-ას განცხადება საპროცესო ვადის აღდგენისა და საქმის არსებითად განხილვის შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებით მ. ჭ-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 დეკემბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ჭ-ამ კანონით დადგენილი წესით ჩაიგენირა 2012 წლის 13 იანვარს, ამდენად, სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-60 მუხლის მე-2 ნაწილისა და 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩაიგენირა 2012 წლის 14 იანვრიდან და ამოინურა 2012 წლის 3 თებერვალს. საქმეში ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შესწავლით კი დადასტურდა, რომ მ. ჭ-ამ სასამართლოს მიმართა 2012 წლის 10 თებერვალს, საკასაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

2012 წლის 19 მარტს მ. ჭ-ამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა და საქმის არსებითად განხილვა შემდეგი საფუძვლებით:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებით უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის მოთხოვნები, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რად-

განაც კანონს, რომელმაც მხარის მდგომარეობა გააუარესა, მიენიჭა უკუქცევითი ძალა. სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება გამოიტანა 2011 წლის 13 დეკემბერს, რაღოც საც მოქმედებდა კანონის ნორმა, რომელიც საკასაციო საჩივრის შეტანისათვის ითვალისწინებდა ერთოვან ვადას, აღნიშნული განმარტებულია სასამართლოს განჩინებითაც. მ. ჭ-ას სააპელაციო სასამართლოს განჩინება ჩაბარდა 2012 წლის 13 იანვარს და კანონით გათვალისწინებული ერთოვანი ვადის დაცვით საკასაციო საჩივრი წარადგინა 2012 წლის 10 თებერვალს. იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრების დროს მოქმედებადა ახალი კანონი, მოსამართლე ვალდებული იყო მხარისათვის ეცნობებინა აღნიშნულის თაობაზე, რაც სრულიად კანონიერად არ განხორციელდა, რადგანაც საპროცესო მოქმედების უფლება სხვა კანონის მოქმედების ფარგლებში წარმოიშვა. განცხადებლის განმარტებით, მას საპროცესო ვადა არ დაურღვევია, ხოლო საკასაციო პალატის განჩინებით დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლებები.

საკასაციო სასამართლო მხარის ზემოაღნიშნული არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ მ. ჭ-ას მოთხოვნა უსაფუძღლოა და არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებიდან, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათისა და ვრცელდება ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ამა თუ იმ საპროცესო ნების მიმართ, უფრო მეტიც, კანონმდებლის ზემოაღნული პოზიცია გამყარებულია თითოეული ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების სპეციალურ ნებში.

რაც შეეხება საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადას, საკასაციო პალატა განმეორებით მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის ახალ რედაქციაზე, რომელიც 2012 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა და რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, დადგენილია, რომ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის პირველი მუხლით კი განსაზღვრულია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი ნებში მიხედვით. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. დასახელებული ნორმით კანონმდებელმა განსაზღვრა საპროცესო კანონის დროში მოქმედების პრინციპი და დაადგინა, რომ ცალკეული საპროცესო მოქმედება სრულდება ამ საპროცესო მოქმედების განხორციელების დროს მოქმედი ნორმის შესაბამისად. იმ უდავონ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინება მიიღო 2011 წლის 13 დეკემბერს, მან სწორად განმარტა იმ დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ხოლო რადგანაც საპროცესო მოქმედება განხორციელდა ახალი კანონის მოქმედების ფარგლებში – განჩინება მხარე ჩაიბარა 2012 წლის 13 იანვარს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახალი რედაქციის მოქმედების დროს, საკასაციო პალატამ სავსებით მართებულად გავრცელა მოცემული საქმის მიმართ ახალი ნორმის მოქმედება და სწორად დატოვა განუხილველად საკასაციო საჩივრი 21-დღიანი ვადის დარღვევის გამო. საკასაციო პალატა არ იზიარებს განცხადებლის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო კანონს უკუძალა მიანიჭა და მხარის მიმართ გამოიყენა კანონი, რომელიც მის მდგომარებას აუარესებდა, რადგანაც არ გამომდინარება. ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თავისებურებიდან არ გამომდინარება. ამასთანავე, უსაფუძღლობის გამო ვერ იქნება გაზიარებული მხარის პოზიცია, რომ ახალი ნორმის მოქმედების თაობაზე ის სასამართლოს უნდა გაეფრთხილებინა, რადგანაც ასეთს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ჭ-ას განცხადებაში მითითებული გარემოებები უსაფუძღლოა, რადგანაც, ერთი მხრივ, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენას არ ითვალისწინებს, ხოლო, მეორე მხრივ, განცხადებელი არასწორად მიიჩნევა მის კონსტიტუციურ უფლებას დარღვეულად, რადგანაც საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის განჩინებით მას საპროცესო ნორმის სწორი განმარტების საფუძველზე ეთქვა უარი საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 397-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. ჭ-ას განცხადება საპროცესო ვადის აღდგენისა და საქმის არსებითად განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძღლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.